

პროექტები და კონტრპროექტები A3



ქართული ინიციატივა გერმანული გამოცდილებით A8



მეჩითოვის საქართველო A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 7 ივლისი, 2006 წელი. №150 (1302) | ფასი 50 თეთრი

# დაუსაბუთებელი განაჩენი

## მართლმსაჯულებამ საზოგადოების გამოცდას ვერ გაუძლო

ინგა ალავიძე

*გამართლდა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას გამოთქმული ეჭვი, რომ მოსამართლე გიორგი ჩემია შსს-ს მაღლჩინოსნებისთვის გამოტანილ განაჩენში სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ნამდვილ მოტივს არ დაასახელებდა, ისევე, როგორც, არაფერს იტყოდა მკვლელობის შემკვეთებზე. 10 დღეში ოპერატიულად ჩატარებული სასამართლო პროცესი, რომელზეც დაზარალებული მხარის პოზიცია, ფაქტობრივად, იგნორირებული იყო, მოსამართლე გიორგი ჩემიამ გუშინ დაასრულა. საქართველოს სახელით გამოტანილი განაჩენი გუშინ თითქმის ცარიელ დარბაზში გამოცხადდა.*

გაგრძელება A4 გვერდზე



მოსამართლე გიორგი ჩემიამ განაჩენი მანდატურებს, ნიღბიან სპეცრაზმელებსა და განსასჯელებს წაუკითხა.

# თინა ხიდაშელი: ყველამ ერთად დავკარგეთ კონტროლი სიტუაციაზე

მაია ჭალაბანიძე

*საზოგადოება ეძებს იმ ადგილს და დროს, სადაც დაიწყო ამ ხელისუფლების ძალაუფლებით ტკბობა. ხელისუფლებისა, რომელმაც რევოლუციის შემდეგ მოპოვებული უდიდესი ნდობა და სიმპათია გამოიყენა სააპელაციო სასამართლოს ეზოში ირაკლი კაკაბაძის წინააღმდეგ, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ლექტორების წინააღმდეგ, აჭარაში დევნილების წინააღმდეგ, დმანისში ბერ-მონაზვნებისა და მორჩილების წინააღმდეგ. აქ მსხვერპლი იყო სამოქალაქო საზოგადოება, პედაგოგები და განსაკუთრებული სტატუსის მქონენი - დევნილები.*

*ყოველგვარი რეფორმა, რა თქმა უნდა, მტკივნეული პროცესია, მაგრამ 15-წლიანი სტაგნაციის შემდეგ ის აუცილებლად უნდა დაწყებულიყო. ე.წ. ამბოხებული ლექტორები უნივერსიტეტის დაცემას ამ რეფორმებს უკავშირებენ და ავიწყდებათ, რომ ეს დაცემა იმ რექტორის დროს დაიწყო, რომლის არჩევასაც დიდმა სამეცნიერო საბჭომ სამჯერ მისცა ხმა.*

*რეფორმების, თუნდაც, შეცდომებით დაწყებული რეფორმების სურვილი ამ ხელისუფლების შეცდომა არ არის. მთავარი შეცდომა არის ის, რომ ყველა რეფორმა და ცვლილება ადამიანების თავმოყვარეობის შელახვით იწყება. იმ ადამიანებისა, ვინც, ბუნებრივია, საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად ან შესანარჩუნებლად იბრძვის. ამ ხალხს ამის უფლება აქვს.*

*გადააყოლებს ხელისუფლება ქვეყნის დიდ მიზანს - ევროატლანტიკურ ინტეგრაციას ერთი უჩინარი და უნიჭო ჩინოვნიკის, სანოძის დაბადების დღის აღნიშვნას და იმ ადამიანებს, რომლებმაც საფუძველი შეუქმნეს დიდ საზოგადოებრივ პროტესტს, ბუშთან ისტორიული შეხვედრიდან ჩამოსულ პრეზიდენტს რომ ხვდება სამშობლოში? სწორედ ეს*



*შეკითხვაა დღეს უმთავრესი და ამ შეკითხვაზე საზოგადოებამ პასუხი გირგვლიანის პროცესზე წაკითხული განაჩენით მიიღო. კიდევ არის შანსი, ეს პასუხი საბოლოო არ იყოს.*

*ეს ინტერვიუ თინა ხიდაშელთან გირგვლიანის განაჩენის გამოქვეყნებამდე შედგა.*

გაგრძელება A5 გვერდზე

# სრული მხარდაჭერა

## შეხვედრის მთავარი შედეგი

დიმიტრი ავალიანი

*აშშ საქართველოს სრულ მხარდაჭერას დაჰპირდა. ნატო-ში გაწევრიანების საკითხის გარდა, ამერიკის ოფიციალური პირები და ექსპერტები კონფლიქტების მოგვარების საკითხში მხარდაჭერაზეც საუბრობენ. შესაძლოა, კონფლიქტების თემა „დიდი რვიანის“ მომავალ სამიტზე სწორედ აშშ-ს ინიციატივით დაისვას.*

**„ეს შეხვედრა საქართველოსთვის აბსოლუტურად ისტორიული იყო. მე ამაში დარწმუნებული ვარ. ამ შეხვედრის შედეგებს ქართველი ხალხი დაინახავს.**

გაგრძელება A3 გვერდზე



# შეწყვეტილი თოქ-შოუ

*გუშინ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის თოქ-შოუს - „მთავარი თემის“ ავტორმა და წამყვანმა ეკა ხოფერიამ გადაცემა მოულოდნელად შეწყვიტა და ტელეკომპანიიდან წასვლის შესახებ განცხადება გააკეთა.*

**„ჩემი აზრით, გირგვლიანის ტრაგედიასთან დაკავშირებით მინიმუმ შინაგან საქმეთა მინისტრი უნდა გადადგეს. ეს არის ჩემი ბოლო გადაცემა. ამის შემდეგ მე ამ არხს ვტოვებ,“** - ამ სიტყვებით დაასრულა გადაცემა ეკა ხოფერიამ.

ეკა ხოფერიას თქმით, როდესაც ქვეყანაში ასეთი მძიმე სიტუაციაა შექმნილი და გირგვლიანის მკვლელობის პროცესს ასეთი საყოველთაო მღელვარება მოჰყვა, მასზე, როგორც ჟურნალისტზე ხელისუფლების გარკვეული შტო ზეწოლას ახორციელებს. ხელისუფლებო შეზღუდვა წამყვანმა გადაცემის მსვლელობისას მისთვის მიცემული მითითებით - დათა ახალაიას გადაცემის ფინალში ჩართვით ახსნა.

გადაცემა, რომელიც სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ფაქტს ეხებოდა, პირველი ბლოკის შემდეგ დასრულდა. გირგვლიანის ტრაგედიასთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმა მხოლოდ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა შეძლეს. მათ შემდეგ ასპარეზი ხელისუფლების წარმომადგენლებს - უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, თბილისის პროკურორს და უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს გიგა ბოკერიას უნდა დათმობოდათ.

გადაცემის შეწყვეტის შემდეგ „24 საათმა“ სცადა ეკა ხოფერიასთან დაკავშირება, თუმცა მას ტელეფონი გათიშული ჰქონდა. ამიტომ კომენტარი გადაცემის მონაწილე რესპუბლიკური პარტიის წევრს თინათინ ხიდაშელს ვთხოვეთ.

**„ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები გადაცემაში მონაწილეობას იმ პირობით დავთანხმდით, რომ გადაცემას ჩვენ დავასრულებდით. მოგვიანებით, გადაცემის მსვლელობის დროს ეკას აცნობეს, რომ გადაცემა დათა ახალაიას უნდა დაესრულებინა. მოულოდნელად ხოფერიას ცრემლები მოადგა და ხელით მანიშნა, რომ ყურსასმენში რაღაცას ეუბნებოდნენ. ამის შემდეგ მან პირდაპირ ეთერში გააკეთა განცხადება, რომელიც ალბათ ყველამ მოისმინა, და გადაცემა შეწყვიტა,“** - გვითხრა თინათინ ხიდაშელმა.

# ვაშინგტონის შეხვედრის ექო თბილისში

მიხეილ სააკაშვილისა და ჯორჯ ბუშის შეხვედრის შედეგებს ქართველი ექსპერტები და პოლიტიკოსები განსხვავებულად აფასებენ. ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ხელმძღვანელი დავით დარჩიაშვილი ამ შეხვედრას „ძალიან მნიშვნელოვანს“ უწოდებს და დარწმუნებულია, რომ ორ პრეზიდენტს ბევრ საკითხზე გულახდილი საუბარი ჰქონდა.

**„შეერთებული შტატების პრეზიდენტი აფიქსირებს, რომ საქართველოს მდგომარეობა, განვითარება და ინტერესები მისთვის ანგარიშგასაწევი და საყურადღებოა. ბუში ასევე პირდაპირ საუბრობს ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების მნიშვნელობაზე. „დიდი რვიანის“ სამიტის წინ ასეთი განცხადებები მეტყველებს, რომ ამ თავყრილობაზე საქართველოზე რომც არაფერი ითქვას, ჩვენს ქვეყანას დასავლეთის მხარდაჭერა უკვე გარანტირებული აქვს,“** - აღნიშნავს დარჩიაშვილი.

იგი მიიჩნევს, რომ სანკტ-პეტერბურგის სამიტის შემდეგ კონფლიქტების მოგვარების საკითხში აუცილებლად იქნება დინამიკა, თუმცა, უჭირს იმის თქმა, რა ფორმით მოხდება ეს.

დავით დარჩიაშვილისგან განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამს ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი. მისი აზრით, საქართველოსა და ამერიკის პრეზიდენტების შეხვედრა სააკაშვილ-პუტინის დიალოგის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს.

**„მიხეილ სააკაშვილის ვაშინგტონში ვიზიტი მოიტანს იმას, რომ მომავალში რუსეთის მიმართ საქართველოს პოლიტიკა უფრო მდგრადი და გაწონასწორებული იქნება. დარწმუნებული ვარ, ჯორჯ ბუშთან და კონდოლიზა რაისთან შეხვედრის დროს, ისინი მოუწოდებდნენ სააკაშვილს, რომ მას უფრო სტაბილური ურთიერთობები ჰქონდეს მოსკოვთან. სააკაშვილთან საუბრით ბუში რუსეთის დაშინებას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ საქართველოს შეფუცხუნებას,“** - აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# კითხვები და პასუხები

## „დიდი სამიტის“ წინ ვლადიმირ პუტინი ონლაინ პრესკონფერენციას მართავს

*კორეული რაკეტები, ევროპის ენერგოუსაფრთხოება, ირანის ბირთვული დოსიე, სუკ-ში მიღებული გამოცდილება, მესამე საპრეზიდენტო ვადა, ქართველი ვახტანგი, ხუთი წლის ნიკიტა და ჯორჯ ბუშის სული - მოკლედ იმ საკითხთა ჩამონათვალი, რაზეც გუშინ პრეზიდენტმა პუტინმა ონლაინ-კონფერენციის მსვლელობის დროს ისაუბრა. პუტინი ურჩევს თბილისს, ჩაატაროს რეფერენდუმები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ისევე, როგორც ეს რუსეთმა ჩეჩნეთში გააკეთა.*

სოფო ბუკია

გუშინდელ ონლაინ-კონფერენციაზე პუტინმა საკმაოდ ბევრი ისაუბრა საქართველოზე და იქ არსებულ კონფლიქტებზე. რუსეთის პრეზიდენტი საქართველოს ტრადიციულ რჩევებს აძლევს და ჩეჩნეთის კონფლიქტის დარეგულირებით ამაყობს.

პუტინი საქართველოს ხელისუფლებას ურჩევს, გაითვალისწინოს ჩეჩნეთის მაგალითი და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რეფერენდუმი ჩაატაროს. **„ადგილობრივი მოსახლეობა თავად გადაწყვეტს, სად უნდა ყოფნა. ჩვენ ასე ჩეჩნეთში გავაკეთეთ,“** - გვირჩევს პუტინი. აქვე გაფრთხილებას იღებს ის საერთაშორისო თანამეგობრობა, რომელიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობს:

**„ჩვენ მოვუწოდებთ საერთაშორისო საზოგადოებას, რომელიც კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობს, თავი აარიდონ ორმაგი სტანდარტების საშიშ ტენდენციას. ჩვენ პატივს ვცემთ სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს, მაგრამ არ შეიძლება იგივე პატივისცემით არ მოვეკიდოთ მოსახლეობის აზრს. ჩვენ დაჟინებით ვითხოვთ, რომ ამგვარი კონფლიქტების მოგვარებისას ორმაგი სტანდარტები არ მოქმედებდეს. არ შეიძლება, მაგალითად, კოსოვოსთან მიმართებაში ერთი მიდგომა გქონდეს და სხვაგვარად მიუდგე აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის პრობლემას. ეს უსამართლობაა,“** - მიიჩნევს პუტინი.

გაგრძელება A2 გვერდზე

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი

C2

## ამბები

ჩაშლილი ტენდერი და სამომავლო პერსპექტივები

A2



ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს:
http://www.iwpr.net/sub-form.html

A7

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 7/07 | 8/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 31 | 32 |
| ბათუმი | 28 | 23 |
| სოხუმი | 26 | 23 |
| ქუთაისი | 31 | 26 |
| გორი | 28 | 27 |
| ონი | 22 | 18 |
| ზუგდიდი | 32 | 26 |
| ახმეტა | 30 | 32 |
| სამტრედია | 32 | 27 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7721 |
| ევრო | 2.2555 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2506 |
| რუბლი | 0.0659 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
სპორტი A 5
ტენდერი A 6
პროექტი A 7
რევიუ A 8

# ოპოზიციურმა პარტიებმა ფოთში საკოორდინაციო ცენტრი შექმნეს

ქეთინო ჭაკობია

ფოთში პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება", „მრეწველები", „ახალი მემარჯვენეები", „კონსერვატორები", „რესპუბლიკელები" და ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციები საკოორდინაციო ცენტრში ერთიანდებიან. აღნიშნულის შესახებ ოპოზიციური პარტიების ადგილობრივმა ლიდერებმა სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს. **„ხელისუფლების უკანონო ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლა და ადამიანის უფლებების დაცვა ერთობლივი ქმედებებით გაცილებით ეფექტური იქნება,"** - ასკვნიან ოპოზიციური პარტიების ფოთის ოფისების თავმჯდომარეები.

**„საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის მცდელობა არ შეინიშნება. ვფიქრობ, რომ სააკაშვილის მიზანი მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლა იყო. ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ ქვეყანაში დამკვიდრებულ უკანონობას და ბრძოლას გაერთიანებულად ვიწყებთ,"** - ამბობს პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების" ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარე ჯულიეტა ლომაია.

**„ხელისუფლება რეფორმების სახელით ცდილობს საზოგადოების დათრგუნვას და ეროვნული ფასეულობების გაცამტვერებას. დღეს სახელმწიფოში ძალადობაა. ქვეყანას ეკარგება განვითარებისა და გადარჩენის შანსი,"** - აცხადებს „რესპუბლიკელების" ფოთელი ლიდერი გია გოგინავა.

ერთობლივ ბრიფინგზე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა უუნარობასა და საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში ადგილობრივი მთავრობაც ამხილეს. „მრეწველების" ფოთის ოფისის თავმჯდომარე ჯემალ მიგინეიშვილი ნავსადგურის თანამშრომელთა მოსალოდნელ შემცირებაზე, ქაფშიით რეწვის სეზონის ხელოვნურ ჩავარდნაზე, თეატრის მშენებლობის შეფერხებაზე, ცენტრალური პარკის 110 ათას ლარად შემოღობვის უშედეგობასა და სხვა იმ ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას, სადაც ქალაქის ხელმძღვანელობამ კანონით მინიჭებული უფლებების გამოყენება ვერ შეძლო.

ოპოზიციონრებმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საბიუჯეტო სახსრების წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყენებაში დაადანაშაულეს. **„თანხა, რომელიც სახელმწიფო პროგრამით შეჭირვებული მოსახლეობის დასახმარებლად გამოიყო და რომლითაც ელექტროენერგიის გარკვეული ხარჯი უნდა დაიფაროს, ფოთში „ნაციონალური მოძრაობის" სახელით რიგდება. ეს არის პიარ-კამპანია და კანონდარღვევა. მოვითხოვთ საქმით პროკურატურის დაიტერესებას,"** - აცხადებს კონსერვატორების ფოთელი ლიდერი გოჩა დოლბაია.

საკოორდინაციო ცენტრში გაერთიანებული ოპოზიციონრები ქალაქის საზოგადოებასთან პერიოდული შეხვედრების გამართვას გეგმავენ. არ არის გამორიცხული საპროტესტო აქციების ორგანიზებაც.

# „გაერთიანებული საგანგებო შტაბი" გორშიც შეიქმნა

თეა თედლიაშვილი

გუშინ გორში არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ოპოზიციურმა პარტიებმა, სასტუმრო „ვიქტორიაში" ხელი მოაწერეს მემორანდუმს გაერთიანების შესახებ. ამით ისინი, თბილისში შექმნილი საგანგებო შტაბის რეჟიმზე გადავიდნენ. გორის „გაერთიანებულ საგანგებო შტაბში" „ახალი მემარჯვენეები", „რესპუბლიკელები", „ლეიბორისტები", „კონსერვატიული" პარტიის წევრები და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" გორის ოფისი გაერთიანდა.

"ახალი მემარჯვენეების" გორის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მამუკა ფანიაშვილმა ხაზი გაუსვა, აქციის დროს მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერის ფიქრია ჩიხრაძის მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ შეურაცხყოფას. გაერთიანებული საგანგებო შტაბის წევრები საქრთველოში უკანასკნელ დროს განვითარებულ მოვლენებს: სანდრო გირგვლიანის მკვლელობას, დმანისის მამათა მონასტერში სამართალდამცავთა შეჭრას, უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებს აპროტესტებენ.

„რესპუბლიკური" პარტიის წევრის შალვა ტლაშაძის თქმით, გარდა იმისა, რომ ასეთ დარღვევებს ადგილი აქვს თბილისში, ხშირია შემთხვევები, როდესაც რეგიონებში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები ადამიანთა უფლებებს არღვევენ.

ისინი მედიასთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას აპირებენ და მოსახლეობას მიმართავენ, რომ ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში საგანგებო შტაბს მიმართონ. შალვა ტლაშაძის თქმით, ისინი მოსახლეობას კონსულტაციებს გაუწევენ, მაგრამ თუ სიმართლის მისაღწევად ეს საკამრისი არ აღმოჩნდება, არც საპროტესტო აქციებს მოერიდებიან.

ოპოზიციური პარტიების განცხადებით, ისინი არავითარ შემთხვევაში არ ითანამშრომლებენ იგორ გიორგაძის პოლიტიკურ პარტიასთან.

# ძალადობის წინააღმდეგ კახელებიც გამოდიან

დღეს გურჯაანში, „ახალი მემარჯვენეების" ოფისში კახეთის რეგიონში მოქმედი პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლები რეგიონის ყველა რაიონიდან შეიკრიბებიან. ისინი ბოლო დროს ქვეყანაში მომხდარი ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით, საერთაშორისო ორგანიზაციების სახელზე მიიღებენ ერთობლივ მემორანდუმს, რომელსაც ხელს მოაწერენ და ამავე დროს ჩამოაყალიბებენ რეგიონულ საკოორდინაციო შტაბს.

ორგანიზატორების თქმით, იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ისინი რეგიონში მოსახლეობის მობილიზებას მოახდენენ და ხელისუფლებას საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებას აიძულებენ.

*24 საათი*

**International School of Economics**

**მიიღეთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლება!**

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა - ინგლისურენოვანი მაგისტრატურა.**

**საქართველოს მთავრობის, მსოფლიო ბანკის, BP-ს, SIDA-ს, და სხვა დონორების დახმარებით სტუდენტები თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისაგან და დაენიშნებათ სტიპენდია.**

**სასწავლო პროცესს წარმართავენ დასავლეთის ცნობილი უნივერსიტეტების პროფესორები.**

**იჩქარეთ, საბუთების მიღება 15 ივლისამდე.**

**მისამართი: თსუ I კორპუსი, ოთახი 220, ტელ. 22 11 17. www.iset.tsu.ge**

**ღია კარის დღე გაიმართება 11 ივლისს, 17 საათზე, თსუ I კორპუსის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში.**

# კითხვები და პასუხები

პირველი გვერდიდან

რუსეთის პრეზიდენტს უკვირს, რატომ გაიხსნა თბილისში საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი. **„მე ძალიან გაკვირვებულმა მოვისმინე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თბილისში ოკუპაციის მუზეუმი გაიხსნა. ჯერ საკითხავია, ვინ ვისი ოკუპირება მოახდინა. იმ დროს სუკ-ში და ხელისუფლებაში ძალიან ბევრი ქართველი იყო,"** - ასე გასცა პუტინმა პასუხი კითხვას საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზაციასთან დაკავშირებით.

**„არის იმედი, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობები ნორმალურ კალაპოტში ჩადგება?"** - ამ კითხვას ხელს ინტერნეტ-მომხმარებელი ვახტანგი აწერს. **„იმედი ყოველთვის არის. ჩვენ ყოველთვის მოძმე ქვეყნები ვიყავით,"** - უპასუხა მას პუტინმა. რუსეთის პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა სახელზე „ვახტანგი" და აღნიშნა: **„ჩვენ ვიცნობთ სხვა ვახტანგს, კიკაბიძეს, რომელსაც „ლარისა ივანოვნა უნდოდა,"** - იხუმრა კრემლის ბინადარმა.

რუსეთის პრეზიდენტის ონლაინ-პრესკონფერენცია გუშინ ხუთ საათზე დაიწყო. პრეზიდენტ პუტინისთვის შეკითხვებს მსურველები რამდენიმე დღის განმავლობაში ინტერნეტის საშუალებით აგზავნიდნენ. კონფერენციის ორგანიზატორების თქმით, პუტინმა 50 ათას კითხვაზე მეტი მიიღო.

ინტერნეტ-კონფერენცია კრემლში მიმდინარეობდა. კონფერენციის ორგანიზატორები ინტერნეტ-პორტალი „იანდექსი" და „ბი-ბი-სი" არიან.

პირველი საკითხი პუტინს ჩრდილოკორეულ სარაკეტო „თამაშებზე" შეხვდა.

**„ჩრდილოეთ კორეის სარაკეტო ცდები შეშფოთებას იწვევს,"** - განაცხადა პუტინმა და აღნიშნა, რომ ეს არის რუსეთის ოფიციალური პოზიცია. **„კარგი იქნება, თუ რუსეთი და დანარჩენი მსოფლიო მსგავს „საჩუქრებს არასოდეს მიიღებს. ცდები მიმდინარეობს რუსეთის მეზობელ სახელმწიფოში, რუსეთის საზღვრებთან,"** - ხაზი გაუსვა მან.

ამასთან, რუსეთის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ კორეასთან მიმართებაში მსოფლიომ საღი აზრი არ უნდა დაკარგოს და ემოციები უნდა მოთოკოს. **„ემოციებს შეუძლია შთანთქას საღი აზრი და ეს ცუდ შედეგამდე მიგვიყვანს,"** - აცხადებს რუსეთის პრეზიდენტი და მსოფლიოს ჩრდილოკორეული ბირთვული პრობლემატიკის ირგვლივ მოლაპარაკებათა პროცესის აღდგენისკენ მოუწოდებს.

ამასთან, პუტინი აცხადებს, რომ ჩრდილოეთ კორეული რაკეტების რუსეთს არ უნდა ეშინოდეს. **„რუსეთს არა აქვს საფუძველი იფიქროს, რომ კორეული სარაკეტო პროგრამა მის წინააღმდეგაა მიმართული. მოსკოვისა და ფხენიანის თავდაცვითი შესაძლებლობები არათანაბარია,"** - აცხადებს პუტინი და აქვე დასძენს, რომ სარაკეტო თავდასხმების ასაცილებლად რუსეთის თავდაცვის სისტემა შეუცდომლად იმუშავებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ არც რუსეთის ტერიტორიულ წყლებში და არც რუსეთის ეკონომიკურ ზონაში კორეული სარაკეტო ნაწილების ჩამოვარდნა არ დაფიქსირებულა.




*ვლადიმირ პუტინისთვის ონლაინ პრესკონფერენციები ტრადიციად იქცა.*

პუტინს გუშინ ისეთი არაორდინარული საკითხების კომენტირებაც მოუხდა, როგორიც, მაგალითად, ჯორჯ ბუშის სულია.

**„რა დაინახეთ ჯორჯ ბუშის სულში?"** - ასეთი კითხვა მიიღო რუსეთის პრეზიდენტმა 37 წლის მიხაილისგან. პუტინი არ დაიბნა და უპასუხა, რომ **„ჯორჯ ბუში წესიერი ადამიანი და კარგი პარტნიორია, რომელთანაც მოლაპარაკება შეიძლება".**

**„ჯორჯ ბუში ჩემთვის ძალიან მოსახერხებელი პარტნიორია, რომელთანაც მხოლოდ საუბარი კი არა, მოლაპარაკებაც შეიძლება,"** - განავრცო თემა პრეზიდენტმა პუტინმა და დასძინა, რომ ბუში იმ ადამიანთა წრეში იმყოფება, რომელთაც მე მეგობრებად მივიჩნევო. **„არა აქვს მნიშვნელობა, როგორი რეიტინგი გაქვს დღეს, პოლიტიკოსისთვის მთავარია წესიერი და პატიოსანი ადამიანი იყო,"** - ბოლომდე მაინც ვერ გაუძლო მეგობარი ბუშის ქებას პუტინმა.

აქვე დაისვა კითხვები აშშ-ზე, როგორც პარტნიორ ქვეყანაზე. **„აშშ რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია გლობალური უსაფრთხოების საკითხებში,"** - აცხადებს პუტინი.

**„ზოგ საკითხში ჩვენ პრაქტიკულად არ გვყავს უფრო სანდო პარტნიორი, ვიდრე აშშ. მხედველობაში მაქვს გლობალური უსაფრთხოება და განიარაღება,"** - დასძინა მან.

რუსეთის პრეზიდენტმა გუშინ დაამშვიდა მთელი მსოფლიო და ხაზგასმით აღნიშნა, რომ აშშ-სთან დაპირისპირებას რუსეთი არასოდეს აპირებს: **„რუსეთს უკვე ვერავინ უბიძგებს აშშ-სთან დაპირისპირებისკენ, როგორც ეს სსრკ-ს დროს იყო."**

ამერიკიდან პუტინი რბილად გადავიდა ირანსა და მის ბირთვულ თემატიკაზე.

რუსეთის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ირანის ბირთვული დოსიე გაერო-ს უშიშროების საბჭოში კი არა, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში უნდა დაბრუნდეს. **„კარგი იქნება, თუ ჩვენ აღარ ვისაუბრებთ სანქციებზე და ეს საკითხი ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში პროფესიონალთა დონეზე გადაწყდება. უნდა შესრულდეს ის წინადადებები, რომლებიც „ექვსეულმა" ჩამოაყალიბა. რამდენადაც ვიცი, თეირანი მზადაა დიალოგისთვის. მე პირადად, როგორც ადამიანს, რომელიც „დიდი რვიანის" სამიტს მასპინძლობს, მირჩევნია, ეს დიალოგი მანამდე დაიწყოს, ვიდრე „დიდი რვიანის" ლიდერები სანკტ-პეტერბურგში შეიკრიბებიან,"** - განაცხადა პუტინმა.

რაც შეეხება „დიდ რვიანს", ამ საკითხზე პუტინმა ძველი წყენაც გაიხსენა.

პუტინს მიაჩნია, რომ ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც „დიდი რვიანი" ღებულობს, უნდა შესრულდეს. მან რამდენიმე წლის წინ კიოლნში გამართული „დიდი რვიანის" სხდომა გაიხსენა, სადაც ყოფილი სსრკ-ს ვალების რესტრუქტურიზაციის საკითხი გადაწყდა, რომელთა გადახდაც რუსეთს დაეკისრა. **„ეს არასწორი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ჩვენ მას ვასრულებთ,"** - აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა. **„ამავე სხდომაზე გადაწყდა, რომ რუსეთს დახმარება სჭირდება, მაგრამ ეს მალევე დაივიწყეს. სიმართლე გითხრათ, დღეს რუსეთს დახმარება არ სჭირდება, მაგრამ მაღალ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები უნდა სრულდებოდეს,"** - სწყინს პუტინს.

პუტინმა გუშინ ევროპელებიც დააიმედა - მისი თქმით, რუსეთი არ დაუშვებს ევროპის გაზმომარაგებაში შეფერხებებს: **„უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში გაზით ევროპას ჩვენ ვამარაგებთ და არც ერთხელ, არც ერთი დღით შეფერხება არ ყოფილა, ევროპელებს შეუძლიათ მშვიდად იყონ."**

კითხვაზე, ხომ არ ცდილობს რუსეთი გაზზე ფასების მომატებით გავლენა მოახდინოს უკრაინის პოლიტიკაზე, პუტინმა განაცხადა, რომ **„ამ საკითხთან დაკავშირებით ევროპულ პრესაში ატეხილი ისტერიკა მართლაც არის მცდელობა პოლიტიკური ზეწოლისა, მაგრამ არა უკრაინაზე, არამედ რუსეთზე".**

**„ვიღაცას უნდა გვაიძულოს, რომ გაზი ისევ სასაცილოდ დაბალ ფასად გავყიდოთ. ეს არ მოხდება, ყველამ თანაბრად უნდა გადაიხადოს,"** - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

როგორც პუტინი აცხადებს, მისთვის მძიმე იქნება 2008 წელს პრეზიდენტის პოსტიდან წასვლა. ამასთან მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მესამე ვადით გაპრეზიდენტებას არ აპირებს. **„ვფიქრობ, კანონების, მით უმეტეს კონსტიტუციის ერთ ადამიანზე მორგება გაუმართლებელია. ჩვენ ყველამ უნდა ვისწავლოთ კანონმორჩილება,"** - განაცხადა პუტინმა.

პრეზიდენტი პუტინი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ რუსული პრესა ნაკლებად თავისუფალია. **„მე, უბრალოდ, დარწმუნებული ვარ, რომ დემოკრატიის განვითარების, პრესის თავისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების გარეშე რუსეთს მომავალი არა აქვს,"** - აცხადებს რუსეთის პირველი პირი.

გლობალური საკითხების პარალელურად, გუშინდელი კონფერენცია რუსეთის პრეზიდენტმა ყოფილი პროფესიის პოპულარიზაციისთვისაც გამოიყენა. სუკ-ის „რეკლამა" ერთ-ერთ შეკითხვას მოჰყვა, რომლის ავტორმაც პუტინს სუკ-ში გატარებული წლები შეახსენა. პუტინმა აღნიშნა, რომ სუკ-ში მუშაობამ მას ადამიანებთან ურთიერთობა და პარტნიორების პატივისცემა ასწავლა. მისი თქმით, სუკ-ში იგი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით მუშაობდა.

და, რა თქმა უნდა, პასუხგაუცემელი არ დარჩა ონლაინ-კონფერენციის ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული კითხვა, რომელიც 5 წლის ნიკიტა კონკინისა და პრეზიდენტ პუტინის შეხვედრას ეხება. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ტელეკამერებმა გადაიღეს კადრი, სადაც პრეზიდენტ პუტინი კრემლის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტების ჯგუფთანაა აღბეჭდილი. პუტინი პატარა ბავშვს მიეფერა, მაისური აუწია და მუცელზე აკოცა. ამ ფაქტმა რუსულ მედიაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

**„რატომ აკოცეთ პატარა ნიკიტას მუცელზე?"** - დაისვა კითხვა.

**„ეს იყო დაუგეგმავი შეხვედრა. მე ის მომეჩვენა ძალიან დამოუკიდებელ და სერიოზულ ადამიანად და ამავე დროს ბავშვები ისეთი დაუცველები არიან. მინდოდა უბრალოდ მოვფერებოდი მას, რომელიც პატარა ფისოსავით საყვარელი იყო,"** - ასე იმართლა თავი პუტინმა, რომელიც ამ ყბადაღებული ეპიზოდის შემდეგ, ალბათ, საკუთარ შვილიშვილებთანაც თავშეკავებული იქნება.

# ჩაშლილი ტენდერი და სამომავლო პერსპექტივები

*ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებასთან ერთად თბილისის მთავრობამ ქალაქის დასუფთავებაზე ზრუნვა განაახლა. წლის დასაწყისში საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაგვა-დასუფთავებაზე გამოცხადებული ტენდერი ვერ შედგა და ევროპიდან ნაგვის მანქანების ჩამოყვანა და 2300 ადამიანის დასაქმება ბიუჯეტის ხარჯზე გადაწყდა.*

ნათია მსხილაძე

ტენდერი კომპანიის გამოსავლენად, რომელიც ქალაქის დასუფთავებას საკუთარ თავზე აიღებდა, 9 იანვარს გამოცხადდა. როგორც თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი კობა სუბელიანი ამტკიცებდა, განაცხადი მხოლოდ ექვსმა მსურველმა შეიტანა. აქედან, ორი უცხოური კომპანია იყო. **„დღეს არსებულ შპს-ებს შესაბამისი ტექნიკა არ აქვთ, რომ სიტუაცია დაარეგულირონ. შესაბამისად, ჩვენ გამოვაცხადეთ ტენდერი საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაგვა-დასუფთავებაზე და გამარჯვებული კომპანიის გამოვლენის შემდეგ ქალაქში სიტუაცია დარეგულირდება"**, - აცხადებდა კობა სუბელიანი.

თუმცა, ტენდერი მაინც ვერ შედგა. **„საბოლოოდ ტენდერში მონაწილეობაზე სურვილი არცერთმა კომპანიამ არ გამოთქვა და ტენდერი ჩაიშალა. ამიტომ, გადვწყვიტეთ, რომ ერვოპიდან ნაგვის მანქანები ჩამოგვეყვანა და 2300 ადამიანი დაგვესაქმებინა. ნაგვის მანქანები ერვოპის ქვეყნებიდან შემოგვყავს. კერძოდ, გერმანიიდან და ჰოლანდიიდან. ამისთვის თანხები საერთო ბიუჯეტიდან გამოიყო. ნაგვის მანქანების ჩამოყვანა დაახლოებით თვის ბოლოს დასრულდება"**, - აცხადებს კობა სუბელიანი.

**„ისევ აღდგება მეეზოვის ინსტიტუტი და ქალაქის დასუფთავებისთვის ნაგვის მანქანებს ჩამოვიყვანთ. ქალაქის ბიუჯეტიდან მანქანებისა და კონტეინერების შესაძენად 13 მილიონი ლარი გამოიყო"**, -აცხადებს ქალაქის პრემიერი თემურ ქურხული.

საამისოდ ქალაქის ბიუჯეტმა გარკვეული ცვლილებები განიცადა. მაშინ, როდესაც 2006 წლის ქალაქის ბიუჯეტი მტკიცდებოდა, მეეზოვის ინსტიტუტის დაფინანსება არ იყო გათვალისწინებული. ეს საკითხი ქალაქის მთავრობამ წლის მეორე ნახევარში გადაწყიტა.

თუმცა, მოსახლეობა საოჯახო ნარჩენების გატანისთვის კვლავ 40 თეთრს გადაიხდის. თბილისის დასუფთავების პროცესში 2300 ადამიანი მიიღებს მონაწილეობას. **„მეეზოვის საშუალო ხელფასი 200 ლარი იქნება, ხოლო ნაგვის მანქანის მძღოლის 400 ლარი. ამ ეტაპზე უკვე 1200 განცხადებაა შემოსული. განაცხადების მიღების ბოლო ვადა 20 ივლისია"**, -აღნიშნა კობა სუბელიანმა.

გარდა იმისა, რომ ქალაქს ახალი ნაგვის მანქანები და მომსახურე პერსონალი ეყოლება, ასევე, მოლაპარაკებები მიმდინარეობს ნაგავგადამამუშავებელი ქარხნის დამონტაჟებაზე. **„ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნის გაკეთებით იაპონელები არიან დაინტერესებულნი. ისინი დებენ ინვესტიციას და ექნებათ გრანტი, რომელიც მსოფლიო ბანკისგან უნდა მოიპოვონ. ამ ქარხნის დამონტაჟებისთვის ბიუჯეტიდან არც ერთი თეთრი არ დაიხარჯება. პირიქით, ბიუჯეტს მოგების გადასახადს მოუტანს"**,- აცხადებს კობა სუბელიანი.

## *მოკლედ*

### პროტესტი გრძელდება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებელთა ნაწილმა საპროტესტო აქცია გუშინაც გამართა. მოთხოვნებიც უცვლელი რჩება - შეწყდეს კონკურსები, გადადგეს და დაისაჯოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ხუბუა.

ოპოზიციურად განწყობილმა მეცნიერებმა გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს წერილით მიმართეს და გიორგი ხუბუასა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის კახა ლომაიას დასჯა მოითხოვეს. **„ის, რაც უნივერსიტეტის შენობაში ხორციელდებოდა, ადამიანების წამება და მორალური ტერორი იყო, რომელიც ლომაიამ შეუკვეთა და ხუბუამ შეასრულა. მათ ქმედებას აუცილებლად სამართლებრივი შეფასება უნდა მოჰყვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ გავჩერდებით,"** - განაცხადა პროფესორმა ნესტან კირთაძემ. მეამბოხე მეცნიერების ადვოკატს ლია მუხაშავრიას მიაჩნია, რომ მათი საჩივარი სამართლიანია, რადგან მეცნიერებს აქვთ უფლება მოითხოვონ იმ ადამიანების დასჯა, ვინც ძალოვნების უნივერსიტეტში შეყვანის ბრძანება გასცა.

ამ განცხადებას რექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ხუბუა გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ **„ყველას აქვს უფლება ისე მოიქცეს, როგორც სურს, მაგრამ კონკურსები ჩატარდება დაგეგმილ დროს და დაგეგმილი წესით, და მომავალში ჩვენ გვექნება უკეთესი უნივერსიტეტი"**.

უკმაყოფილო პროფესორები აქციების შეწყვეტას არ აპირებენ. მათ კიდევ ერთხელ მოუწოდეს საზოგადოებას მათ პროტესტს შეუერთდეს. ***24 საათი***

### საქართველოს პრეზიდენტისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა ვაშინგტონში

2006 წლის 5 ივლისს ვაშინგტონში საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს აბდულა გიულის. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი.

შეხვედრაზე განხილული იყო ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები, მათ შორის, ეკონომიკისა და ენერგეტიკის სფეროებში, აგრეთვე საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხი.

შეხვედრაზე დაიგეგმა საქართველოს პრეზიდენტისა და თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, აგრეთვე საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის საგარეო უწყებების ხელმძღვანელთა შეხვედრები სტამბოლში 2006 წლის 12 ივლისს. **24 საათი**

### საქართველო-სომხეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-5 სხდომა

2006 წლის 7-10 ივლისს ქ. ბათუმში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელისა და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ანდრანიკ მარგარიანის ხელმძღვანელობით, გაიმართება საქართველო-სომხეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მორიგი მე-5 სხდომა. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ჩეჩელაშვილი.

სხდომაზე იგეგმება ორ ქვეყანას შორის ორმხრივი ეკონომიკური და ჰუმანიტარული თანამშრომლობის პრიორიტეტების განსაზღვრა და აქტუალური საკითხების განხილვა, აგრეთვე ორ სახელმწიფოს შორის არსებული სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესებისა და სრულყოფის საკითხები.

კომისიის ფარგლებში ჩატარდება ორი ქვეყნის საქმიანი წრეების ბიზნეს ფორუმი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ანდრანიკ მარგარიანი. **24 საათი**

### სუამ-ის წევრი-ქვეყნები კორუფციის წინააღმდეგ

თბილისში სუამ-ის წევრი-ქვეყნების ანტიკორუფციული კონფერენცია ტარდება. „ორგანიზაცია დემოკრატიისა და ეკონომიკის განვითარებისთვის - სუამი"-ს ფარგლებში 6-7 ივლისს მიმდინარე კონფერენციის ორგანიზატორები საქართველოს შსს და ევროატლანტიკური საკონსულტაციო ჯგუფი არიან.

კონფერენციაში მონაწილეობენ საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის სამართალდამცავი ორგანოების ანტიკორუფციული სამსახურების ხელმძღვანელები, ასევე უცხოელი ექსპერტები.

როგორც სააგენტო „day.az" იუწყება, კონფერენციაზე განიხილავენ რამდენიმე ძირითად საკითხს. კერძოდ, რეგიონის ქვეყნებზე კორუფციის გავლენას, სამართალდამცავ ორგანოებში კორუფციასთან ბრძოლის ევროპულ მოდელებს, სუამ-ის ქვეყნების ეროვნული ანტიკორუფციული სამსახურების მოქმედებებს და ამ საკითხებში თანამშრომლობას სუამ-ის ფარგლებში. **ინტერპრესნიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# სრული მხარდაჭერა

პირველი გვერდიდან

**„შეერთებული შტატები ბოლომდე დაუჭერენ მხარს ჩვენს ბრძოლას თავისუფლებისათვის,“** - ასე შეაფასა აშშ-ს პრეზიდენტთან ჯორჯ ბუშთან გამართული შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტი გუშინ ვაშინგტონში შეხვედრებს განაგრძობდა. იგი შეხვდა ამერიკის თავდაცვის მდივანს დონალდ რამსფელდს, სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს, ეროვნული დაზვერვის დირექტორს ჯონ ნეგროპონტეს, სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს რიჩარდ ლუგარს და მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს პოლ ვულფოვიცს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრებზე დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოში მიმდინარე ცვლილებებს, ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და ენერგოუსაფრთხოების საკითხებს, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარებას.

**„ჩვენი ქვეყანა, ისევე როგორც ჩვენი სამეზობლო, არის მნიშვნელოვანი ევროპისათვის და ამერიკისთვის. იმ თვალსაზრისით, რომ პერსპექტივაში მათ უნდა ჰქონდეთ ალტერნატიული ენერგოდერეფანი, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ძალიან მკაფიოდ ჩამოყალიბდა აშშ-ს პოზიცია ნატო-სთან მიმართებაში,“** - განაცხადა ვაშინგტონში გამართული შეხვედრების კომენტირებისას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა.

**„განვიხილეთ საქართველოსა და აშშ ურთიერთობის მთელი სპექტრი, ძალიან სერიოზული საუბარი გვქონდა კონფლიქტის თემაზე. ჩვენი აზრით, შეხვედრის მთავარი მოტივაცია იყო ის, რომ კონფლიქტები გახდეს რუსეთ-ამერიკის სტრატეგიული დიალოგის ნაწილი და ამ თემაზე იყოს დეტალური, შინაარსიანი საუბარი „დიდ რვიანზე“**, - განაცხადა პრეზიდენტის მრჩეველმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში ირაკლი ალასანიამ.

**„მიხეილ საკაშვილმა დღევანდელ შეხვედრას ტყუილად არ უწოდა ისტორიული. მე ვიტყოდი ის იყო ექსტრაორდინარული,“** - აცხადებს ამერიკელი ექსპერტი რუსეთისა და ევრაზიის საკითხებში სტივენ სესტანოვიჩი. მისი თქმით, **„მიხეილ სააკაშვილმა მკაფიოდ გაიგო, რომ აშშ, რომელიც მსოფლიო პოლიტიკაში ჯერჯერობით ამინდს ქმნის, მის მხარესაა“.**

**„რაც შეეხება მტკივნეულ საკითხებს, გაყინული კონფლიქტები უნდა გადაიჭრას. ეს თემა „დიდი რვიანის“ შეხვედრის კულმინაციად უნდა გადაიქცეს. ეს უკვე რუსეთს დიდ დარტყმას მიაყენებს. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემა ქართველებს მალე აღარ გექნებათ. საქართველო ჯერ არაა ნატო-ში, თუმცა მასთან ღირებულებებითაა ახლოს,“** - განაცხადა სესტანოვიჩმა.

გაერო-ში აშშ-ს ყოფილი ელჩის რიჩარდ ჰოლბრუკის თქმით, **„სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი რუსეთის ნაწილი ვერასდროს გახდება. ეს ყველამ კარგად უნდა იცოდეს. დაივიწყონ რეფერენდუმი, რომელსაც ბოლო დროს ძალიან ხშირად ახსენებენ, ვინაიდან ეს უსამართლო იქნება“.**

**„ბუშის კომენტარებს აქვს სერიოზული, მაგრამ გამოუთქმელი მნიშვნელობა. საქართველო, რომელიც რუსეთის სამხრეთ საზღვართან მდებარეობს, უკვე მრავალი წელია მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობებში დაძაბულობის კერას წარმოადგენს. ოფიციალური პირებისა და ანალიტიკოსების აზრით, სააკაშვილთან შეხვედრის ასე გახმაურებით ბუშმა, რომელიც „დიდი რვიანის“ სანკტ-პეტერბურგის სამიტზე მიემგზავრება, მიანიშნა, რომ შეშფოთებულია კრემლის დამოკიდებულებით ყოფილი სატელიტების მიმართ,“** - წერს ამერიკული გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“.

**„ეს არის ხერხი იმის დეკლარირებისათვის, რომ ჩვენ არ დავივიწყებთ ჩვენს მეგობრებს რეგიონში, რომლებთანაც საერთო ინტერესები გვაკავშირებს,“** - აცხადებს გაზეთთან საუბარში აშშ სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის ექსპერტი კორი უელტი. „ვაშინგტონ პოსტი“ აღნიშნავს, რომ აშშ-ს საქართველოსთან ამგვარი ურთიერთობა რუსეთს უკიდურესად აღიზიანებს.

აშშ სახელმწიფო მდივნის თანაშემწე მეთ ბრაიზა რუსულ გაზეთ „კომერსანტთან“ საუბარში აცხადებს, რომ სააკაშვილისა და ბუშის შეხვედრისგან კონკრეტულ შედეგებს არ ელოდა, თუმცა კონფლიქტების მოგვარების კონკრეტულ გზებზე საუბრობს.

**„უბრალოდ გვინდა დავანახოთ ყველას, ევროპაში, რუსეთში, საქართველოში, რომ ბოლო დროს საქართველო სწორი მიმართულებით მიდის. საქართველო დაკავებულია კონფლიქტების მოგვარებით საკუთარ ტერიტორიაზე და ამისთვის კონსტრუქციულ ზომებს გვთავაზობს. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველომ უკვე მონახა საკუთარი ადგილი ევროპაში“**, - განაცხადა მეთიუ ბრაიზამ.

საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების პრობლემებზე საუბრისას სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ აღნიშნა: **„სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში, ჩემი აზრით, უნდა გადავწყვიტოთ კრიმინოგენული სიტუაციის საკითხები, რაც როკის გვირაბს უკავშირდება, საიდანაც კონტრაბანდა და შეიარაღება შედის. ეს სამხრეთ ოსეთში სიტუაციის დესტაბილიზაციას უწყობს ხელს და სპობს ნდობას მხარეებს შორის“.** მისი თქმით, **„რუსეთმა და ეუთო-მ უნდა ითანამშრომლონ როკის გვირაბის გაკონტროლების საკითხებში“.**

აფხაზეთის კონფლიქტზე საუბრისას მეთიუ ბრაიზამ აღნიშნა, რომ **„აფხაზეთი სულ სხვა საქმეა. ისევე, როგორც სამხრეთ ოსეთში, იქ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ნდობის განმტკიცებას“.**

**„უნდა გაკეთდეს განცხადება, რომ საქართველო აფხაზეთის წინააღმდეგ ძალას არ გამოიყენებს. აფხაზეთმა კი უნდა განაცხადოს, რომ მზადაა იძულებით გადაადგილებული პირები მიიღოს. სერიოზული საუბარი აფხაზეთის სტატუსზე ჯერჯერობით შეუძლებელია“**, - განაცხადა ბრაიზამ.

## ვაშინგტონის შეხვედრის ექო თბილისში

პირველი გვერდიდან

მისივე თქმით, „დიდი რვიანის“ ქვეყნების ლიდერების სამიტზე კიდევ ერთხელ დადასტურდება, რომ რუსეთს აქვს უპირატესი როლი კონფლიქტების მოგვარების საკითხში და ეს როლი მომავალში კიდევ უფრო გამყარდება. **„ამერიკის პრეზიდენტი ალბათ მოითხოვდა სააკაშვილისგან, რომ მან არ შეუტიოს რუსეთის სამშვიდობო ძალებს და მათთან კარგი დამოკიდებულება იქონიოს. ჩემი აზრით, საუბარი იქნებოდა აგრეთვე იმაზეც, რომ საქართველომ ხელი არ შეუშალოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებას,“** - მიიჩნევს ზაქარეიშვილი.

**„ამერიკას კვლავ აქვს ინტერესი ენერგეტიკული პროექტების მიმართ. რაკი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი უკვე განხორციელებული პროექტია, ასევე - ბაქო-ერზრუმის გაზსადენი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტრანსკასპიური გაზსადენი იყო ერთ-ერთი აქტუალური თემა,“** - მიაჩნია კავკასიის მშვიდობისა და დემოკრატიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს გია ნოდიას.

**„რა გაარჩიეს იმ შეხვედრის დროს, რა გადაწყვეტილებები მიიღეს, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. მოლაპარაკების ეს ნაწილი ჯერ არ გახმოვანებულა. როგორც ჩანს, რაღაც გადაწყვეტილებები მიიღეს. თუმცა, აშშ-ს პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული იყო გადაწყვეტილება, რომ აშშ საქართველოს მხარში დაუდგება ყველაფერში და ქვეყანა სწორი გზით მიდის,“** - აცხადებს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის პრეზიდენტი ალექსანდრე რონდელი.

პარლამენტის წევრის, ფრაქცის „დემოკრატიული ფრონტის“ წარმომადგენლის დავით ზურაბიშვილის თქმით, **„ცხადია, აშშ მხარს დაუჭერს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას. საკითხავია, როდის მოხდება ეს, რანაირად, რა ეტაპებით? მე ვისურვებდი, რომ ეს სწრაფად ყოფილიყო, მაგრამ რამდენად სწრაფად მოხდება ეს, არ ვიცი, ეს ასე ცალსახად არ თქმულა“.**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, **„ჩვენს გვაქვს აშშ-ს ძალიან სერიოზული და მყარი მხარდაჭერა ჩვენი კანონიერი ინტერესების განხორციელების თვალსაზრისით, ყველა მიმართულებით. ამ სერიოზულ პოლიტიკურ და დიპლომატიურ მხარდაჭერას საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის კი არა, უფრო დიდი ქვეყნისთვისაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. იმედია, ამას კონკრეტული პოზიტიური შედეგები მოჰყვება“.**

*24 საათი*

# პროექტები და კონტრპროექტები

## „გაზსადენების ომი˝ ევროკავშირსა და რუსეთს შორის

*ევროკავშირის მიერ ახალი გაზსადენის - „ნაბუკოს“ მშენებლობის მხარდაჭერას მოსკოვში მშვიდად უყურებენ. „გაზპრომის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კავკასიის ევროპასთან შემაერთებელი გაზსადენები, მცირე სიმძლავრიდან გამომდინარე, რუსული გაზის მიწოდებას კონკურენციას ვერ გაუწევს. თუმცა, ალტერნატიული ენერგეტიკული დერეფნის ამოქმედებით, რუსეთის ევროპაზე პოლიტიკური გავლენის შესაძლებლობები შემცირდება.*

დიმიტრი ავალიანი

26 ივნისს ბრიუსელში ევროკომისიის ენერგეტიკის კომისარმა ანდრის პიბალგსმა და თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტებს „ნაბუკოს“ პროექტის განხორციელების თაობაზე. იგეგმება, რომ ახალი გაზსადენი, რომლის მშენებლობაშიც ევროკავშირი 5,8 მილიარდი დოლარის ინვესტირებას აპირებს, საქართველოს საზღვრიდან თურქეთის გავლით, ევროპას თურქმენეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის გაზს მიაწვდის. ანუ ახალი გაზსადენი ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენს, მომავალში კი ტრანსკასპიურ გაზსადენს შეუერთდება, რომლის მშენებლობის საკითხსაც ამჟამად ევროკავშირი განიხილავს.

„ნაბუკოს“ პროექტი ევროპისათვის რუსული გაზის რეალური ალტერნატივა გახდება. მისი მშენებლობის დაწყება 2008 წელს იგეგმება, ამოქმედება - 2012 წელს.

პიბალგსის თქმით, ევროპა გაზსადენის მშენებლობას **„არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ ტექნიკურადაც შეუწყობს ხელს“**. პირველ რიგში, ეს საინვესტიციო გარანტიებს ნიშნავს. პროექტმა ტრანსევროპული ქსელის სტატუსი მიიღო. პროექტის მონაწილეებს შორის არიან ავსტრიული კომპანია OMV Aktiengesellschaft, თურქული Botas, ბულგარული Bulgargaz, რუმინული Romanias Trabsgaz, და უნგრული MOL.

მოსკოვში „ნაბუკოს“ პროექტს მშვიდად შეხვდნენ. კომპანია „გაზექსპორტის“ ხელმძღვანელის ალექსანდრე მედვედევის განცხადებით, **„პროექტის მონაწილეებს არ გააჩნიათ არც გაზის რესურსები მილის შესავსებად და არც გასაღების ბაზარი. რუსეთი ყოველწლიურად ევროპას 150 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს აწვდის და „ნაბუკო“ 30 მილიარდის გამტარუნარიანობით ჩვენთვის კონკურენტი არ არის“**.

რუსი მიმომხილველების აზრით, რუსული გაზის ბაზრისათვის პროექტი საფრთხეს არ წარმოადგენს. სამაგიეროდ, ეს არის საფრთხე რუსეთის ენერგეტიკული ინიციატივებისათვის, რომლებიც რუსეთს მიერ ევროპის გაზგამანაწილებელ სტრუქტურებზე კონტროლის ხელში ჩაგდებას გულისხმობს. ალტერნატიული გაზსადენების ამოქმედებით შემცირდება ევროპის დამოკიდებულება რუსულ გაზზე და, შესაბამისად, რუსეთი ევროპის შანტაჟის საშუალებას დაკარგავს. ამგვარი შანტაჟის მცდელობებს უკვე ჰქონდა ადგილი, რამაც აიძულა ევროკავშირი ალტერნატიულ ენერგეტიკულ წყაროებზე დაფიქრებულიყო.

ევროკავშირის ქვეყნების გარდა, პროექტისადმი დიდ ყურადღებას აზერბაიჯანი, ყაზახეთი და თურქეთი იჩენს. როგორც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა, მის ქვეყანას ევროპაში ექსპორტის ამბიციები აქვს. **„გასულ წლამდე ჩვენ აზერბაიჯანული გაზის გასაღების ბაზრებად მხოლოდ თურქეთსა და საქართველოს განვიხილავდით. ამჟამად სიტუაცია შეიცვალა“**, - განაცხადა ალიევმა. მისი თქმით, დღეისთვის ბაქოში ხედავენ, რომ ევროპაში გაზზე მოთხოვნა იზრდება და ამ ტენდენციის ზედმიწევნით შეფასებას გეგმავენ.

გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობს ბრძოლა ყაზახეთისათვის. მიმდინარე წლის მარტში, ყაზახეთის პრეზიდენტთან შეხვედრაზე აშშ-ს ენერგეტიკის მინისტრმა სამუელ ბოდმანმა განაცხადა, რომ ყაზახეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლობალური ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. რუსეთსა და თურქმენეთს შორის გაზის ფასების საკითხში წარმოშობილი უთანხმოების წყალობით, როგორც ჩანს, პროექტისადმი ინტერესს თურქმენბაშიც გამოიჩენს.

ამ ტენდენციების გათვალისწინებით, რუსეთი „ნაბუკოს“ პროექტის პერსპექტიულობის შემცირებას ცდილობს. 22 ივნისს „გაზპრომმა“ და უნგრულმა კომპანია „მოლ“-მა ხელი მოაწერეს შეთანხმებას სამხრეთევროპული გაზსადენის პროექტის რეალიზაციის შესაძლებლობების შესწავლის შესახებ. ამ გაზსადენით ევროპას რუსული გაზი შავი ზღვის ფსკერზე გამავალი „ცისფერი ნაკადის“ გაზსადენის მეშვეობით, თურქეთის გავლით უნდა მიეწოდოს.

რუსულ-ევროპულ გაზის თამაშებში განსაკუთრებული ადგილი თურქეთს უკავია. იგი, როგორც რუსული, ასევე ევროპული, ახალი ენერგეტიკული პროექტების პოტენციური მონაწილეა. 29 ივნისს რუსეთისა და თურქეთის პრეზიდენტების შეხვედრისას საუბარი სამხრეთევროპული გაზსადენის პერსპექტივებაც შეეხო. კონკრეტული შეთანხმებისათვის ხელი არ მოუწერიათ, თუმცა, სეზერმა განაცხადა, რომ **„ცისფერმა ნაკადმა“ ჩვენი თანამშრომლობა ამ დარგში სტრატეგიულ დონეზე აიყვანა. ჩვენი ვარაუდით, ახალი პროექტების წყალობით ამ თანამშრომლობას კვლავაც განვავითარებთ. ამასთან დაკავშირებით, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ რუსეთთან თანამშრომლობას „სამსუნი-ჯეიჰანის“ პროექტის განხორციელებაში**.

განცხადება იმის შესახებ, რომ „გაზპრომი“ და იტალიური კომპანია „ენი“ უახლოეს მომავალში ხელს მოაწერენ შეთანხმებას თურქეთში სამსუნი-ჯეიჰანის ახალი გაზსადენის მშენებლობის თაობაზე, რამდენიმე დღის წინ რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ალექსეი კუდრინმა გააკეთა. ამ გაზსადენით გაზი შესაძლოა ისრაელს, საბერძნეთს და იტალიას მიეწოდოს.

რუსეთისა და ევროკავშირის მეტოქეობის წყალობით, თურქეთი ყველა მხარისთვის საჭირო „ევროპის ენერგეტიკულ კარიბჭედ“ იქცა. თუმცა, მიმომხილველები არ გამორიცხავენ, რომ „ცისფერ ნაკადზე“ საუბარი თურქეთის მხრიდან მხოლოდ ევროპისათვის საკუთარი მნიშვნელობის დამტკიცებას ემსახურება, რადგან „ნაბუკოს“ პროექტს თავად თურქეთი დიდ იმედებს უკავშირებს. ევროკავშირისათვის კი „ნაბუკოს“ გაზსადენი არა იმდენად ეკონომიკური, არამედ საკუთარი ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცედენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ. კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია ,,საქართველოს ნაციონალური ავიახაზების,, ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- შ. რუსთაველის პრ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
თბილისის საერთაშორისო აეროპორტი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოცემული განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

# დაუსაბუთებელი განაჩენი

პირველი გვერდიდან

„საუკუნის პროცესად" წოდებული სასამართლო პროცესი გუშინ, ხმაურიან ინციდენტს ვერ ასცდა. მანდატურების გაძლიერებულმა რაზმმა, რომელიც განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა, ჯერ სანდრო გირგვლიანის მეგობარი დააკავა, ხოლო შემდეგ - „რესპუბლიკური" პარტიის წარმომადგენელი. გაუგებარი მოტივით დაკავებას, საზოგადოების წარმომადგენლების შეფასებით კი ძალადობას, სასამართლოს შენობასთან შეკრებილი აქციის მონაწილეები გამოეხმაურნენ. სასამართლოს შენობაში მანდატურებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს შორის გამართული ხელჩართული ჩხუბი 10-15 წუთს გაგრძელდა და, საბოლოოდ, უკანონოდ დაკავებულთა განთავისუფლებით დასრულდა.

„სანდრო! სანდრო!" - სასამართლოს შენობის წინ შეკრებილი საზოგადოების წარმომადგენლების ამ შეძახილების ფონზე, მოსამართლე გიორგი ჩემიამ განაჩენი, უფრო ზუსტად, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი ჟურნალისტებს, მანდატურებს, ნიღბიან სპეცრაზმელებსა და განსასჯელებს ორ წუთში წაუკითხა. გიორგი ჩემიას განაჩენით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს ყოფილ უფროსს გია ალანიას 8 წლით პატიმრობა მიესაჯა, ხოლო ამავე სამსახურის ყოფილ ოფიცრებს - ავთანდილ აფციაურს, ალექსანდრე ღაჭავასა და მიხეილ ბიბილურიძეს - 7-7 წლით პატიმრობა. ადამიანის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, - ამ ბრალდებებით გაასამართლეს კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნები.

**„საქმის მასალებით და სასამართლო გამოძიებით დადასტურებულია, რომ დანაშაული ჩაიდინეს ალანიამ, ღაჭავამ, აფციაურმა და ბიბილურიძემ,"** - ასეთია მართლმსაჯულების ვერდიქტი, თუმცა, მოსამართლეს განაჩენის გამოცხადებისას არაფერი უთქვამს დანაშაულის მოტივზე - თუ რა იყო სანდრო გირგვლიანის მკვლელობისა და ლევან ბუხაიძის გატაცებისა და წამების მოტივი. არადა, წინასწარი გამოძიების მიერ ღიად დატოვებულ არსებით შეკითხვებზე ამომწურავი პასუხი სწორედ სასამართლო გამოძიებას უნდა გაეცა.

სხვათა შორის, სასამართლო განაჩენით უკმაყოფილო დარჩა მსჯავრდებულთა ადვოკატი დავით ხაჟალიაც. მან გიორგი ჩემიას განაჩენს ყოვლად უკანონო და დაუსაბუთებელი უწოდა. **„რა მტკიცებულებები გააჩნია სასამართლოს, ჩვენთვის უცნობია, განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, თუ ჩაგვბარდება მოტივირებული განაჩენი, მას აუცილებლად გავასაჩივრებთ,"** - განაცხადა დავით ხაჟალიამ, რომლის თქმითაც, მისთვის გაუგებარია, რატომ მიუსაჯა მოსამართლემ მიხეილ ბიბილურიძეს პატიმრობა მაშინ, როცა დაზარალებულმა ლევან ბუხაიძემ აღიარა, რომ ოქროყანის სასაფლაოზე მას ბიბილურიძე არ უნახავს.

მართალია, მოსამართლეს დანაშაულის მოტივი არ გამოუქვეყნებია, მაგრამ, როგორც ჩანს, მან პროკურატურის ვერსია გაიზიარა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, რომელიც, ძირითადად, ბრალდებულთა ჩვენებებზეა აგებული, 27 იანვარს ინციდენტი მოხდა იმის გამო, რომ „შარდენ ბარის" კართან მისულმა გია ალანიამ სანდრო გირგვლიანის უწმაწური სიტყვები გაიგო, რომლითაც იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს მოიხსენიებდა, რამაც ალანიას აღელვება გამოიწვია და, რის გამოც, ლევან ბუხაიძე და სანდრო გირგვლიანი ალანიამ და მისმა თანამშრომლებმა დასაჯეს. სასამართლოსთვის პროკურატურის ეს ვერსია გახდა მისაღები.

დაზარალებულმა ლევან ბუხაიძემ კი ბოლო სასამართლო განხილვაზე ჩვენება ჩააბარა, რაც გირგვლიანის მკვლელობის „კვანძის გახსნის" საფუძველი უნდა გამხდარიყო და რითაც სასამართლო გამოძიება აუცილებლად უნდა დაინტერესებულიყო, რადგანაც, შემკვეთის გამოვლენას დაზარალებული მხარე - გირგვლიანის ოჯახი კატეგორიულად მოითხოვდა.

სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრები მკვლელობის შემკვეთებად კვლავ შსს-ს ყოფილ მაღალჩინოსნებს ასახელებენ: შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის ყოფილ თავმჯდომარეს დათა ახალაიას, შსს-ს გენერალური ინსპექციის ყოფილ უფროსს ვასილ სანოძეს, დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილ თანაშემწეს ოლეგ მელნიკოვს, შსს-ს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილ უფროსს გურამ დონაძეს და შს მინისტრის მეუღლეს თაკო სალაყაიას.

გირგვლიანების ოჯახი, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და საზოგადოების „ცნობილი სახეები" , რომლებიც საქმის სასამართლო მონიტორინგს ატარებდნენ, ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებენ. მათი მოთხოვნა გუშინ სასამართლოს შენობის წინ გამართულ აქციაზე კვლავ უცვლელი იყო - ჩადენილი დანაშაულისთვის, სანდრო გირგვლიანის მკვლელობისთვის, პასუხი პირველ რიგში, შემკვეთებმა უნდა აგონ.

**„დანაშაულის სათავე „შარდენ-ბარის" სუფრიდან მომდინარეობს, რომლის წევრებიც სანდრო გირგვლიანს გაუნაწყენდნენ. სუფრასთან გირგვლიანის მეგობარი თათია მაისურაძე და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნები და შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის მეუღლე ისხდნენ. არსებობს უამრავი მტკიცებულება, რომ „დამსჯელი ბრიგადა" ამ მაღალჩინოსნებმა გამოიძახეს და სანდროს გაუსწორდნენ. უამრავ მტკიცებულებებს შორის არის სატელეფონო ზარებიც. თუმცა, სასამართლო გამოძიება ისე დასრულდა, რომ მტკიცებულებების გამოქვეყნება-გამოკვლევა არ მომხდარა, მოსამართლემ არ გაიზიარა დაზარალებულის დაცვის არც ერთი შუამდგომლობა, რომლითაც სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან ამ პირების კავშირი დადასტურდებოდა,"** - ასეთია გირგვლიანების ოჯახის ადვოკატთა პოზიცია, რომელიც სასამართლოსთვის და პროკურატურისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

რაც ყველაზე მთავარია, პროკურორებისა და მოსამართლისთვის არაფრის მთქმელი გამოდგა დაზარალებულ ლევან ბუხაიძის ხელახალი ჩვენება და სკანდალური განცხადება.

**„პროცესის დაწყების დღიდან ვაკვირდები და ახლა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ განსასჯელის სკამზე მჯდომი ბიბილურიძე იმ ღამეს ოქროყანაში არ მინახავს. ასევე, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ, ისევ ჩემი დაკვირვებიდან გამომდინარე, ხმით, მოძრაობით და სასამართლო პროცესის ჩანაწერების ხელახლა ნახვით, მე აღვიდგინე ოქროყანაში მყოფი მეოთხე ადამიანი. დარწმუნებული ვარ და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მეოთხე იყო ოლეგ მელნიკოვი,"** - ასეთი გახლდათ ლევან ბუხაიძის ჩვენება, რომელსაც სამართლებრივი შეფასება სასამართლო პროცესზე არ მისცემია.

მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულის ჩვენება საკმარისი საფუძველი უნდა გამხდარიყო მელნიკოვის პასუხისგებაში მიცემისთვის, ასე არ მოხდა.

დაზარალებულისა და თვითმხილველის ჩვენება რატომღაც არ გაიზიარეს პროკურორებმა, არადა, წესით, პირიქით უნდა მომხდარიყო - კანონით, დაზარალებული და ბრალდება ერთი მხარეა, ანუ, პროკურატურა დაზარალებულის ინტერესების დამცველი უნდა ყოფილიყო. სხვათა შორის, გირგვლიანის საქმის სასამართლო პროცესზე ძალზე თვალშისაცემი იყო სახელმწიფო ბრალმდებელთა უპრეცედენტო პოზიცია, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ პროკურატურა არ ახორციელებდა ბრალდების პოზიციის დაცვას და რატომღაც განსასჯელთა დამცველობა იტვირთა.

**„გემუდარებით, არ ვაპატიოთ ძალადობა და უკანონობა ხელისუფლებას,"** - მოუწოდა სასამართლოს წინ შეკრებილ საზოგადოებას ირინა ენუქიძემ. „დადექით სიმართლის სადარაჯოზე", - ამ ძირითადი ლოზუნგით სასამართლოს წინ ჩატარებულმა საპროტესტო აქციამ, თბილისის პოლიციის მთავარ შენობასთან გადაინაცვლა, სადაც, აქციის მონაწილეებმა სოლიდარობა გამოუცხადეს „თანასწორობის ინსტიტუტის" დაპატიმრებულ წევრებს. აქცია უნივერსიტეტის ბაღში დასრულდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გუშინ გამოტანილ გადაწყვეტილებას დაზარალებული მხარე სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს. სააპელაციო საჩივარს შეიტანს მსჯავრდებულების ადვოკატიც. დავით ხაჟალია ლევან ბუხაიძის ჩვენებაზე პასუხს ითხოვს: **„ან ბუხაიძე იტყუება, ან მე უკანონო პატიმარს ვიცავ,"** - ასეთია ადვოკატის პოზიცია, რაზეც პასუხის გაცემას ის ამჯერად, სააპელაციო სასამართლოს მოსთხოვს.

სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატმა გუშინ უკვე მიმართა პროკურატურას და ოლეგ მელნიკოვის პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა.



*საპროტესტო აქცია სასამართლოსთან.*

სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატი შალვა შავგულიძე: **„ირინა ენუქიძემ ბუხაიძის ჩვენების საფუძველზე გენერალური პროკურორის სახელზე საჩივარი შეიტანა. როგორც ცნობილია, დაზარალებულმა პროცესზე დანამდვილებით დაასახელა, რომ ოლეგ მელნიკოვი დანაშაულში აქტიურად მონაწილეობდა. გირგვლიანის დედა ითხოვს, რომ დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა და დაკავებული იყოს მელნიკოვი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, თუ მოხდება მელნიკოვის მხილება, საბოლოოდ გამოაშკარავდება, რომ დანაშაული ორგანიზებულია სუფრის წევრების მიერ. მართალია, დიდი იმედი არ მაქვს, რომ პროკურორი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, მაგრამ ფაქტია, სამართლებრივად ჩვენი მოთხოვნა სრულიად დასაბუთებულია, რადგან საპროცესო კოდექსში პირდაპირ წერია - დაზარალებული ან თვითმხილველი თუ პირდაპირ მიუთითებს დანაშაულის ჩამდენ პირზე, ეს არის პირდაპირი საფუძველი აღნიშნული პიროვნების დასაპატიმრებლად. ამ შემთხვევაში კი ბუხაიძე დაზარალებულიც არის და თვითმხილველიც."**

■ ■ ■

დაზარალებული ლევან ბუხაიძე: **„წინასწარ იყო დაგეგმილი და დაწერილი სცენარი. სასამართლო პროცესზე განვაცხადე, რომ ოქროყანაში ოლეგ მელნიკოვი იყო და მე და სანდროს გვცემდა. ვფიქრობ, ამას სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს. აღნიშნული განცხადებიდან ერთი დღე გავიდა და ამ ხნის გამნავლობაში არც ჩემზე და არც ჩემს ოჯახზე არანაირი ზეწოლა არ განხორციელებულა, თუმცა მომავალში არც ამას გამოვრიცხავ."**

■ ■ ■

**„გირგვლიანის პროცესზე იმიტომ მოვედი, რომ მინდა მოსამართლეს თვალებში ჩავხედო",** - განაცხადა განაჩენის გამოცხადებამდე სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხში გოგა ხაინდრავამ, რომელიც ხელისუფლების ერთადერთი წარმომადგენელი იყო, ვინც გირგვლიანის პროცესზე მივიდა.

**„აღნიშნული პროცესით ხელისუფლება დაინტერესებულია, რადგან ეს ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ღირსების საკითხია",** - ირწმუნებოდა ხაინდრავა, რომელმაც განაჩენის გამოცხადების შემდეგ დასძინა: **„საქართველოს მართლმსაჯულებამ ვერ გაუძლო იმ გამოცდას, რომელიც საზოგადოების წინაშე ჰქონდა ჩასაბარებელი. დღევანდელი განაჩენი ადასტურებს იმას, რომ საქართველოში საზოგადოებრივი და პოლიტიკური კრიზისია. ამერიკიდან ჩამოსულ პრეზიდენტს, რომლის მიზანიც ადამიანის უფლებების დაცვა და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაა, უნდა მივაწოდოთ ზუსტი ინფორმაცია იმაზე, თუ რა ხდება ქვეყანაში, რათა დროულად გაატაროს რეფორმები ყველა მიმართულებით, რაც საქართველოს ძალიან სჭირდება. ეს არის მძიმე დანაშაული და მისმა არაობიექტურმა გამოძიებამ შეიძლება ძალიან მძიმე შედეგი გამოიღოს. ეს განაჩენი იქნება სერიოზული განსჯის საგანი",** - აცხადებს ხაინდრავა

■ ■ ■

პოეტი რატი ამაღლობელი: **„ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ მკვლელები გადაარჩინოს, რატომ აფარებენ მკვლელებს ხელს, დღემდე ვერ გავიგე.**

**დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები და ჩვენ ერთად ვიყავით იმ ქაოსის წინააღმდეგ, რაც საქართველოში ხდებოდა. 23 ნოემბერს ქართულმა საზოგადოებამ არჩევანი გააკეთა თავისუფლებისთვის, დემოკრატიისათვის და ჯანმრთელი საზოგადოებისთვის. ის, რაც ხდება დღეს, არის მაგალითი იმისა, თუ როგორ რყვნის ძალაუფლება ადამიანების ჯგუფს. ერთი რამე მინდა დღევანდელ ხელისუფლებას ვურჩიო - გაიხსენონ იმ ადამიანების სახეები, რომლებსაც ჰქონდათ ძალაუფლება და დაკარგეს. მათაც იგივე ელით იმ არასწორი ქმედებების შემდეგ, რაც უკვე დაუშვეს. ეს ჩემი ადამიანური რჩევაა."**

■ ■ ■

დეპუტატი ლევან ბერძენიშვილი: **„ეს პროცესი, საქართველოს ისტორიაში სამარცხვინო ფურცლებად შევა. სანდრო გირგვლიანის სახელი და გვარი ისტორიას დარჩება, რადგან მან შეძლო ის, რაც ვერ შეძლო ქართულმა საზოგადოებამ, ოპოზიცურმა პარტიებმა, ჟურნალისტებმა. გირგვლიანმა შეძლო ჩვენი გაერთიანება ძალადობის წინააღმდეგ. დღეს საქართველოში პროვინციული ფაშიზმია. ამ მკვლელობაში ვანო მერაბიშვილთან ერთად მონაწილეობენ ლევან რამიშვილი, გიგა ბოკერია, მთელი უმრავლესობა პრეზიდენტ სააკაშვილის ხელმძღვანელობით. ისინი აუცილებლად იქნებიან მხილებულნი. ამ განაჩენით ხელისუფლებამ თვითონ გამოუტანა საკუთარ თავს განაჩენი."**

■ ■ ■

რესპუბლიკური პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილი: **„ის, რაც დღეს საქართველოში ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან ხდება და რასაც ხელისუფლება ხელს აფარებს, შეიძლება დახასიათდეს კლასიკური ფორმულით - ხელისუფლება ხალხს აძლევს ამბოხის უფლებას. პოლიცია ყველა ქვეყანაში ჩადის დანაშაულს, მაგრამ, როდესაც ხელისუფლება - პრეზიდენტი, პროკურორი, მოსამართლე, პარლამენტი მაღალჩინოსანი პოლიციელების დანაშაულს ფარავს, ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება თავად იქცა დამნაშავედ. ასე, რომ, ნურავის გაუკვირდება ღირსებაშელახული ხალხი თუ ზღვარს გადავა."**

■ ■ ■

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე:

**„მე იმედი მქონდა, რომ მთავარი მოწმის - ბუხაიძის მიერ სასამართლო პროცესზე მელნიკოვის ამოცნობის შემდეგ საქმეში ცვლილება მოხდებოდა. სასამართლოზე ზეწოლაზე არ ვსაუბრობ, მაგრამ სასამართლომ ეს საქმე ძალიან სწრაფად დაასრულა და ღრმად არ შეისწავლა. პრეზიდენტის ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნების შემდეგ, მე მასთან შეხვედრას მოვთხოვ. დარწმუნებული ვარ, სამართალი მაინც იზეიმებს და შესაძლოა პროკურატურა ამ საქმის გამოძიებას კვლავ დაუბრუნდეს."**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი, საიდენტიფიკაციო კოდი N202959780, მისამართი: 0102; თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა ოპტიმიზაციის 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს სამედიცინო ობიექტებისათვის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:

ლოტი 1 - ოზურგეთის რაიონულ პოლიკლინიკაში სარემონტო სამუშაოები;

სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 15 ოქტომბერი.

ლოტი 2 - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის N2 კლინიკაში მე-5 სართულის სარემონტო სამუშაოები;

სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 15 ოქტომბერი.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები დალუქულ პაკეტში ორ ეგზემპლარად(ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 28 ივლისს 10:00-დან 11:00სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტუქტურიზაციის ფონდი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ბანკის რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია არის რეგისტრირებული;

გ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

3.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შესრულებულ ან მოცემულ მომენტში მიმდინარე ანალოგიურ სამუშაოებზე(ქვემოთ მოყვანილი ფორმით) დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით:

| N | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| 2. | | | | |
| . | | | | |

ბ) ბოლო 3 (სამი) წლის ფინანსურ ანგარიშს დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით (იურიდიული პირისათვის - ბალანსები, ფიზიკური პირისათვის - დეკლარაციები);

გ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას უნდა წარედგინოს ერთად, მაგრამ **სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადეში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, ანგარიშის N200122900, სახაზინო კოდი 302003000, დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდისათვის გადასახდელი სატენდერო მოსაკრებელი - კოდი 8057, 2006წლის 7 ივლისიდან 27 ივლისამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონტაქტო პირის - კობა ცხადაძისაგან, მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. ტელეფონი: 955899.

**სატენდერო კომისია**







# თინა ხიდაშელი: ყველამ ერთად დავკარგეთ კონტროლი სიტუაციაზე

პირველი გვერდიდან



**- 2004 წელს ჩვენი გაზეთისთვის ამერიკიდან მიცემულ ინტერვიუში თქვენ საუბრობდით ახალი ხელისუფლების წინაშე შექმნილ საფრთხეებზე და იმაზე, თუ როგორ უნდა გაფრთხილდეს ხელისუფლება. ახლა რა სტადიაა?**

- იმის მერე იმდენი რამ მოხდა, აღარ ვიცი, კიდევ არის თუ არა დარჩენილი სიფრთხილის რესურსი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს ჩემთვის ყველაზე უფრო მძიმე პერიოდია. ვფიქრობ, ახლა ძალიან ბევრ ადამიანს უჭირს მორალურად და ალბათ ესეც არის იმის მიზეზი, რომ საზოგადოების პროტესტი საკუთარ სამზარეულოებს არ გასცილებია. იმ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები, საკუთარ ნამოქმედარზე თქვას, რომ რაღაც არასწორად გაკეთდა - არავითარ ეჭვქვეშ არ ვაყენებ თავად რევოლუციას, ვსაუბრობ იმაზე, რაც რევოლუციის შემდეგ მოხდა. ჩვენ რევოლუციის შემდეგ, პირველივე თვეებში შეგვეშალა რაღაც, მაშინ ყველამ ერთად (საზოგადოებას ვგულისხმობ) დავკარგეთ კონტროლი სიტუაციაზე და ამის შემდეგ მოხდა ის, რაც მოხდა და სააკაშვილი დარჩა „მარტო სახლში"...

**- ეს ადრე მთავრობის სხდომაზეც ითქვა, როცა ჟვანია მივლინებაში იყო და მაშინ ეს ხუმრობა ბევრს მოეწონა.**

- მაინცდამაინც არ მეგონა, რომ ეს ხუმრობა იყო და ერთადერთი, რისი იმედიც გულწრფელად მქონდა, ის ადამიანები იყვნენ, ვინც სააკაშვილის გარშემო ტრიალებდა.

თავად სააკაშვილთან დაკავშირებით აბსოლუტურად ჩამოყალიბებული პოზიციები მქონდა მაშინ, როცა ის ჯერ კიდევ იუსტიციის მინისტრი იყო. ყველგან, სადაც ის მივიდა, ყველაფერი დაანგრია. როცა ის იყო იუსტიციის მინისტრი, ეს სამინისტრო მაშინ ყველაზე ცუდი იყო, როცა იყო საკრებულოს თავმჯდომარე, მაშინ არაფერი გაკეთებულა ადგილობრივი თვითმმართველობის თვალსაზრისით. ეს იყო კაცი, რომელიც ყველა თანამდებობაზე მხოლოდ საკუთარ პიარზე მუშაობდა და სახელმწიფოს სახსრებს, თანამდებობას მუდმივად საკუთარი პოლიტიკური კეთილდღეობისთვის იყენებდა.

**- დღევანდელი სიტუაციის დასაწყისი იყო საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელსაც „რესპუბლიკელები" ძალიან ეწინააღმდეგებოდნენ?**

- არა. საკონსტიტუციო ცვლილებები იყო საკითხი, როცა ნათლად გამოიკვეთა დაპისისპირების პირველი ტალღა. ეს ყველაფერი დაიწყო 2003 წლის დეკემბერში, როცა სააკაშვილი ჯერ კიდევ არ იყო პრეზიდენტი. მაშინ მან გამართა პრესკონფერენცია, სადაც გატაცებული მაღლაკელიძის გათავისუფლების წარმატებული ოპერაციისთვის მადლობა გადაუხადა მინისტრებს და თითქოს ეს ნორმალური იყო იმის მიუხედავად, რომ საზოგადოებამ კარგად იცოდა, როგორ სასტიკად აწამეს ადამიანები და აღმოაჩინეს ტყვე. ჩემთვის ტრაგიკული იყო, როდესაც სააკაშვილმა მინისტრების მადლობების შემდეგ გადაინაცვლა სხვებზე და მადლობა გადაუხადა თბილისის კრიმინალური პოლიციის მაშინდელ უფროსს. ეს იყო ადამიანი, რომელიც ჩვენს მიერ, რევოლუციური საზოგადოების და მათ შორის, სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის მიერ წლების მანძილზე შერაცხული იყო ნომერ პირველ მწამებელ პოლიციელად. ეს იყო კაცი, რომელიც პირადად აწამებდა და ბრძანებებს გასცემდა იმ ადამიანების წამებისთვის, ვისი სახელითაც მოხდა რევოლუცია. კორუფციასთან, არჩევნების გაყალბებასთან ერთად რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია ქვეყანაში არსებული წამება და პოლიციური ძალადობა იყო. სააკაშვილი კი გამოვიდა და საჯაროდ მადლობა გადაუხადა ამ ადამიანს. საზოგადოებისთვის ეს შეიძლება, არაფრის მთქმელი იყო, რადგან, ალბათ, ყველამ გვარებით არ იცის, ვინ ვინ არის, მაგრამ თითოეული პოლიციელისთვის ეს იყო მესიჯი და წახალისება - „ოღონდ საქმეები გახსენით და რა გზით მიაღწევთ ამას, მნიშვნელობა არ აქვს". სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ამის მერე მივიღეთ კატასტროფის ის რვა თვე, რომლის მსგავსიც საქართველოში მანამდე არ მომხდარა - პოლიციის განყოფილებაში ასობით ნაწამები ადამიანი და დანაშაულის „გახსნის" კატასტროფულად გაზრდილი სტატისტიკა. ვინ რას აღიარებდა, მაშინ არავინ იცოდა. სააკაშვილმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ეს შემდეგ თავადაც აღიარა - ადრე ხდებოდა, მაგრამ ახლა ხომ არ ხდებაო... რაც მთავარია, არც ამ აღიარებას მოჰყოლია შედეგი და არავინ დასჯილა.

**- სანდრო გირგვლიანის სიკვდილი, დევნილების გამოსახლება, მონასტერში ძალოვნების შეჭრა... რა წილი აქვს ამ ყველაფერში საზოგადოებას?**

- ძალიან მაღალი წილია. ჩემდა სამარცხვინოდაც უნდა ვთქვა, რომ დიდი პროტესტი არ მოგვიწყვია, როდესაც მკალავიშვილის მრევლი დაარბიეს. ეს იყო სამარცხვინო ფურცელი ამ ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების ისტორიაში, რადგან საკუთარი თვალით ვნახეთ, როგორ უსწორდებოდა ხალხს დათა ახალაია. აი, აქედან მოვედით გირგვლიანამდე, იმ დღეს დაიბადა გირგვლიანის სიკვდილის სცენარი, როდესაც არავითარი რეაგირება ამას არ მოჰყვა. ეს იყო რევოლუციიდან ძალიან მალე, საზოგადოება ამ ადამიანების მიმართ გაღიზიანებული იყო და ამანაც გამოიწვია დუმილი, თუმცა ამას გამართლება არ აქვს.

რასაც მე გირგვლიანის პროცესზე 5 დღის განმავლობაში ვუყურებ, არ ვიცი, როგორ არ უქმნიან იქ მსხდარი ადამიანები მოსამართლეს პრობლემებს - ეს მხოლოდ და მხოლოდ ამ ადამიანების აღზრდასა და მაღალ კულტურაზე მეტყველებს, სხვა არაფერზე, თორემ ის მოსამართლე თავისი ცინიზმით, ჟესტიკულაციით, დამსწრე საზოგადოების მიმართ დამოკიდებულებით ყველაფერს იმსახურებს.

როდესაც ქვეყანაში „დიდი რეფორმების" სახელით კანონებს კონტექსტის გაუთვალისწინებლად ცვლიან, ამას ძალადობა მოჰყვება ხოლმე. ორ მაგალითს მოვიყვან - სისხლის სამართლის კოდექსში დაამატეს მუხლი, რომელიც მოწმის მიერ ურთიერთგამომრიცხავი ჩვენების მიცემას ეხება, რისთვისაც ადამიანი ისჯება. ეს არის სტანდარტული მუხლი და ძალიან ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში მუშაობს. სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლის გაჩენის გაპროტესტება, თავისთავად, შეუძლებელია, მაგრამ როდესაც გასულ წელს ეს ცვლილება პარლამენტში შევიდა, ჩვენ ეს გავაპროტესტეთ. მაშინვე ჩაირთო დემაგოგიური მანქანა, ბატონი გიგა ბოკერია ყველა არხზე ამბობდა, რომ ჩვენი ოპონენტები, ერთი მხრივ, წამებას ებრძვიან და მეორე მხრივ, ძირს უთხრიან ამ მუხლსო. დიახ, ეს არის წამების საწინააღმდეგო ერთ-ერთი მუხლი, მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ სახელმწიფო მოწმეს დაცვით ვერ უზრუნველყოფს. ქვეყანაში არ არსებობს არავითარი მექანიზმი იმის გამოსავლენად, თუ რატომ ამბობდა ეს მოწმე გუშინ ერთს და დღეს - მეორეს. ამ დროს ხელისუფლებას შემოაქვს მუხლი, რომლითაც მოწმეს ეუბნება - დღეს შეზნე ზეწოლა რომ მოხდა და ჩვენება მიეცი, ხვალ სასამართლოში სხვანაირად რომ ილაპარაკო, ამისთვის დაგსჯიო და არ ინტერესდება, რატომ გადათქვა ჩვენება. ეს არის სახელმწიფოს რეპრესიული მექანიზმის არასწორი გამოყენება და ეს არის ზეწოლა ადამიანებზე. ახალგაზრდა იურისტებს ამის შემდეგ გვქონდა საქმეები, როდესაც გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებზე მოწმეები ამბობდნენ, რომ სასამართლოში იტყოდნენ სიმართლეს, რადგან სასამართლო პროცესი საჯაროა და მაღალია სიმართლის თქმის შესაძლებლობა. პროკურორისგან იღებდნენ პასუხს, რომ ჩვენების შეცვლისთვის 4 წელი გარანტირებული ჰქონდათ. სინამდვილეში ეს არის მუხლი, რომლითაც აკანონებდა იმას, რასაც გამომძიებელთან ერთი ერთზე მჯდომი მოწმე ამბობდა.

მეორე საინტერესო შემთხვევაა კანონი, რომელიც მანდატურების შესახებ მიიღეს. ეს მუხლი მანდატურებს დახურულ სივრცეში იარაღის გამოყენების უფლებას აძლევს. ამის დიდი სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ წარმომიდგენია, რა მოხდება, ამ ავტომატიანმა ბიჭებმა პროცესზე რომ ერთხელ მაინც ისროლონ... და ეს ხდება იმ კონტექსტში, როცა არ გაქვს დამოუკიდებელი მართლმსაჯულება და ვერ უზრუნველყოფ სასამართლოში პროფესიულ მოსამართლეს...

**- გირგვლიანის პროცესზე რისთვის დაგაჯარიმეს?**

- ძალიან საინტერესოდ დამაჯარიმეს. განსასჯელები სხედან გალიაში, მათ წინ უდგანან ნიღბიანი შეიარაღებული პირები. გაუგებარია, რას აკეთებენ ნიღბიანი სპეცრაზმელები სასამართლოში, როდესაც მანდატურები არსებობენ.

**- ყველა პროცესზე ასეა?**

- რა თქმა უნდა, არა. ამ პროცესზე ნიღბიანები ფარავდნენ განსასჯელებს ისე, რომ დარბაზში მჯდომი საზოგადოება მათ ვერ ხედავდა. პარალელურად ეს სპეცრაზმელები მოსამართლესაც უფარავდნენ გარკვეულ არეალს, კერძოდ, გალიის გვერდით, დარბაზში შემოსასვლელ კართან მდგარ სამადგილიან სკამს. გაუგონარი რაღაცეები ხდება, მაგრამ გულწრფელად ვამბობ, რომ მოსამართლე ნამდვილად ვერ ხედავს, რა ხდება ამ სკამზე. ამიტომ, გუშინდელ პროცესზე საჭიროდ ჩავთვალე, მოსამართლე საქმის კურსში ჩამეყენებინა. საქმე ის იყო, რომ კონკრეტულ მომენტში ამ სკამზე იჯდა კუბოკრულ პიჯაკში გამოწყობილი ბიჭი ყელზე პროკურატურის მაიდენტიფიცირებელი ნიშნით - წითელი ზონრით, რომელზეც პირადობის დამადასტურებელი საბუთი ეკიდა. აქ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია - დარბაზი ვერ ხედავს განსასჯელისა და მოსამართლის კონტაქტს. სცენა ასეთია - შალვა აყენებდა შუამდგომლობას, წითელზონრიანი ბიჭი სადღაც რეკავდა, მას რაღაცას ეუბნებოდნენ, მერე ეს ბიჭი ელაპარაკებოდა განსასჯელებს, ამის შემდეგ მოსამართლე იყურებოდა განსასჯელებისკენ, რომელნიც, სავარაუდოდ, ელაპარაკებოდნენ მოსამართლეს. მე ჩემიას ვუთხარი - ბატონო მოსამართლევ, თქვენ ვერ ხედავთ და იქნებ გავარკვიოთ, ეს კაცი ვინ არის, დავატოვებინოთ ის ადგილი და დავსვათ დანარჩენ ხალხთან ერთად-მეთქი. იმის ნაცვლად, რომ მოსამართლეს მადლობა გადაეხადა ჩემთვის დარბაზში მისი თვალთახედვის არეალში არმყოფ კანონდარღვევაზე მითითებისთვის, მან დამაჯარიმა.

შემოიღეს დასავლეთში აპრობირებული სტანდარტული ნორმები მანდატურის შესახებ და ამასობაში, ვერ უზრუნველყოფენ ელემენტარულს - ნიღბიანი და იარაღიანი სპეცრაზმელი კონტაქტში არ შევიდეს საზოგადოებასთნ. ისინი ეპასუხებიან და ეკამათებიან დარბაზში მსხდომ ხალხს.

**- როდესაც ამბობ საზოგადოებას, ვის გულისხმობ?**

- ყველას, ვინც თავზე პასუხისმგებლობა აიღო და ნოემბერში ქუჩაში გამოვიდა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, იმ ადამიანებს ვგულისხმობ, ვინც უფრო მეტი პასუხისმგებლობა აიღო და ამ ადამიანებს ქუჩაში გასვლისკენ მოუწოდებდა.

ამას მუდმივად გავიმეორებ - სანამ გაზეთებში მაღალმორალისტურ წერილებს დაწერენ, არასამთავრობოებში მყოფი ზოგიერთი ინტელიგენტი რეალურად უნდა დაინტერესდეს, რა ხდება. მაგალითად, ის, რომ გირგვლიანის პროცესზე არც ერთი მათგანი არ გამოჩენილა, ჩემთვის ძალიან ბევრ რამეს ხსნის.

ბატონი გიგა ბოკერია ამბობს, რომ ჩემს სიტყვებს ვერ ენდობა, როცა ვამბობ, რომ სასამართლოს შესასვლელში ვიღაც უფორმოები დგანან და ხალხს არ უშვებენ. კანონში კი წერია, რომ სასამართლო სხდომები საჯაროა, სასამართლო შენობა კი ყველასთვის ღიაა. მესმის, რომ ვერ ენდობა, რადგან მისთვის პოლიტიკური ოპონენტი ვარ და შეიძლება, საკუთარი უწესობიდან სჯის და ჰგონია, რომ ტყუილებს ვლაპარაკობ. ამიტომ მოვითხოვე, თავად მოვიდნენ ის არასამთავრობოები, ვისაც ისინი ენდობიან და ნახონ, მართლა რა ხდება სასამართლო დარბაზებში და ეს იქამდე გააკეთონ, ვიდრე მაღალმორალისტური განცხადებებით გამოვლენ და იტყვიან, რომ არ შეიძლება მხოლოდ ერთი მხარე იყოს დამნაშავე. ეს ზუსტად ის შემთხვევაა, როდესაც ყველაფერში ის ერთი მხარეა დამნაშავე.

**- რას ფიქრობთ, როგორ დამთავრდება ეს საქმე?**

- ეს საქმე არ მორჩება, შეიძლება აგვისტოში მინელდეს, მაგრამ ასე ეგონა კუჩმასაც ღონღაძის საქმესთან დაკავშირებით და მერე თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე. ჯერ კიდევ ძალიან არ მინდა, ასე მოხდეს, მაგრამ 100-პროცენტიანი რწმენა მაქვს, რომ ასე თუ გაგრძელდა, ეს საქმე სააკაშვილისთვის იქნება ღონღაძე ოღონდ უარესი, მათ ხალხი გაასამართლებს. ეს შეიძლება იყოს ხვალ, შეიძლება იყოს 2 წლის მერე, მაგრამ გირგვლიანის საქმე ისტორიის კუთვნილება ვერ გახდება და ვერც ჩემიას გადასაწყვეტი იქნება.

**- გიორგი სანაიას საქმეზე, დღევანდელი განსასჯელების მსგავსად, მაშინდელი განსასჯელიც და მისი ადვოკატიც ისტერიულად ამტკიცებდნენ, რომ დამნაშავე მათი მხარე იყო... მაშინ ამან არნახული საზოგადოებრივი პროტესტი გამოიწვია, მაგრამ, ეს საქმე ისტორიის კუთვნილება მაინც გახდა.**

- ის შემთხვევა მაშინაც ძალიან საინტერესო იყო და ახლაც საინტერესოა. მაშინ ოპოზიციაში მყოფი ეს ხელისუფლება გამორიცხავდა ვერსიას, რომლითაც ძიება და სასამართლო მიდიოდა, მაგრამ როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ, არაფერი გაუკეთებიათ იმისთვის, რომ ჭეშმარიტება დადგენილიყო. ამას ფორმალურად მაინც გავაკეთებდი და სწორედ იმიტომ, რომ ყველაზე პირველი დიდი აქციები სანაიას გამო მოხდა. რაოდენ ცინიკურადაც არ უნდა ჟღერდეს, ყველაზე ძალიან სწორედ სანაიას სიკვდილით ისარგებლა ამ ხელისუფლებამ. რა თქმა უნდა, ისინი ამით არ დაინტერესებულან, რადგან ვინც მაშინ დამნაშავეებს ხელს აფარებდა - გაბრიჭიძეები და მსგავსები - ამათი ფავორიტებიც აღმოჩნდნენ და იმის ნაცვლად, რომ პასუხი მოეთხოვათ, დააწინაურეს.

**- ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ნატო - ეს არის დღეს ხელისუფლების მთავარი მიზანი და ალბათ ამიტომ, საზოგადოებრივი პროცესები მეორე რიგის პრობლემებია...**

- ვერ დაგეთანხმებით. სააკაშვილს ეს აინტერესებს, რადგან თუ ამას თბილისში არ უსმენს, მერე ბრიუსელში ეუბნებიან. ვფიქრობ, საზოგადოებისგან მისი აბსოლუტური გაუცხოება იმის ბრალია, რომ მას და მის ხელისუფლებას ძალიან ბევრჯერ უთხრეს ზუსტად ის, რასაც აქ ეუბნებიან. ეს არ არის რეკომენდაცია, ეს არის პირობა, რომელიც ჩვენს ხელისუფლებას ბრიუსელში დაუყენეს იმის სანაცვლოდ, რომ ნატო-სთან და ევროკავშირთან ინტეგრაციის რაიმე პერსპექტივა ჰქონდეს.

საბედნიეროდ, ნატო, პირველ რიგში, სტანდარტების ორგანიზაციაა და არა სამხედრო გაერთიანება. ძალიან დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ნატო მხოლოდ სამხედრო გაერთიანება იყო, ცივი ომის დასრულების შემდეგ ეს პრინციპულად სხვა ორგანიზაციაა. ნატო-ში ძალიან ბევრს საუბრობენ ადამიანის უფლებებზე, სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, დიალოგის არსებობაზე. ნატო-ში ძალიან კარგად იციან, რომ თუ საკითხები საზოგადოებასთან კონსენსუსით არ წყდება, იმ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას მათთვის აზრი არ აქვს. ნატო არ არის დღევანდელების გაერთიანება, ნატო ისტორიული ორგანიზაციაა, რომელიც დღესაც არის, გუშინაც იყო და მომავალშიც იქნება. მათთვის ხელსაყრელი არ არის ისეთ ხელისუფლებასთან საუბარი, რომელიც ფუნდამენტურ პრინციპებზე საკუთარ საზოგადოებაში არსებულ სხვა ძალებთან არ აწარმოებს დიალოგს. ხვალ, როდესაც ეს ხელისუფლება არ იქნება და ნატო-ს ისევ დასჭირდება საქართველო, ის უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ამ ქვეყანაში ფუნდამენტურ პრინციპებზე შეთანხმებულები არიან და არაფერი შეიცვლება.

მთელ მსოფლიოში არსებულ მრავალპარტიულ დემოკრატიებში არის კამათი, მაგრამ არსებობს შეთანხმება პრინციპულ, ფუნდამენტურ საკითხებზე. მაგალითად, ყველა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ არსად არ იცვლება კონსტიტუციები. არც ერთ ქვეყანაში არ ხსნის მოსამართლეებს ახალი ხელისუფლება იმიტომ, რომ თავისი უფრო პატარა ბიჭები უნდა მოიყვანოს. ხელისუფლების შეცვლასთან ერთად არც ერთ ქვეყანაში არ იცვლება ყველა მედიამფლობელი ერთად - რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს ამის თქმა, ეს არის ნიშნები, რომ ეს არ არის სახელმწიფო, და არც აქვს მიდრეკილება დემოკრატიისკენ.

**- პუტინი-სააკაშვილის შეხვედრისგან საზოგადოებას დიდი ცვლილებების მოლოდინი არ ჰქონია. სააკაშვილ-ბუშის შეხვედრით რა ცვლილებებს ელით?**

- ამ შეხვედრის შესახებ ბევრი რამ არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ ბუშმა მიიღო ძალიან ბევრი მესიჯი იმის შესახებ, თუ რაზე უნდა ელაპარაკა სააკაშვილთან. აქ მხოლოდ „Human Rigts Watch"-ის წერილზე არ არის საუბარი. მხედველობაში მყავს ბუშის ადმინისტრაციაში ის ადამიანები, ვინც საქართველოზე მუშაობენ და ძალიან კარგად იციან, რა ხდება ამ ქვეყანაში. არ მაქვს იმის ოპტიმიზმი, რომ ბუშისთვის პირველი პრიორიტეტი საქართველოში ადამიანის უფლებები და გირგვლიანის საქმეა. რა თქმა უნდა, ეს ასე ვერც იქნება, მაგრამ მას აქ ნამდვილად სჭირდება სტაბილური ქვეყანა. ეს არის იმედი, რაც ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ შეხვედრაზე საუბარი იყო საქართველოში დემოკრატიის პრობლემებზე.

რაც შეეხება სხვა მაღალი დონის შეხვედრებს და მაღალ ტრიბუნებს - იქ პროცესები გაცილებით გამჭვირვალეა და ყველამ ძალიან კარგად იცის იმ კითხვების შესახებ, რომელსაც სააკაშვილს ევროკავშირში უსვამენ. ძალიან სამწუხაროა, რომ რევოლუციის შემდეგ საქართველომ უცბად დაკარგა ევროკავშირთან სწრაფი და სერიოზული ინტეგრაციის პერსპექტივა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დემოკრატიას, თითოეული ადამიანის სიცოცხლესა და უფლებებს, ვიდრე სააკაშვილს ჰგონია.

**- თქვენ ოდესღაც პრეზიდენტის ახლანდელ გარემოცვასთან მეგობრობდით, ერთმანეთისთვისაც და საზოგადოებისთვისაც ჩაბარებული გაქვთ პრინციპულობისა და გაბედულების ტესტი. თქვენ ხშირად ამბობთ, რომ არ შეცვლილხართ და რომ ისინი შეიცვალნენ. რა გარანტია აქვს ხალხს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ისევე არ მოიქცევით, როგორც ერთ დროს თქვენი მეგობრები და თანამოაზრენი ახლა იქცევიან?**

- „რესპუბლიკური პარტიის" ყველა გამოსვლას და ინტერვიუს ყოველთვის გასდევდა ლაიტმოტივად ის, რომ წარმატებულ ხელისუფლებასთან გვინდა ვიყოთ ოპოზიციაში, ეს არის ჩვენი მთავარი ინტერესი. ჩვენი ინტერესი არ არის, მოვიდეთ უფრო დანგრეულ ქვეყანაში. ჩვენ გვინდა, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ სააკაშვილი იყოს კარგი პრეზიდენტი და ამის შემდეგ დავამტკიცოთ, რომ იმ კარგზე უფრო კარგები ვიქნებით და ასე მოვიდეთ ხელისუფლებაში.

იმის გამო, რაც რევოლუციის შემდეგ მოხდა, ძალიან რთულია, დაარწმუნო ადამიანები, რომ შენ ასე არ მოიქცევი, რომ შენ მასზე უკეთესი ხარ. ჩვენ არც დამოკიდებულებებში და არც ღირებულებებში შეგვიცვლია რამე, ეს - ისინი გახდნენ სხვანაირები, ისინი შეიცვალნენ. ერთი ადამიანის სიცოცხლე მათთვის აღარ არის ღირებულება, ისინი კალკულატორზე ითვლიან ადამიანებს. ჩვენ ასე არ ვიქცევით.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი ის არის, რომ ჩვენ შეგვეძლო გვესარგებლა რევოლუციით, მე შემეძლო ძალიან კარგად მესარგებლა რევოლუციით და ვყოფილიყავი ყველაფერი, რასაც მოვისურვებდი...

**- პასუხისმგებლობას გაექეცით თუ ადამიანებს უმტკიცებთ, რომ შეიძლება ქუჩაში რაღაც იდეისთვის იდგე და სანაცვლოდ არაფერი გინდოდეს?**

- რევოლუციის დროს ქუჩაში დგომისას სრული რწმენა მქონდა, რომ ასე ცხოვრება დავამთავრე და რაც ბავშვობიდან მინდოდა და რისთვისაც იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარე, ის ვიქნებოდი. მართლა ასე მინდოდა და საერთოდ არ მქონია პოლიტიკაში გადაბარგების არანაირი გეგმა. მაგრამ, ეს არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ რევოლუციიდან ორი კვირის თავზე ჩემთვის ნათელი იყო, რომ მე სააკაშვილის მთავრობაში ვერ ვიქნებოდი. არსებით არ ვარ სააკაშვილი და მთავრობაში ვერ წავიდოდი იმიტომ, რომ 2 თვის შემდეგ ძალიან მაგარი გოგო გამოვსულიყავი და დამეტოვებინა ეს მთავრობა, რაც მან თავის დროზე გააკეთა. ჩემი მიზანი არ არის ამ ქვეყნის დისკრედიტაცია. არც ის არის ჩემი მიზანი, ვაჩვენო ხალხს, რა ცუდია ის და რა კარგი ვარ მე. ერთი მხრივ, ვერ ვიქნებოდი სააკაშვილის ხელქვეითი მინისტრი, რომელიც ალოგიკურ, ავტორიტარულ ბრძანებებს შეასრულებდა და მეორეც - დღესაც იმ აზრზე ვრჩები, რომ ვერასდროს ვიქნებოდი იმ მთავრობის წევრი, სადაც პრემიერი ზურაბ ჟვანია იყო. არასდროს მქონია იმის მოლოდინი, რომ ჟვანიას გუნდი ამ ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდა. ჩვენ დღესაც გვყავნან ამ გუნდის „წარმატებული" წარმომადგენლები, ბატონები ნოღაიდელი და მაჭავარიანი. ისინი ახერხებენ, იყვნენ ამ ქვეყანაში ყველაზე მდიდარი ადამიანები იმის მიუხედავად, რომ თავის დროზე ხელფასი 25 დოლარი ჰქონდათ.

**- უნივერსიტეტსაც შევეხოთ - ერთი რამ მაინც საერთო აქვთ ე.წ. „მეამბოხე ლექტორებს" და ხელისუფლებას. არც ერთი არ ახსენებს მას, ვინც აქამდე მიიყვანა უნივერსიტეტი - როინ მეტრეველს...**

- დიახ, და დღეს ხუროძეც წარმატებული რექტორია.

**- ის, რაც ხდება, პირველ რიგში, ხელისუფლების მიერ საკუთარ საზოგადოებასთან დიალოგის უგულებელყოფაა. ასეა დევნილების შემთხვევაშიც. ხელისუფლებას რომ გონივრულად ემოქმედა, არ გაუჭირდებოდა იმის დადგენა, ვინ და რამდენი ადამიანი იყო კორუმპირებული უნივერსიტეტში, ან - ვინ იყო ნამდვილი დევნილი და ვინ - არა... როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურები, რომ ეს პრობლემები აქამდე არ მისულიყო?**

- მიზეზი ერთია - დიალოგის არარსებობა და დიალოგის მოთხოვნილების არარსებობა. „გადაწყვეტილება მიღებულია, აღარ შეიცვლება და მორჩა!" თან, გადაწყვეტილება ისეა მიღებული, რომ არავისთან არაფერი შეუთანხმებიათ. ცინიკურია, როცა ისინი ამბობენ - აი, დღეს დიალოგს გთავაზობთ და გუშინ პატრული შეიყვანეს უნივერსიტეტში, სპეცრაზმი კი - სასტუმროში დევნილების გამოსაყრელად. მესმის, რომ მეორე მხარე გაბუტული ბავშვის პოზაში არც ახლა უნდა ჩადგეს, მაგრამ, ხელისუფლების მხრიდან იმის თქმა, რომ დიალოგზე ისინი არ მოდიან, დაცინვაა.

ჩემი აზრით, ყველა ჩვენს წუხილზე პასუხი ერთი წინადადებით გაგვცა პრემიერმა ნოღაიდელმა - გზები გახსნილია და ვისაც არ გინდათ, წადითო - ეს მან დევნილების მისამართით თქვა, მაგრამ მისი სიტყვები იყო პირდაპირი ნიშანი ყველასადმი - წადით!

ჩვენი ხელისუფლება მუშაობს პრინციპით - „არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა" - და ზუსტად ასეთი იყო დამოკიდებულება დევნილებისადმი. მათი პოლიტიკის წამყვან თემად ისინი კონფლიქტებს ასახელებენ, დევნილებისადმი ამგვარი დამოკიდებულებით შეუძლებელია აფხაზეთში ან ცხინვალში მცხოვრები ადამიანების (და არა ხელისუფლების) გული მოიგო, რადგან ისინი ხედავენ, როგორ ექცევა ეს ხელისუფლება საკუთარ ხალხს და გიჟები უნდა იყვნენ, რომ იქ დროშების კრება დაიწყონ და ელოდონ სააკაშვილ-ნოღაიდელს, რომელიც საკუთარ ხალხს ეუბნება - კარები ღიააო.

ამ მთავრობის ერთმა მინისტრმა, რომლის გვარსაც არ დავასახელებ და ალბათ მალე არც იქნება მინისტრი, თქვა, რომ ხელისუფლებაში გვყავს პატარა ბავშვები და კაცთმოძულეები და რომლის უნდა გვეშინოდეს, არ ვიცითო. დევნილებთან მიმართებაში განვითარებული მოვლენები კაცთმოძულეობის ნათელი დადასტურებაა.

**- მახსოვს, ხმალამოღებული ებრძოდით უნივერსიტეტის ძველ იურიდიულ ფაკულტეტს და მის დეკანს. ახლა რატომ მიხვედით უნივერსიტეტში?**

- დღესაც იმას ვიტყვი, რასაც მაშინ ვამბობდი - მე რომ რექტორი ვიყო, კონკრეტულად ამ ფაკულტეტზე არც ერთ იმ ადამიანს არ დავტოვებდი, რომელიც აქ ასწავლიდა. მაგრამ, არ შეიძლება უაპელაციოდ ლაპარაკი, რომ ყველა კორუმპირებულია და არავის არ დაველაპარაკებით. თუ გაქვს ფაქტი, რომ აქ კორუმპირებული ხალხი მუშაობს, ამ კორუფციის თავი როინ მეტრეველი არ უნდა დატოვო ახალი რექტორის მთავარ მრჩევლად. იმისთვის, რომ ხვალ იგივე არ მოხდეს, რაღაც მაგალითები უნდა შექმნა - ადამიანი, ვის შესახებაც პროკურატურა კონკრეტული მხილებისა და მასალის შექმნას შეძლებს, აუცილებლად უნდა მიეცეს პასუხისგებაში. გახოკიძე და გაბრიჭიძე რომ თანამდებობებზე არ დაენიშნათ, ამით ქვეყანას ეტყოდნენ, რომ საქართველოში ასეთი მუშაობა მორჩა, რომ სატელეფონო სამართალი მორჩა. იურიდიულ ფაკულტეტზეც იგივე მოხდა - ძველი დეკანი შენგელია მრჩევლად დაუნიშნეს კერესელიძეს და „პარადი" ისევ იმას მიჰყავდა.

გარდა ამისა, უნივერსიტეტელებს განსაკუთრებული თავმოყვარეობა აქვთ და ეს ყველამ იცის. როცა აქ რექტორად არაუნივერსიტეტელი მოგყავს, აუცილებლად იქნება პროტესტი და ეს აუცილებლად უნდა სცოდნოდათ. ამხელა უნივერსიტეტში ვერ მონახა ერთი ადამიანი, რომელსაც ენდობოდნენ და რექტორად დანიშნავდნენ. ასე რომ მოქცეულიყვნენ, ეს პრობლემა არ დადგებოდა, ან იქნებოდა 10-15 კაციანი მარგინალიზებული ჯგუფი, რომელიც იხმაურებდა და არავინ მათ არ გაჰყვებოდა.

უნდა ყოფილიყო დიალოგი, პატივისცემა უნივერსიტეტის მიმართ. არ უნდა ყოფილიყო განათლების მინისტრი, რომელიც ჟანდარმივით ელაპარაკება ყველას. ორი დღის წინ ვუსმენდი ლომაიას გამოსვლას. ყოველთვის კორექტული ვარ მის მიმართ, მაგრამ პროფესორების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას რომ ითხოვდა, ვერ მივხვდი, რისი მინისტრი ლაპარაკობდა.

რა აზრი აქვს გია ხუბუას იქ ყოფნას?! რა უნდა გააკეთოს ხუბუამ ისეთი, რომ ამ რეფორმისადმი ნდობა არსებობდეს. ვერ უშველის მას დათო კერესელიძის მიერ ჩატარებული ტრადიციულად და ყოველთვის კონფორმიზმით ცნობილი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების შეკრება.

**- ვხედავ, ზოგმა ეს ტრადიცია დაარღვია...**

- მე ეგ არ დამიმთავრებია, საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი დავამთავრე, ახალი საქართველოს ნაყოფები ვართ.

**- რა ზიანს აყენებენ, ან რა სარგებლობა მოაქვთ ამ პროცესებთან ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების დგომას. მათ დგომას, ვისაც ხელისუფლების თქმით, რუსეთი აფინანსებს?**

- ვის აფინანსებს რუსეთი და ვის არა, ამის შესახებ არაფერი ვიცი და არც თქვენ იცით. შს მინისტრი საქართველოს პარლამენტში გამოვიდა, ხელი გაიშვირა და თქვა, ამ დარბაზში ზის ხალხი, ვინც რუსეთიდან ფინანსდება და აუცილებლად მოგეკითხებათო. ეს სულ მინიმუმ, თანამდებობის გადამეტება, ან უმოქმედობაა, რომლისთვისაც უნდა დაისაჯოს შს მინისტრი, რომელმაც იცის, რომ პარლამენტში ჰყავს მოღალატეები და არაფერს აკეთებს.

ამ პროცესში არაფერი არანორმალური არ არის. რა თქმა უნდა, ყველა პოლიტიკური ძალა იქ მივა, ამას აკეთებდა სააკაშვილი, აბაშიძე, შევარდნაძე და ამას გააკეთებს ყველა შემდეგი პარტია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შეკრების მიზეზი მიუღებელია. ჩვენ ვამბობთ, რომ უნივერსიტეტში პროფესორების წინააღმდეგ პატრულის გამოძახება არასწორია და არის იმ ძალადობის ტალღის გაგრძელება, რომელიც ამ ქვეყანაშია.

უნივერსიტეტში ითხოვენ ავტონომიას. ამას ითხოვდნენ 1978 წელს, მერე 80-იან წლებში, მერე შევარდნაძის დროს და კიდევ შეიძლება, 50 წელიწადს მოითხოვონ. ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი შეიძლება ჰქონდეს. ხელისუფლება კი ყველაფრის მიმართ ყრუა და თან მეუბნება, არ გრცხვენია, ჟორჟოლიანთან ერთად რომ დადიხარო?! მე არ მრცხვენია, იქ რომ მივდივარ, სადაც ადამიანზე ძალადობენ. ჟორჟოლიანთან ერთად არ დავდივარ და რამდენიც არ უნდა იძახოს ბატონმა გიგა ბოკერიამ, რომ ამათთან ერთად დავდივარ, ან რუსეთისგან რომ ფინანსდებიან, იმ პარტიებთან ერთად, ამ დემაგოგიას ის ვერ გაყიდის, ხალხი ამას არ წამოეგება. ყოველთვის მივალ იქ, სადაც უსამართლობა ხდება და პოლიცია არასწორად იქცევა. უნდა მივიდე და საკუთარი თვალით დავრწმუნდე, რა ხდება - იმიტომ, რომ მერე ბოკერიასნაირი დემაგოგებისგან ტყუილები არ მოვისმინო.

რაც შეეხება პარტიების როლს - მათ შორის არიან ჩემთვის მიუღებელი ძალებიც - „წინ საქართველო", გიორგაძის პარტია. რა თქმა უნდა, ამ ქვეყანაში ისინი ბევრ რამეს აფუჭებენ, მაგრამ ეს არის მრავალპარტიული დემოკრატია და ასეც უნდა იყოს, თუ ისინი კანონს არ არღვევენ. თუკი რუსეთიდან ვინმე ფინანსდება, ეს ადამიანები უნდა გავასამართლოთ და ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და ეს უნდა გააკეთოს.

მაგრამ, ისტორიულად ყველაზე ცუდ როლს თამაშობენ კონფორმისტი ადამიანები, ვინც ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო დუმან. ამ 12-წლიანმა „ვაცალოთ" მოიყვანა სააკაშვილი და გახადა შესაძლებელი ის, რაც ხდება. არ მინდა იგივე მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ და ვივიშვიშოთ.

**- სააპელაციო სასამართლოს ახალბედა თავმჯდომარემ, ტყეშელაშვილმა თავისი პირველივე გადაწყვეტილებით დაარღვია კანონი და სასამართლოს ეზოში საკუთარი პოზიციის გამოხატვისთვის არასამთავრობოს წარმომადგენელი, მწერალი და ერთიც პოეტი დააკავა...**

- ეს არის გაუგონარი რამ და ამის გამო პროტესტი არავის არ გამოუხატავს. სად არიან ადამიანები, ვინც თითქოს ხმალამოღებულები იცავდნენ დემოკრატიას და რატომ არავის ხმა არ გამიგონია ირაკლი კაკაბაძის და ზურაბ რთველიაშვილის დაჭერის გამო?! ეს უკანასკნელი საკუთარ ლექსებს კითხულობდა სასამართლოს ეზოში, ამან გააღიზიანა ტყეშელაშვილი და ციხეში გააგზავნა.

**- როცა ქვეყანაში ფუნდამენტურ ღირებულებებს ექმნება საფრთხე - სასამართლოს და მედიის დამოუკიდებლობას, თავისუფალ სიტყვას და გამოხატვას - რა არის ის, რის გამოც ხელისუფლებას ხალხი ენდობა?**

- ამ თემას ეძებს ხელისუფლებაც და ცუდადაც ეძებს, რადგან ცუდად აქვს ნაპოვნი, ეს არის, ალბათ საითაც მივდივართ. ბევრისგან განსხვავებით კარგად ვიცნობ ჩვენს თავდაცვის მინისტრს - ის ტყუილად არ ლაპარაკობს და მისი პირობა, რომ 1 იანვარს ცხინვალიდან მოგვილოცავს, არის ამ თემის ძიება, ამ პროცესების ყველაზე სამწუხარო გაგრძელება.

მაგრამ, მოვლენებს თავისი ლოგიკა აქვს. თუ გააანალიზებ, რაც ქვეყანაში ხდება, თუ მიხეილ სააკაშვილმა დაიჯერა, რომ მან დაკარგა ნატო-სა და ევროგაერთიანების პერსპექტივა, მაშინ ის იმუშავებს ყველანაირ ავანტიურაზე, რომელიც მის ხელისუფლებაში ყოფნასა და ძალაუფლების შენარჩუნებას უზრუნველყოფს. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ხალხი მას გაჰყვება. მიუხედავად იმ მძიმე გამოცდილებისა, რაც ჩვენს ქვეყანას მთელი ამ წლების განმავლობაში მოუტანა ომობანამ, ალბათ, ხალხი მას გაჰყვება და ბევრი მომხრეებიც ეყოლება. ის ფაქტი, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული პოლიტიკოსია საქართველოში, მხოლოდ ამაზე მეტყველებს და სხვა არაფერზე. თუკი ჩვენ დღეს გაყინული კონფლიქტები გვაქვს, ნებისმიერი სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ გამოუსწორებელი შედეგები დანარჩენ საქართველოში. რევანშის განცდა ჯერ კიდევ მაღალია და ეს არსად არ წაიყვანს ამ ქვეყანას.

# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

**I ობიექტი – დუშეთის რაიონში, სოფ. ანანურთან, ჟინვალის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. არაგვის სანაპიროზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 15 022 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>3 004 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 240 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**II ობიექტი – მცხეთის რაიონში, ქ. თბილისთან ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვეს, მდ. მტკვრის მარჯვენა ჭალისზედა ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 5 007 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 001 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 80 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**III ობიექტი – ხობის რაიონში, სოფ ბიას მიმდებარე ტერიტორიაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 10 037 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>2 007 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 100 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**IV ობიექტი – ჭიათურის რაიონში, სოფ. ზედა რგანის ტერიტორიაზე კვარციანი ქვიშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 653 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>731 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კვარციანი ქვიშის ჯამური მოცულობა | 24 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |

**V ობიექტი – სოფ. ილორის ტერიტორიაზე მდ. ცხენისწყლის ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 517 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>903 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 45 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**VI ობიექტი – ბორჯომულას და მისი შენაკადის მდ. კუმისკას ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 2 011 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>402 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 15 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**VII ობიექტი – კასპის რაიონში, სოფ. აღაიანის მიდამოებში მდ. ქსნის მარჯვენა ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 20 075 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>4 015 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 200 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**VIII ობიექტი – ტყიბულის რაიონში, სოფლების ბუეთისა და ცუცხვათის ტერიტორიაზე ტეშენიტის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 12 519 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>2 504 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ტეშენიტის ჯამური მოცულობა | 40 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

| | |
|---|---|
| **სალიცენზიო მოსაკრებელი<br>I ობიექტიდან XVI ობიექტის ჩათვლით<br>შეადგენს 900 ლარს** | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას.<br>სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი),ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022 |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.№6 ტელ. 275760<br>აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 7 ივლისიდან 21 ივლისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 7 აგვისტოს 11 საათიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს **„ბე"-ს** შემოტანის ქვითარი | **„ბე"-ს** გადახდის ანგარიში-მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიში ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე)„ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები | წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „წიაღის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| **აუქციონზე „ბიჯის" სიდიდე შეადგენს<br>საწყისი ფასის 10 პროცენტს** | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

**IX ობიექტი –კასპის რაიონში, სოფ. საქადაგიანოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 341 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>268 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 10 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

**X ობიექტი –ხობის რაიონში, სოფ. გურიფულში მდ. ხობისწყლის მარჯვენა ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 004 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>200 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 10 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**XI ობიექტი – ბაღდადის რაიონში, სოფ. ვარციხის ტერიტორიაზე მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 15 138 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>3 027 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 120 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 6 წელი |

**XII ობიექტი – ასპინძის რაიონში, სოფ. იდუმალას მიმდებარედ კაკლიანის ტერიტორიაზე ბაზალტის ლოდნარის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 1 826 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>365 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ლოდნარის ჯამური მოცულობა | 3 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |

**XIII ობიექტი – ზესტაფონის რაიონში, სოფ. ქვედა კვალითსა და პირველ სვირს შორის მდ. ყვირილას მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 160 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>832 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 35 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 7 წელი |

**XIV ობიექტი –წყალტუბოს რაიონში სოფ. ოფურჩხეთის ტერიტორიაზე ტეშენიტის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 694 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>939 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ტეშენიტის ჯამური მოცულობა | 15 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**XV ობიექტი – ასპინძის რაიონში, კაკლიანის (იდუმალას) ტერიტორიაზე ბაზალტის ლოდნარის მოპოვება.**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 5690 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1138 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ლოდნარის ჯამური მოცულობა | 10 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |

**XVI ობიექტი – დუშეთის რაიონში. სოფ. ჭართალის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. არაგვის მარცხენა ჭალის ტერასაზე. ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 25 037 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>5007 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 400 000 მ$^3$ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

# სომხეთი: გაზეთის რედაქტორის დაპატიმრება აღშფოთებას იწვევს

*მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უფლებათა დამცველი ორგანიზაციების განცხადებით, არმან ბაბაჯანიანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მიზნად ,,კრიტიკული ხმის“ განეიტრალებას ისახავს.*

დიანა მარკოსიანი,
ერევანი

სომეხი ჟურნალისტები და მედია აქტივისტები გაზეთის რედაქტორის არმან ბაბაჯანიანის მხარდასაჭერად ირაზმებიან. მათი განცხადებით, გასულ კვირას დაკავებული ჟურნალისტისთვის ბრალდების წაყენების ერთადერთი მიზეზი მისი გაზეთის მიერ ხელისუფლების კრიტიკა იყო.
26 ივნისს ბაბაჯანიანი გაზეთ „ჟამანაკ-ერევანის“ ოფისში დააკავეს და სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით საბუთების გაყალბების ბრალდება წაუყენეს.
გამოძიების მასალების თანახმად, ბაბაჯანიანმა ოთხი წლის წინ დოკუმენტი გააყალბა, სადაც აღნიშნული იყო, რომ იგი ორი შვილის მამაა. ეს გარემოება კი მამაკაცს სამხედრო სამსახურისგან ავტომატურად ათავისუფლებს. კანონის თანახმად საბუთების გაყალბება ერთიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.
ოფიციალური ინფორმაციით, არმან ბაბაჯანიანმა დანაშაული ადვოკატის თანდასწრებით აღიარა.
28 ივნისს გამართულ სასამართლო პროცესზე ბაბაჯანიანს თავდებით გამოშვებაზე უარი განუცხადეს. როგორც ჩანს, მას სასამართლო პროცესის მოლოდინში მომდევნო ორი თვის გატარება ციხეში მოუწევს. გრიგორიანიას განცხადებით, სასამართლო არასწორად მოიქცა, როცა თავდებით გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს განსასჯელის პოზიცია და „გულწრფელი აღიარება“ არ გაითვალისწინა.
ახლა ადვოკატი სააპელაციო სასამართლოში ბაბაჯანიანის თავდებით გამოშვებაზე უარის თქმის გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.
„თუ სასამართლო სარჩელს არ დააკმაყოფილებს, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ მომხდარის უკან პოლიტიკური მოტივი შეიძლება ვეძებოთ“, – განაცხადა ადვოკატმა.
ბაბაჯანიანის კოლეგებმა მის მხარდასაჭერად განცხადებები გააკეთეს და აღნიშნეს, რომ ხელისუფლება რედაქტორს გაზეთ „ჟამანაკ-ერევანში“ მოღვაწეობის გამო სჯის.
„დარწმუნებით ვაცხადებ, რომ სხვა ბრალდების არსებობის შემთხვევაშიც კი, ბაბაჯანიანის დაკავების მთავარი მიზეზი გაზეთია“, – განაცხადა გაზეთ „ჟამანაკ-ერევანის“ რედაქტორის მოადგილემ ლიზა ჩაღარიანმა.
გაზეთი ,,ჟამანაკ-ერევანი“ სომხეთში მიმდინარე წლის 12 მაისიდან გამოდის. ტირაჟი მცირეა – მხოლოდ 1500 ეგზემპლარი, რაც ამ ქვეყნისთვის იშვიათობა არ არის. მანამდე გაზეთი ოთხი წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში სომხურ და რუსულ ენებზე გამოდიოდა ტირაჟით 9 ათასი ეგზემპლარი. ამ ხნის განმავლობაში „ჟამანაკ-ერევანში“ ბევრი სტატია დაიბეჭდა, სადაც ხელისუფლება იყო გაკრიტიკებული. თუმცა ხანდახან გაზეთი ოპოზიციასაც აკრიტიკებდა.
„ხელისუფლებას „ჟამანაკ-ერევანი“ არ მოსწონს. ამიტომაც მისი განადგურება გადაწყდა. ამ ბრძანების აღსასრულებლად საშუალების გამოძებნა კი სამართალდამცავ ორგანოებს დაევალათ“, – განაცხადა სომხეთის ჰელსინკის კომიტეტის თავმჯდომარემ ავეტიკ იშხანიანმა IWPR-თან საუბრისას.
ნაციონალური პრეს-კლუბის მიერ გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, ბაბაჯანიანის დაკავება სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციური უფლების დარღვევა და არჩევნების წინ მედიის დაშინების მცდელობაა.
ერევნის პრეს-კლუბმა და სიტყვის თავისუფლების დაცვის კომიტეტმა სომხეთის გენერალურ პროკურორს წერილით მიმართეს, სადაც აღნიშნულია, რომ ბაბაჯანიანის წინასწარი დაკითხვა წესების დარღვევით ჩატარდა.
27 ივნისს ჟურნალისტებმა, ადამიანის უფლებების დამცველებმა და ოპოზიციის მხარდამჭერებმა ერევანში პროკურატურის შენობის წინ ბაბაჯანიანის მხარდამჭერი მიტინგი გამართეს.
აქციის ერთ-ერთი მონაწილის, ჟურნალისტ მესროპ ჰარუთინიანის განცხადებით, ადამიანის ძალით წაყვანა პროკურატურაში ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილებისა და უფლებების გაცნობის გარეშე მხოლოდ პოლიციურ სახელმწიფოში ხდება.
„სომხეთში ჟანდარმული სტილის მმართველობა მყარდება“, – განაცხადა მან.
ადამიანის უფლებათა დამცველი ავეტიკ იშხანიანი მიიჩნევს, რომ ბაბაჯანიანის დაკავება ფართომასშტაბიანი კამპანიის ნაწილია, რომელიც მიზნად დამოუკიდებელი მედიის შევიწროებას ისახავს.
„არ ვიცი, წარმატებით დაგვირგვინდება თუ არა ხელისუფლების ეს მცდელობა. დარწმუნებული ვარ, რომ საბოლოოდ ამას ვერ შეძლებენ. მაგრამ თუ თავისას მაინც მიაღწევენ, შესაძლოა ამის შემდეგ სხვა გაზეთებზე გადავიდნენ“, – განაცხადა იშხანიანმა.
საერთაშორისო ორგანიზაცია Freedom House-ის მიერ ახლახან გამოქვეყნებული ანგარიში სომხეთის პრესა შეფასებულია, როგორც „არათავისუფალი“.
ბოლო წლების განმავლობაში მედია გამუდმებით ექცევა ზეწოლის ქვეშ. დამოუკიდებელ სატელევიზიო არხს ,,A1+“-ს ლიცენზია 2002 წელს ჩამოართვეს და მას შემდეგ ტელევიზია მაუწყებლობის უფლების მოპოვებას უშედეგოდ ცდილობს. წელს კი ტელეკომპანია საკუთარი ოფისიდანაც გამოაძევეს.
მოხდა ჟურნალისტებზე თავდასხმის რამდენიმე შემთხვევაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია გაზეთ „ავაროტის“ კორესპონდენტის ანა ისრაელიანის, „ჰაიკაკან ჟამანაკის“ ჟურნალისტის ნაირა მამიკონიანისა და ამ სტატიის ავტორის დიანა მარკოსიანის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები.
სომხეთის ახალი ომბუდსმენი არმენ ჰარუთიუნიანი ბაბაჯანიანის საქმეში შესაძლო პოლიტიკური მოტივის არსებობის შესახებ რაიმე კომენტარის გაკეთებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.
„არმან ბაბაჯანიანის დანაშაულს შევისწავლით. უნდა ვნახოთ, დადასტურდება თუ არა იურიდიულად, რომ სამხედრო სამსახურისგან თავის არიდებას ცდილობდა. დასკვნების გაკეთებას მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ“, – განაცხადა ომბუდსმენმა.

www.iwpr.net

institute for war & peace reporting
ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით.
სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.
კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

# ჩეჩენი ლტოლვილები გამოსახლების შიშში

*ჩეჩნეთის ხელისუფლება ლტოლვილთა ცენტრების დახურვას ჩქარობს, რის გამოც კონფლიქტების შედეგად დევნილ მოსახლეობას ისევ გამოსახლება ელის.*

ლაილა ბაისულტანოვა,
გროზნო

72 წლის ხავა ბუმბაროვა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გროზნოს დროებითი საცხოვრებლის ერთ ოთახში ცხოვრობს.
„ოთახი, სადაც მე ვცხოვრობ, სამი მეტრი სიგრძისა და ოთხი მეტრი სიგანისაა. როგორც ხედავთ, ოთახში მხოლოდ ორი საწოლი და ერთი პირსაბანი ტაშტი თავსდება“, – ძლივს შესამჩნევი ღიმილით გვითხრა მოხუცმა ქალბატონმა.
ხავა ბუმბაროვას ოთახი ღარიბულადაა მოწყობილი – ორი რკინის საწოლი „წითელი ჯვრის“ ერთნაირი საბნებით, პატარა მაგიდა და თვითნაკეთი თაროები... ოთახში სველი წერტილიც კი არ არის.
ახლა ბუმბაროვა გროზნოს კოლცოვის ქუჩაზე მდებარე დროებითი თავშესაფრის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას. აქ მცხოვრებ ლტოლვილებს 1 ივლისამდე შენობის დატოვება მოსთხოვეს, რადგან ის უწინდელ მფლობელს, ბავშვთა კლინიკას უნდა დაუბრუნდეს. შედეგად, ბევრი დევნილი ღია ცის ქვეშ დარჩება.
ჩეჩნეთის პრომოსკოვური ორიენტაციის მთავრობას ლტოლვილთა დროებითი ცენტრების დახურვა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. ამ ცენტრებში წლების განმავლობაში მიმდინარე კონფლიქტის შედეგად დევნილი 37 ათასი ადამიანი ცხოვრობს. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ჩეჩნეთის მასშტაბით არსებული 50 ცენტრიდან ხუთი ცენტრი (ქალაქ არგუნსა და გუდერმესში) უკვე დაიხურა. ივლისამდე ხელისუფლება გროზნოში მდებარე სამი ცენტრის დახურვასაც გეგმავს.
ხავა ბუმბაროვას ისტორია ნათლად ასახავს, თუ რა სირთულეების გამოვლა მოუხდათ დევნილებს დღევანდელ მდგომარეობამდე მოსაღწევად.
ბუმბაროვას სახლი ჩეჩნეთში 1999 წელს დაწყებული მეორე ომის დროს დაინგრა. ხავამ თავი მეზობელ ინგუშეთს შეაფარა, სადაც ლტოლვილთა ბანაკში მოათავსეს. მას ეს პერიოდი კარგად ახსოვს.
„ბანაკში გატარებულ ცხოვრებაზე ხშირად ვფიქრობ. ერთ კარავში ოთხ ოჯახს უხდებოდა ცხოვრება. კედლები მხოლოდ „წითელი ჯვრის“ ნაცრისფერი საბნების ნაწილებისგან იყო შეკოწიწებული. ზაფხულში ძალიან ცხელოდა, ზამთარში კი ციოდა“, – იხსენებს ხავა.
2003 წელს, როცა ჩეჩენ დევნილებს სახლში დაბრუნებისკენ მოუწოდეს. ბუმბაროვა ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც დაბრუნებას დათანხმდა. მას ოჯახის დანარჩენ 11 წევრთან ერთად, საცხოვრებელი ფართი კოლცოვის ქუჩაზე მდებარე დროებითი განსახლების ცენტრში მისცეს.
მოხუცმა ჩეჩნეთის მაშინდელ პრეზიდენტს, ახმად კადიროვს პატარა ხის სახლის გამოყოფის თხოვნით წერილი მისწერა, თუმცა უშედეგოდ. როცა ბუმბაროვა ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა, მათ უთხრეს, რომ ერთი ქოხი 30 ათასი აშშ დოლარი დაუჯდებოდა.
ახლა ხელისუფლება ბუმბაროვას თავშესაფარს ლტოლვილთა სხვა ცენტრში სთავაზობს. თუმცა როგორც იგი აცხადებს, ამდენი სიარულით დაიღალა და მხოლოდ „საკუთარი პატარა კუთხე“ სჭირდება, სადაც ცხოვრების დარჩენილ დღეებს გაატარებს.
„სახელმწიფო თავის მოვალეობას არ ასრულებს. ბოლო სამი წლის განმავლობაში მიწის ერთი გოჯიც კი არავის მიუღია. ვისაც მიწის ნაკვეთები სჭირდება, ყველასთვის უნდა მიეცათ. მაშინ ხალხი აქედან საკუთარი ნებით წავიდოდა. აქ ცხოვრება არავის უხარია“, – გვითხრა მოხუცებულმა ქალბატონმა.
„საცხოვრებლის გარეშე ვრჩები. მოხუცი ვარ და ერთი ადგილიდან მეორეზე გაუთავებლად გადასვლა აღარ შემიძლია“, – დასძინა მან.
კოლცოვის ქუჩაზე მდებარე ცენტრში 807 დევნილია რეგისტრირებული. ამ შენობას რუსეთის მთავრობა ჩეჩნეთის ჯანდაცვის სამინისტროსგან ქირაობდა.
„აქ საკუთარი სურვილით არავინ ცხოვრობს. მით უმეტეს, რომ წყალგაყვანილობა და სველი წერტილებიც კი არ არსებობს. დახმარებას მხოლოდ რუსეთის ფედერალური საიმიგრაციო სამსახურისგან და UNICEF-ისგან ვიღებთ, რომელსაც ჩვენთვის უფასო წყალი მოაქვს“, – განაცხადა გროზნოს დროებითი ცენტრის კომენდანტმა როზა გაზიევამ.
გაზიევას განცხადებით, ჯანდაცვის სამინისტრომ შენობის ბავშვთა კლინიკისთვის დაბრუნების საკითხს ყურადღებით უნდა გადახედოს.
„არ შეიძლება ასე გულგრილად მოეკიდო სხვა ადამიანების უბედურებას. უნდა მიხვდნენ, რომ აქ მცხოვრებ ხალხს წასასვლელი არსად აქვს. მანამ მაინც უნდა დაიცადონ, სანამ ყველას საცხოვრებელს არ გამოუძებნიან“, – დასძინა გაზიევამ.
ცენტრის რეგისტრატორი სანატა ციხესაშვილი ჩეჩნეთში საქართველოდან ახლახან დაბრუნდა. მან დევნილების განსახლების შესახებ ხელისუფლების დაპირებას დაუჯერა.
„ხალხთან ამგვარად თამაში უნდა შეწყვიტონ. როცა ჩეჩნეთში დაბრუნებისკენ მოგვიწოდეს, დახმარებას დაგვპირდნენ. გვითხრეს, რომ ჩვენთვის ბინების გამოყოფამდე საცხოვრებლიდან არავინ გამოგვასახლებდა“, – განაცხადა ციხესაშვილმა.
„შესაძლოა ერთ თვეში ღია ცის ქვეშ აღმოვჩნდე. დროებით ცენტრში ცხოვრებას უკვე ვეღარ შევძლებ“, – დასძინა მან.
როგორც ჩანს, ცენტრის დახურვის გეგმა იმდენად კლინიკისთვის შენობის დაბრუნების სურვილს არ უკავშირდება, რამდენადაც ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრის, აწ გარდაცვლილი პრეზიდენტის ვაჟის, რამზან კადიროვის მიერ გაკეთებული კომენტარების შედეგად დაწყებულ ფართომასშტაბიან კამპანიას.
აპრილში გაკეთებულ განცხადებაში კადიროვმა დევნილთა ცენტრებს „დანაშაულის, ნარკოტიკებისა და პროსტიტუციის კერები“ უწოდა, რომლებიც „დაუყოვნებლივ უნდა დაიხუროს“.
ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა კადიროვის კომენტარებზე რეაგირება მალევე მოახდინეს. გროზნოს სტაროპრომისლოვსკის რაიონის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა, რომლის დაქვემდებარებაშიც კოლცოვის ქუჩაც შედის, განაცხადა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული დევნილთა ყველა ცენტრი თავდაპირველ მფლობელებს უნდა დაუბრუნდეს.
აპრილის ბოლოს კოლცოვის ქუჩაზე მილიციის მიერ განხორციელებული რეიდის დროს მარიხუანას შენახვაში ეჭვმიტანილი ორი ქალბატონი დააკავეს.
ჩეჩნეთის ხელისუფლებაში ლტოლვილთა საკითხებზე მომუშავე შირვან გუნაევმა სტაროპრომისლავსკის რაიონში მცხოვრები დევნილები დაარწმუნა, რომ მათ საცხოვრებლად პანსიონატებში ან სხვა ცენტრებში გადაიყვანდნენ.
თუმცა, გუნაევის განცხადებით, საბოლოო მიზანი ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით დევნილების თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებაა. თუმცა მას ხალხის სახლებში დასაბრუნებლად საჭირო „პირობების შესაქმნელად“ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი კონკრეტული ღონისძიებების შესახებ არაფერი უთქვამს.
ადამიანის უფლებათა დამცველი რუსული ორგანიზაციის – „მემორიალის“ გროზნოს ოფისის ხელმძღვანელის შამილ ტანგიევის განცხადებით, დევნილთა ცენტრების დახურვა უბრალოდ PR-აქციაა.
„ამით ჩეჩნეთის მთავრობას მსოფლიოსთვის იმის თქმა სურს, რომ ყველაფერი ნორმალური ცხოვრების რიტმს უბრუნდება. ლტოლვილთა პრობლემები კი კვლავ მოუგვარებელი რჩება“, – განაცხადა ტანგიევმა.
„როგორც ჩანს, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ჩეჩნეთში დევნილები აღარ უნდა იყვნენ“, – განაცხადა მან.
ტანგიევის რწმენით, ხელისუფლებას ჩეჩნეთიდან იმ საერთაშორისო ორგანიზაციების წასვლა სურს, რომლებიც ლტოლვილებს ეხმარებიან და ,,დევნილების გაუქმებით“ სწორედ ამის მიღწევას ცდილობენ.
რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფედერალური საიმიგრაციო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ ალაუდინ ხისიმიკოვმა, რომელიც ჩეჩნეთის საკითხს კურირებს, გაფრთხილების სახით განაცხადა, რომ ჩეჩნეთის ხელისუფლებამ დევნილთა შესახებ რუსეთის კანონმდებლობა უნდა დაიცვას.
„იძულებითი მიგრანტების შესახებ კანონის თანახმად, ახალი თავშესაფრის გამოყოფამდე ასეთი ხალხის დროებითი საცხოვრებლიდან გამოყვანა დაუშვებელია“, – განაცხადა მან.
ახლა ბუმბაროვა იმედებს პრემიერ-მინისტრ კადიროვზე ამყარებს, რომელიც, მისი რწმენით, არსებულ მდგომარეობაში გაერკვევა და „ღარიბებს დაეხმარება, მდიდრები კი წავლენ და საკუთარ სახლებში იცხოვრებენ“.

www.iwpr.net

# არის თუ არა თურქული წარმოების კვების პროდუქტების აკრძალვა პოლიტიკური ღონისძიება?

*სომხეთსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობა სომეხ მომხმარებელს თურქული კვების პროდუქტების აქტიურ გამოყენებაში ხელს არ უშლის. თუმცა ცოტა ხნის წინ სომხეთში მათი მოხმარება აიკრძალა – გადაწყვეტილების მიზეზად კი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მოსაზრებები სახელდება.*

არფი არუთიუნიანი,
ერევანი

,,თურქული მზესუმზირა არ იყიდო. გავიგე, რომ მისი ჭამა უნაყოფობას იწვევს“, – ეუბნება ერევნის ერთ-ერთ მაღაზიაში შესული ნელი თავის მეგობარ არმინას.
,,სერიოზულად? არადა თურქული მზესუმზირა ძალიან გემრიელია, – ეჭვით ამბობს არმინა, მაგრამ საბოლოოდ ასეთ გადაწყვეტილებას იღებს – კარგი, მომეცით ორი კოლოფი სომხური მზესუმზირა“.
შეშფოთებამ იმის გამო, რომ თითქოს თურქული კვების პროდუქტები სხვადასხვა დაავადებებს იწვევს, ბოლო დროს მასობრივი ისტერიის სახე მიიღო. ქვეყნის ხელისუფლება კი ასეთ დამოკიდებულებას მხარს უჭერს – ან პოლიტიკური, ან მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვის მოსაზრებით.
ფორმალურად, სომხეთის ტერიტორიაზე თურქული წარმოების სურსათის რეალიზაცია ამ წლის მაისიდან უკანონოდ მიიჩნევა – მას შემდეგ, რაც ქვეყნის ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მათი სერთიფიცირება აკრძალა. მაისში განცხადეს, რომ ეს დროებითი ზომა იყო.
აკრძალვის მიუხედავად, თურქული წარმოების ზოგიერთი სასურსათო საქონელი სომხეთის მაღაზიებსა და ბაზრებში კიდევ შეიძლება იხილოთ. ოფიციალურ პირთა განცხადებით, ეს პროდუქტები ქვეყანაში კონტრაბანდის სახით შემოდის.
სომხეთსა და თურქეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობა კვლავ ცივი და მტრული რჩება. დაკეტილია სომხეთ-თურქეთის ერთობლივი საზღვარი და ქვეყნებს შორის გაწყვეტილია ყველანაირი დიპლომატიური კავშირი. ანკარამ ერევანთან ურთიერთობა ეთნიკურად მონათესავე ქვეყნის – აზერბაიჯანისადმი სოლიდარობის მიზნით შეწყვიტა, რომელთანაც სომხეთს მთიანი ყარაბაღის გამო შეიარაღებული კონფლიქტი ჰქონდა.
თუმცა სომხეთში თურქულ სასურსათო საქონელზე დღემდე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა.
თურქეთის წარმოების კვების პროდუქტებისადმი გადაჭარბებული ყურადღება საკმაოდ დაუსაბუთებლად გამოიყურება, რადგან მათში აღმოჩენილი დეფექტები (ხარისხის სტანდარტებთან შეუსაბამობა თუ ჯანმრთელობისთვის საზიანო ნივთიერებების შემცველობა) სომხეთში დამზადებულ თუ სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებულ პროდუქტებსაც ახასიათებს.
სომეხი ჩინოსნები თურქული პროდუქტების წინააღმდეგ ბრძოლაში თავიანთ დაინტერესებას უარყოფენ. თუმცა მომხმარებელთა უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა და მთავრობის წარმომადგენლებმა სერიოზული კამპანია ააგორეს და სომეხ მომხმარებელს თურქული პროდუქტებისადმი ბოიკოტის გამოცხადებისკენ მოუწოდეს. ამ კამპანიის კულმინაცია მათი სერთიფიცირების აკრძალვა იყო.
2006 წლის დასაწყისში სომხეთის სახელმწიფო ინსპექციის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ თურქული წარმოების ზოგიერთი პროდუქტი ,,სტანდარტებს არ შეესაბამება“.
ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პრესმდივნის ანაიტ ხეტოჩიანის თქმით, თურქული საქონლის აკრძალვა ,,უცნობი წარმოშობის საეჭვო კვების პროდუქტების“ შესახებ მომხმარებლის ხშირი ჩივილით არის გამოწვეული. სამინისტრო სხვა განმარტებასაც გვთავაზობს – თურქული საქონლის აკრძალვა ფრინველის გრიპის ვირუსის გავრცელების შესაძლებლობის აღკვეთის მიზნით განხორციელებული პროფილაქტიკური ღონისძიებაა.
არასამთავრობო ორგანიზაციამ ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვა“ წელს ათი დასახელების (მათ შორის, ცხრა სომხურ და ერთ ირანულ) პროდუქტს პროტესტი გამოუცხადა. ხუთი დასახელების პროდუქტში ჯანმრთელობისთვის საზიანო ინგრედიენტები აღმოჩნდა. კერძოდ, ორგანიზაციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ პროდუქტების ერთ ნაწილში აღმოჩენილია ნაწლავის ჩხირი, ხოლო მეორეში საფუარის ჭარბი შემცველობა.
ბიოქიმიკოს ანაიტ დავთიანის თქმით, ბაცილამ, რომელიც პროდუქტში მისი ანტისანიტარიულ პირობებში დამზადების დროს ან შეუსაბამო ტემპერატურაზე შენახვისას აღწევს, შესაძლოა დიზენტერია და სხვა ინფექციური დაავადებები (მათ შორის, მუცლის ტიფიც) გამოიწვიოს.
ორგანიზაცია ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვის“ ხელმძღვანელმა აბრაგ ეგოიანმა საკმაოდ ღიად მიგვანიშნა, რომ სავსებით შესაძლებელია, პროდუქტებში დაავადების გამომწვევ მიკრობებს სომხეთის მტრები წინასწარგანზრახულად ახვედრებდნენ.
,,საკვები პროდუქტების უსაფრთხოება – ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი ელემენტია. ჩვენი საცხოვრებელი რეგიონისა და კანონმდებლობის პირობებში მოწამვლისგან თავდაცვის გარანტიები არ გაგვაჩნია“, – ამბობს ეგოიანი.
სომხეთის ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და შესაბამისობის განყოფილების უფროსი რობერტ დაიანი ამბობს, რომ ,,საეჭვო“ თურქული პროდუქტები ,,მაღალხარისხიანი სომხური პროდუქციით“ შეიძლება შეიცვალოს.
თუმცა ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ სომხური პროდუქტები, რომელთაც, მათი თქმით, ხშირად უმარკოა და ხარისხთან დაკავშირებული პრობლემებიც აქვთ, ასევე საჭიროებს დაწვრილებით შემოწმებას.
,,ჩვენ გამუდმებით ვსაუბრობთ საკვები პროდუქტების უსაფრთხოებაზე, თუმცა, პირველ რიგში, ადგილობრივი წარმოების პროდუქტები უნდა გვაშფოთებდეს. სომხური ბაზრის პროდუქტების უსაფრთხოების დახასიათება რომ დამჭირდეს, სრული პასუხისმგებლობით ვიტყოდი, რომ გარანტიები პრაქტიკულად არ არსებობს“, – განაცხადა მომხმარებელთა ასოციაციის თავმჯდომარემ არმენ პოლოსიანმა.
ივნისის დასაწყისში ერევნის ერთ-ერთ მაღაზიაში ერთმანეთის მიყოლებით ადგილობრივი წარმოების მინერალური წყლის ბოთლები აფეთქდა. მინის მფრინავი ნამსხვრევებისგან თავის დასაცავად გამყიდველიც და მომხმარებლებიც შენობიდან გამოცვივდნენ. საბოლოოდ აფეთქების მიზეზად მინის ბოთლების უხარისხობა დასახელდა.
მომხმარებელთა ასოციაციის მიერ 2005 წლის ნოემბერში განხორციელებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ადგილობრივი წარმოების პროდუქციის 64 პროცენტს პროდუქტის შედგენილობის, შენახვის ვადების, კვებითი ღირებულებისა და სხვა მახასიათებლების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია არ გააჩნია.
სომხური წარმოების პროდუქტებთან დაკავშირებული პრობლემების რეალური მოგვარების ნაცვლად ემოციებს აყოლილი სომეხი ჩინოსნები ყველაფერს თურქულ საქონელს აბრალებენ.
მიმდინარე მოვლენების პოლიტიკური სარჩულის არსებობის დადასატურებად შეიძლება მივიჩნიოთ სომხურ მაღაზიაში აღმოჩენილ თურქული შოკოლადის ფილებთან დაკავშირებული სკანდალიც. სომხური მხარე ამტკიცებდა, რომ სინამდვილეში ეს შოკოლადი თურქული ფირმის იმ ფილიალში იყო დამზადებული, რომელიც ბაქოში მდებარეობს.
ცეცხლზე ნავთი ადგილობრივი საკონდიტრო ფირმის სატელევიზიო რეკლამამაც დაასხა, რომელიც მომხმარებელს აფრთხილებდა, რომ ყბადაღებულ შოკოლადის ფილებში რძის ნაცვლად მცენარეული ზეთი შედის.

www.iwpr.net

# ქართული ინიციატივა გერმანული გამოცდილებით



სოფო კილასონია

ქართული ხუროთმოძღვრების რეაბილიტაციის პროცესებში გერმანელი ექსპერტები ჩაერთვებიან.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მოწვევით თბილისში იმყოფება ქალაქ მიუნხენის უნივერსიტეტის გერმანელ ექსპერტთა ჯგუფი, რომლებიც ქართულ-გერმანული ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში სამინისტროსთან ერთად მონაწილეობას მიიღებს კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციაში.

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი, რომელიც, აქტიურად მუშაობს ეროვნული მემკვიდრეობის გადარჩენისთვის, განსაკუთრებით იზიარებს სხვა ქვეყნის გამოცდილებას. სამინისტრო უკვე ორი წელია თანამშრომლობს იუნესკოსთან, ეს უკანასკნელი კი მთელს ამიერკავკასიაში კულტურის სამინისტროს მჭიდრო პარტნიორად მოიაზრებს, რომელიც ზუსტად ასრულებს საერთაშორისო კონვენციის პირობებს. სხვა ევროპელ ექსპერტებთან თანამშრომლობის პარალელურად სამინისტრო ამჯერად ახალ პარტნიორს იძენს გერმანელი ექსპერტების სახით.

ერვინ ემირლენგის ხელმძღვანელობით (რესტავრატორი, ძეგლთა რესტავრაცია-კონსერვაციის საერთაშორისო ცენტრის წევრი, რესტავრაცია-კონსერვაციის ფაკულტეტის რექტორი) თომას ვარშაიდი (კონსულტატი ბიოლოგიური დაზიანებების დარგში, მიუნხენის უნივერსიტეტის დოცენტი) გაეცნობა იმ ძეგლებს (სამთავისი, უბისა, ყინწვისი, ატენი), რომლებზეც სამინისტროს დაფინანსებით უკვე მიმდინარეობს მუშაობა.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები შეხვდებიან ქართველ სპეციალისტებს, საქართველოში გერმანიის საელჩოს წარმომადგენლებს და რაც მთავარია, სამინისტროს მიერ, თბილისის სამხატვრო აკადემიაში შექმნილ რესტავრაცია-კონსერვაციის ფაკულტეტის წარმომადგენლებს.

გუშინ ნიკა ვაჩეიშვილმა ექსპერტებს პირადად გაუწია გიდობა და მათთან ერთად მოინახულა სამთავისი, უბისას მონასტერი და გელათი. 7 ივლისს დაგეგმილია ვიზიტი ყინწვისსა და ატენში. აღნიშნულ ძეგლებზე მოხდება საერთაშორისო დონის ექსპერტიზის ჩატარება, რეაბილიტაციისთვის ინდივიდუალური მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება და შესაბამისი რეაბილიტაცია.

# მეჩითოვის საქართველო

გამჭვირვალე მოხუცი - წარსულში რკინიგზელი და ფარაჯანოვის "გაფრენა"

ია ვეკუა

იური მეჩითოვისთვის საქართველო მხოლოდ სერგო ფარაჯანოვის ჭრელი ხალიჩები, აფხაზეთის ომი და ავლაბრელი სომხები არ არის. მისი საქართველო მთელ ქვეყანაშია გაბნეული, რომელსაც წლიდან წლამდე ობიექტივით აგროვებს, შემდეგ კი სხვადასხვა სახით ამზეურებს. ამჯერად მეჩითოვმა ღია ბარათების სახით დაბეჭდილი ალბომი "საქართველო - სურათები" წარმოადგინა, რომელშიც 1980 წლიდან მეოცე საუკუნის უკანასკნელ წლამდე გადაღებული სრულიად განსხვავებული ცხოვრებისა და ყოფის მქონე ადამიანების პორტრეტები გააერთიანა.

"ეს სურათები ჩემი თვითშემეცნების შედეგია. აქ აღბეჭდილია ის ხალხი, ვისაც მეოცე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩემ ირგვლივ ვხედავდი. ყველა სურათი გადაღებულია ჩემს სამშობლოში, საქართველოში - უცნაურ ქვეყანაში, რომელსაც ვერც აღმოსავლეთის და ვერც დასავლეთის ვერც ერთ ქვეყანას ვერ მიამსგავსებ. აქ საოცარი ხალხი ცხოვრობს და მე არ ვიღლები ამ საოცრების აღმოჩენით მათში და, სხვათა შორის, ჩემშიც", - ეს ტექსტი მეჩითოვმა თავის ახალ კრებულს დაურთო.

ღია ბარათებად შეკრულ ალბომში გაერთიანებული ყველა პორტრეტი საოცრად სევდიანია, რასაც თავად ავტორიც არ უარყოფს და ამბობს: "როდესაც ფოტოს იღებ, ადამიანს შეიცნობ - დიდ ცოდნაში კი დიდი სევდა იმალება". ამ განწყობას ისიც ამძაფრებს, რომ ფოტოები შავ-თეთრია. ერთადერთი კადრი, როდესაც ოდნავი მხიარულება იგრძნობა, ის ცნობილი ფოტოა, რომელზეც სერგო ფარაჯანოვი "მოფრინავს".

ფარაჯანოვის გარდა ალბომში ელენე ახვლედიანი და ნინო რამიშვილიც მოხვდნენ. "გადაღების დამდგმელმა სერგო ფარაჯანოვმა არ მომცა უფლება მსახიობისთვის ფეხიდან გამძვრალი ფეხსაცმელი ჩამეცმია" - ეს არის 1983 წელს თბილისში გადაღებული ფოტოს მინაწერი. ათი წლის შემდეგ შექმნილი ნინო რამიშვილის კადრის უკან გაკეთებული წინადადება კი გვამცნობს: "მიუხედავად ასაკისა, კამერის წინ მაინც პოზირებდა"...



იური მეჩითოვი.

იური მეჩითოვის ფოტო

თუმცა ყველაზე შთამბეჭდავი ყვარლის მახლობლად გადაღებული კადრია, რომელზეც მეჩითოვის შეფასებით "ლამის გამჭვირვალე მოხუცია" აღბეჭდილი. მომცრო ტანის, ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცი - წარსულში ალბათ რკინიგზელი, თითქოს არც კი არსებობს და კადრში მოჩვენებასავით შემთხვევით მოხვდა. ასევე "შემთხვევითი" ანუ ბუნებრივია ის ფოტოებიც, რომლებზეც პანაშვიდიდან მომავალი ამბროლაურელები, თამარაშენის სკოლის გახსნაზე შეკრებილი სოფლის მოსახლეობა ან მინდორში, გაზაფხულის მოლოდინში ჩაცუცქული მოხუცი არიან აღბეჭდილნი.

"ფოტოგრაფიაში სიჩუმეს ვაფასებ. ხშირად ფოტო საშინელ ფაციფუცსა და ფუსფუსში იქმნება, მაგრამ შემდეგ არავითარი კავშირი აღარა აქვს ამ ხმაურთან", - ამბობს იური მეჩითოვი და წარმოადგენს კადრებს, რომლის გმირებისთვისაც უკვე აღარც სიჩუმეს აქვს მნიშვნელობა და აღარც ხმაურს: ვიტალი დარასელიას დაღუპვის ადგილი ტრაგედიიდან ორიოდე წლის შემდეგ, აფხაზეთის ომის მოხალისე მებრძოლები, რომელთა ბედი ფოტოგრაფისთვის უკვე უცნობია და მეჩითოვის მეზობელი ბიჭუნები - ისინი მისთვის იმ უსულო, მექანიკური მომავლის განსახიერებად ქცეულან, სადაც აღარც სითბოა და არც სიხარული...

# რუსული ბუკერის მოლოდინში

რუსული ლიტერატურული პრემიით დაჯილდოება ჯერ შორსაა, მაგრამ კონკურსანტთა გრძელი ჩამონათვალი უკვე ცნობილია. მათი ვინაობა ჟიურიმ 29 ივნისს გაგვიმხილა. მთალიანობაში "რუსული ბუკერისთვის" 41 რომანი ეპაექრება ერთმანეთს.

ჩამონათვალი წიგნების ავტორთა შორის არიან იური არაბოვი, ვასილი აქსენოვი, იური პოლიაკოვი, მაქსიმ კანტორი, ანდრეი სლაპოვსკი, დინა რუბინა, ოლგა სლავნიკოვა, პაველ კრუსანოვი და ზახარ პრილეპინი.

"რუსული ბუკერის" ჟიურის ხელმძღვანელობს მწერალი ალექსანდრე კაბაკოვი. მასთან ერთად საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებებს შეარჩევენ კრიტიკოსი დმიტრი ბაკი, პოეტი და რადიოჟურნალისტი ტიმურ აბიროვი, პროზაიკოსი რომან სოლნცევი და ტელეჟურნალისტი სვეტლანა საროკინა.



მწერალი ალექსანდრე კაბაკოვი.

კონკურსანტთა საბოლოო, მოკლე ჩამონათვალი 4 ოქტომბერს გახდება ცნობილი. გამარჯვებულის სახელს ორი დღის შემდეგ დაასახელებენ. პრემირებული მწერალი 20 ათას დოლარს მიიღებს ჯილდოდ, დანარჩენი ფინალისტები კი - მხოლოდ 1000-1000 დოლარს.


**FRANCK PROVOST**
**Paris**

**ფრანგული თმის სალონი-ს ფილიალი საქართველოში**

**აცხადებს კონკურსს პროფესიონალი ხელოსნების მიღებაზე**
**მოთხოვნები:**

**არანაკლებ 3 წლის გამოცდილების მქონე სტილისტები, 20-დან - 40 წლამდე**
**ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით**
**ტელ.: (995 77) 99 55 22**
**(995 99) 26 77 97**
**(995 99) 14 30 06**
**გამოხმაურების საბოლოო ვადაა: 20 ივლისი**


დაინტერსებული პირების საყურადღებოდ: სპს "ომარ თედორაძე და კომპანია" აცხადებს ლიკვიდაციას.

**ტელ: 899 957189, 893 345230**

## ცვლილება

გაზეთ 24 საათის 6 ივლისის N 149-ში სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მიერ გამოცხადებულ ტენდერში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე, შეტანილია შემდეგი ცვლილება:

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - ინგლისურ არ რუსულ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) დახურულ კონვერტში, **2006 წ. 25 ივლისის 10:00 საათიდან 27 ივლისის 15:00 საათამდე,** მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ N16ა, მეორე სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, **ტელ 911192**. სატენდერო წინადადება ხელმოწერილ უნდა იქნეს იურიდიული პირის შემთხვევაში მისი ხელმძღვანელის მიერ, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში თავად მის მიერ. ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

ცესკო

## განცხადება

საარჩევნო კაბინების შესყიდვა შესახებ სსიპ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ 2006 წლის 3 ივლისს გამოქვეყნებულ განცხადებაში დამატებების შეტანის შესახებ.

ტენდერის დროს გამოყენებულ იქნება სატენდერო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფის მექანიზმი. გარანტიის ფორმა - საბანკო, პრეტენდენტის სატენდერო წინადადების 1 (ერთი) პროცენტის ოდენობით.

ტენდერის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებულის მიმართ ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფის მექანიზმი. გარანტიის ფორმა - საბანკო, ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტის ოდენობით.

## შესწორება სატენდერო განცხადებაში

**გაზეთი "24 საათის" 5 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა სატენდერო განცხადება :**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)**
**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 06.12.16.**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**ჩხოროწყუს რაიონის, სოფელ ნაფიჩხოვოს ხიდის რეაბილიტაცია**

**აღნიშნულ განცხადებაში, წინადადება:** "საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 600 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია"

**უნდა შეიცვალოს წინადადებით:** "საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **4 300 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია."







**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

**ნაუტილუსი**



**გთავაზობთ:**

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge









## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**



## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06**
**893 65 38 39**

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### Aston Martin კიდევ უფრო შემოსავლიანი გახდა

კომპანია Aston Martin-ის ხელმძღვანელობა სიხარულს ვერ მალავს და აცხადებს, რომ კომპანიის მოგება საგრძნობლად გაიზარდა. ეს კი კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბოლო 40 წლის მანძილზე Aston Martin-ი დიდ ფინანსურ პრობლემებს განიცდიდა. ექსპერტების აზრით, კომპანიის მოგების ზრდა წარმოების რეკონსტრუქციამ განაპირობა. შეგახსენებთ, რომ ამ ფირმის მფლობელი ამ ეტაპზე კომპანია Ford-ია.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ Aston Martin-ზე მოთხოვნილება, ისევე როგორც სხვა "ლუქსის" კლასის მოდელებზე, ბოლო პერიოდში საკმაოდ გაიზარდა. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, გასულ წელს ბაზრის ეს სეგმენტი 20%-ით გაიზარდა.

კომპანია Aston Martoin-ის წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ ამ მარკაზე მოთხოვნილება და შესაბამისად, კომპანიის მოგება მიმდინარე წლის მანძილზე კიდევ უფრო გაიზრდება. ფირმის პოპულარიზაციაზე გავლენას ჯეიმს ბონდის ახალი ფილმი იქონიებს, სადაც სუპერ აგენტს Aston Martin ემსახურება.

### ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1.7721 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დღეს გამართული ვაჭრობის შედეგად საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1.7721 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა.

როგორც "ინტერპრესსნიუსს" საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი - 1.7721 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნამ - 250 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდებამ 200 000 აშშ დოლარი შეადგინა.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაში მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა (ორმა გამყიდველის და ორმა მყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (გამყიდველის სტატუსით). დაიდო სამი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 250 000 აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 50 000 აშშ დოლარი გაყიდა.

7 ივლისიდან ძალაში დარჩა აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი/1.7721 ლარი.
**ინტერპრესსნიუსი**

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3192 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9802 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4825 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7721 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8271 |
| 1 | ბულგარული ლევი | BGL | 1,1566 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3032 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3082 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2616 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4457 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3408 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1316 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1541 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2644 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1935 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2361 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4035 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5989 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,2279 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,5787 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3344 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2843 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5637 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5953 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0660 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1197 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4237 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5399 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4466 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5210 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8084 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1278 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1499 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4414 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2465 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4432 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0796 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2216 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2281 |




# ქართული "შავი ოქრო"

დიანა ჩაჩუა

*ინფორმაცია განსჯისთვის: გასულ წელს საქართველოში "შავი ოქროს" წარმოებამ 66,7 ათასი ტონა შეადგინა. ეს 30,9 ათასი ტონით ჩამოუვარდება 2004 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (97,6 ათასი ტონა), რაც, თავის მხრივ, 42,1 ათასი ტონით ნაკლებია წინა წლის შედეგზე. 1980-იან წლებში საქართველოში ნავთობის წარმოების წლიური მოცულობა 3,5 მილიონ ტონას აღწევდა. კლებადი ტენდენციის მიუხედავად, უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტების ვარაუდობენ, რომ თუკი ძებნა-ძიების თუნდაც ერთ-ერთი მიმდინარე სამუშაო წარმატებული აღმოჩნდება, უახლოეს მომავალში ქვეყანაში ნავთობის მოპოვება კვლავ რამდენიმე მილიონ ტონას გადააჭარბებს. აღსანიშნავია ისიც, რომ გასულ კვირას ნავთობის სექტორში სამი ახალი უცხოური კომპანია შემოვიდა, რომლებიც 25 წლის მანძილზე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, ჯამში, ხუთ სალიცენზიო ბლოკს გააკონტროლებენ.*




B4

# ფინანსთა მინისტრი ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მაჩვენებელს აქვეყნებს

სალომე ძაძამია

*ფინანსთა მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მაჩვენებელი გამოაქვეყნა. მინისტრის თქმით, შარშანდელთან შედარებით, წლევანდელი მაჩვენებელი გაუმჯობესებული და გადაჭარბებულია. ალექსიშვილის განცხადებით, ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებელთან ერთად, გაუმჯობესდა ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლებიც.*

**ნაერთი ბიუჯეტის გეგმა იანვარ-ივნისში 1,782.6 მლნ ლარი იყო, ხოლო შესრულება - 1,842.7 მლნ ლარი - 60.1 მლნ ლარით მეტი. სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-ივნისის გეგმა 1,517.8 მლნ ლარი გახლდათ, შესრულება 1,551.7 მლნ ლარი, მეტობა აქაც აღინიშნება - 33.9 მლნ ლარი. საგადასახადო შემოსავლების იანვარ-ივნისის გეგმა 1,342.7 მლნ ლარი იყო, ხოლო შესრულება - 1,342.7 მლნ ლარი, მეტობა 47.6 ლარით აღინიშნება. საბაჟო დეპარტამენტის საგადასახადო შემოსავლის გეგმა 6 თვეში 575.4 მლნ ლარია, ფაქტი 593.0 მლნ ლარი, 17.6 მლნ ლარით მეტი. საგადასახადო დეპარტამენტის საგადასახადო შემოსავალი 6 თვეში ასეთია: გეგმა - 767.3 მლნ ლარი, ფაქტი - 797.3 მლნ ლარი - 30.0 მლნ ლარით მეტი. არასაგადასახადო შემოსავლების იანვარ-ივნისის გეგმა 259.5 მლნ ლარია, ფაქტი - 270.2 მლნ ლარი - მეტობა 10.7 მლნ ლარია.**




*ფინანსთა მინისტრი სამინისტროს მუშაობის შედეგებით კმაყოფილია.*

B2

# უმდიდრესი არაამერიკული კომპანია

## HSBC-ის საიდუმლო იმპერია

ბორა ქიმუცაძე

*ბრიტანული HSBC (Hong Kong and Shanghai Banking) მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი გლობალური ბანკია, მაგრამ სპეციალისტების გარდა, მის შესახებ ბოლო დრომდე ძალიან ცოტამ თუ იცოდა. HSBC Group-მა მხოლოდ ახლო წარსულში გადაწყვიტა ჩრდილიდან გამოსვლა და ახლა ცდილობს, თავისი ბრენდი პოპულარული გახადოს მათთვის, ვინც კარგა ხანია, მისი მომსახურებით სარგებლობს. ამგვარი კი ძალიან ბევრია, HSBC Group-ს ხომ განთქმულ ჟურნალ Forbes-ის რეიტინგში მეხუთე ადგილი უკავია, საბანკო სექტორში კი - Citigroup-ის და Bank of America-ს შემდეგ მესამეა. ამასთან, ამავე რეიტინგის მიხედვით HSBC -ი უმდიდრესი ევროპული, უფრო სწორად, არაამერიკული კომპანიაა - პირველი ოთხი ადგილი ამერიკულ კომპანიებს უკავიათ. ბრიტანული გიგანტი ბანკის საბაზრო კაპიტალიზაცია 193,32 მილიარდი დოლარია, ხოლო გასულ წელს მისმა მოგებამ 76,38 მილიარდი დოლარი შეადგინა.*

**HSBC-მ მუშაობა ოფიციალურად 1865 წელს დაიწყო. საქმე მშვენივრად აეწყო. საზერლენდი მისი ვიცე-პრეზიდენტი გახდა, მაგრამ ამ პოსტზე დიდხანს არ დარჩენილა - P&O-მ გადაწყვიტა, ძვირფასი თანამშრომელი ლონდონში გადაეყვანა. საბოლოოდ, საზერლენდი P&O-ს მმართველობის თავმჯდომარე და თემთა პალატის წევრი გახდა და რაინდის წოდებაც მიიღო. იგი 1923 წელს გარდაიცვალა.**




B3

## ტვირთბრუნვის მოცულობა ოთხი პროცენტით გაიზარდა

2006 წლის იანვარ-მაისში თანამეგობრობის ქვეყნებში ტვირთბრუნვის მოცულობა ოთხი პროცენტითაა გაზრდილი. თანამეგობრობის ქვეყნების სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ფიზიკური და სახელმწიფო ტვირთების ბრუნვის მაჩვენებელმა საქართველოში 147,4 პროცენტით მოიმატა, აზერბაიჯანში - 117,7 პროცენტით, ყაზახეთში - 110, 8 პროცენტით, ბელარუსში კი - 106, 4 პროცენტით.

გამონაკლისია ამ საქმიანობაში მოლდოვა. ოფიციალური წყაროები მოლდოვასთან ტვირთბრუნვის მოცულობის შემცირებაზე საუბრობენ.

მნიშვნელოვან მატებას მიაღწია ტრანსპორტირებამ რუსეთის ფედარაციაში და პირიქით. სტატისტიკური მონაცემებით, რუსეთთან ტვირთბრუნვამ 826,6 მილიარდი ტონა შეადგინა. უკრაინაში ეს მაჩვენებელი 109 მილიარდი ტონა იყო, ყაზახეთში კი - 91,8 მილიარდი ტონა.

ამავე წყაროს ცნობით, ტვირთბრუნვამ საქართველოში 1,9 მილიარდი ტონა შეადგინა, ტაჯიკეთში - 0,8 მილიარდი ტონა, ყირგიზეთში - 0,4 მილიარდი ტონა, სომხეთში კი - 0,2 მილიარდი ტონა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქარხნებს 2009 წელს "ჰასაპის" სისტემის დანერგვა მოუწევთ

მაღალი რისკის საწარმოები 2009 წლიდან დანერგავენ საერთაშორისო სისტემა "ჰასაპს", რაც რისკის ფაქტორების გამოვლენას ითვალისწინებს.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უსაფრთხოების დეპარტამენტში განუცხადეს, საწარმოებს კრიტიკულ წერტილებთან ერთად მიკვლევადობის სისტემაც უნდა ჰქონდეს, რაც უსაფრთხო პროდუქციის წარმოებაში დაეხმარება.

მათი თქმით, საწარმოებში კრიტიკული წერტილების დადგენა მოწვეულმა ექსპერტებმა, ჰიგიენისტებმა და მიკრობიოლოგებმა უნდა უზრუნველყონ.

რისკის ანალიზის შეფასება სამი კომპონენტით განისაზღვრება - შეფასება, მართვა და კომუნიკაცია.

მაღალი რისკის შეფასების ქარხნები კი ისეთი ქარხნებია, სადაც ხორც-პროდუქტები, პურ-პროდუქტები და რძის-პროდუქტები იწარმოება. ამ კატეგორიაში გადამამუშავებელი მრეწველობაც შედის. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოში ახალი ელექტროსადგური აშენდება

სომხური კომპანია საქართველოში 330 მეგავატი სიმძლავრის ელექტროსადგურის აშენებას გეგმავს.

როგორც საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში სომხურმა კომპანიამ გაიმარჯვა. ამჟამად პროექტის დეტალები განიხილება.

სომხური კომპანია მშენებლობას უახლოეს მომავალში დაიწყებს. მშენებლობის დასრულება წლის ბოლოსთვის იგეგმება.

აღნიშნული ობიექტი 100 კილომეტრ ფართობზე განთავსდება. პროექტის საერთო ღირებულება კი 20-24 მილიონ დოლარი იქნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კანონპროექტი შეიმუშავა

სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახლო მომავალში, პარლამენტში აგრარულ კომიტეტზე განსახილველად "რისკის ანალიზის ფარგლებში რისკის შეფასებისა და რისკის კომუნიკაციის ფარგლებში" და "მიკვლევადობის, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების დადგენის საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობის" ორ კანონპროექტს წარადგენს.

პროექტები შეეხება სურსათთან მიმართებაში ფიზიკური, ქიმიური და მიკრო-ბიოლოგიური საფრთხის დახასიათებას, ანუ წარმოებული პროდუქციის დროს რა საფრთხის წინაშე დგას ადამიანის ჯანმრთელობა.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასურსათო უსაფრთხოების დეპარტამენტში განაცხადეს, კანონპროექტების მიზანია წარმოებული პროდუქციისას საფრთხის იდენტიფიკაცია, დროული გამოვლენა და რისკის დახასიათება.

მათი თქმით, მომავალში კანონი დაარეგულირებს ქვეყანაში უსაფრთხო პროდუქციის წარმოებას, სადაც მაღალი რისკის მქონე ქარხნებში კრიტიკული საკონტროლო წერტილები დადგენილი იქნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აზერბაიჯანი საქართველოს გაზს მსოფლიო ფასებით მიაწვდის

აზერბაიჯანის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრის ნატიკ ალიევის განცხადებით, აზერბაიჯანი მზად არის, გაზის დამატებითი მოცულობა საქართველოს მიაწოდოს.

ალიევის განცხადებით, აზერბაიჯანი საქართველოს გაზს მსოფლიო ფასებით მიაწვდის.

"რა ფასი იქნება მომავალი წლისთვის, ამჟამად უცნობია. არაბუნებრივია, ჩვენ გაზი მივიღოთ მაღალ ფასში და საქართველოს დაბალ ფასად მივცეთ," - განაცხადა ალიევმა.

ალიევის თქმით, აზერბაიჯანი არ აპირებს, რუსეთიდან მიღებული ბუნებრივი აირის რეექსპორტი საქართველოში მოახდინოს, "ვინაიდან რუსეთიდან ჩვენ გაზს ჩვენი საჭიროებისათვის ვყიდულობთ," - დასძინა ალიევმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## 10-პროცენტიანი ინფლაცია საქართველოს ეკონომიკისთვის მაღალი მაჩვენებელია

საპარლამენტო ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" წევრი ირაკლი იაშვილი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში 10-პროცენტიანი ინფლაცია საქართველოს ეკონომიკისთვის ძალიან მაღალი მაჩვენებელია.

როგორც ცნობილია, საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2006 წლის მაისისთვის წლიური ინფლაციის დონემ სწორედ 10 პროცენტი შეადგინა.

"ჩვენისთანა ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის ინფლაციის მაჩვენებელი 5-დან 7 პროცენტამდე უნდა მერყეობდეს. ინფლაციის დონის მატება მთელი რიგი ფაქტორებით არის განპირობებული. მათგან მთავარი მიზეზი ის არის, რომ პრივატიზაციიდან ქვეყანაში შემოსული ფული ქვეყნის შიგნით არასწორად იხარჯება. ასე იყო შარშან და ასე არის წელსაც. მეორე მიზეზი კი ენერგომატარებლების ფასის ზრდაა, რამაც, თავის მხრივ, ყველა პროდუქტის გაძვირება გამოიწვია," - განაცხადა ირაკლი იაშვილმა. **მედიანიუსი**

# ფინანსთა მინისტრი ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მაჩვენებელს აქვეყნებს

პირველი გვერდიდან

ნაერთი ბიუჯეტის გეგმა იანვარ-ივნისში 1,782.6 მლნ ლარი იყო, ხოლო შესრულება - 1,842.7 მლნ ლარი - 60.1 მლნ ლარით მეტი. სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-ივნისის გეგმა 1,517.8 მლნ ლარი გახლდათ, შესრულება 1,551.7 მლნ ლარი, მეტობა აქაც აღინიშნება - 33.9 მლნ ლარი. საგადასახადო შემოსავლების იანვარ-ივნისის გეგმა 1,342.7 მლნ ლარი იყო, ხოლო შესრულება - 1,342.7 მლნ ლარი, მეტობა 47.6 ლარით აღინიშნება. საბაჟო დეპარტამენტის საგადასახადო შემოსავლის გეგმა 6 თვეში 575.4 მლნ ლარია, ფაქტი 593.0 მლნ ლარი, 17.6 მლნ ლარით მეტი. საგადასახადო დეპარტამენტის საგადასახადო შემოსავალი 6 თვეში ასეთია: გეგმა - 767.3 მლნ ლარი, ფაქტი - 797.3 მლნ ლარი - 30.0 მლნ ლარით მეტი. არასაგადასახადო შემოსავლების იანვარ-ივნისის გეგმა 259.5 მლნ ლარია, ფაქტი - 270.2 მლნ ლარი - მეტობა 10.7 მლნ ლარია.

ფინანსთა მინისტრი გაწეული ხარჯების შესახებაც საუბრობდა.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფერომ ფინანსთა სამინისტროსგან 6 თვის განმავლობაში 323.2 მლნ ლარი მიიღო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ - 146.5 მლნ ლარი, ენერგეტიკის სამინისტრომ - 143.1 მლნ ლარი, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა - 61.1 მლნ ლარი, თავდაცვის სამინისტრომ - 270.1 მლნ ლარი, შინაგან საქმეთა სამინისტრომ - 117.4 მლნ ლარი, კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ - 23.0 მლნ ლარი, იუსტიციის სამინისტრომ - 31.6 მლნ ლარი.

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ გამოყოფილი 323.2 მლნ ლარი ასე გაანაწილა: საპენსიო უზრუნველყოფა - 209.9 მლნ ლარი, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები - 50.6 მლნ ლარი, სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია - 18.6 მლნ ლარი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარება - 8.8 მლნ ლარი, ელექტროენერგიის შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის კომპენსაცია - 6.2 მლნ ლარი, სხვა ხარჯები - 29.1 მლნ ლარი. განათლების სფერომ 146.5 მლნ ლარი ასე გაანაწილა: ვაუჩერიზაციის პროგრამა - 92.8 მლნ ლარი, სასწავლო დაწესებულებების რეაბილიტაცია - 17.7 მლნ ლარი, მეცნიერების ხელშეწყობის პროგრამები - 6.9 მლნ ლარი. ენერგეტიკის სამინისტრომ 143.1 მლნ ლარი ასე დაყო: ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველყოფისა და ტარიფების შენარჩუნების ღონისძიება 102.0 მლნ ლარით დააფინანსა, სარეაბილიტაციო ღონისძიებები - 20.0 მლნ ლარი, საინვესტიციო პროექტები - 7 მლნ ლარი. საგზაო ინფრასტრუქტურისათვის გამოყოფილი 61.1 მლნ ლარი ასე დაიყო: გზების შეკეთება და რეაბილიტაცია - 28.6 მლნ ლარი, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ნატახტარი-აღაიანის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია - 16.5 მლნ ლარი, სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებები - 5.9 მლნ ლარი.

კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრომ 23.0 მლნ ლარი შემდეგნაირად გაანაწილა: საპრეზიდენტო პროგრამები - 6.8 მლნ ლარი, სახელოვნო პროგრამები - 8,3 მლნ ლარი, კულტურული მემკვიდრეობის პროგრამები - 2.6 მლნ ლარი. იუსტიციის სამინისტრომ 31.6 მლნ ლარი შემდეგნაირად გაანაწილა: სასჯელაღსრულების დაწესებულების ფინანსური უზრუნველყოფა და მათი რეაბილიტაცია - 15 მლნ ლარი, საინვესტიციო პროექტები - 3 მლნ ლარი.













# ღვინის ხარისხი, შესაძლოა, სურსათის უვნებლობის სამსახურმა გააკონტროლოს

ღვინის ხარისხი, შესაძლოა, "სამტრესტის" ნაცვლად სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულმა სამსახურმა გააკონტროლოს. აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტმა დღეს "ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები და დამატებები განიხილა. ცვლილებების მიხედვით, ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლს "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური" განახორციელებს.

როგორც კანონპროექტის ავტორი, კომიტეტის წევრი მურმან ქურიძე განმარტავს, "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" უკვე მიღებული კანონის შესაბამისად, სურსათის სფეროში ერთადერთი მაკონტროლებელი ორგანო - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური შეიქმნა, ამიტომ ღვინოზე კონტროლიც ამ სამსახურს უნდა დაევალოს. კანონპროექტის მიხედვით, "სამტრესტს" ხარისხის კონტროლის ფუნქცია ჩამოერთმევა და მხოლოდ ზედამხედველობას განახორციელებს.

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ედვარდ სურმანიძე კი რესტორნებში და კაფე-ბარებში ჩამოსასხმელი ღვინის აკრძალვის ინიციატივით გამოდის. როგორც დღეს, აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ედვარდ სურმანიძემ განაცხადა, ფალსიფიკაციასთან ბრძოლის მიუხედავად, თბილისის ბევრ რესტორანში და დასავლეთ საქართველოში ძალიან ბევრი ფალსიფიცირებული ჩამოსასხმელი ღვინო იყიდება. "საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში რესტორნებში და კაფე-ბარებში ჩამოსასხმელი ღვინო აკრძალულია. მიმაჩნია, რომ ეს მოდელი ჩვენც უნდა გადმოვიღოთ და შიდა ბაზარზე ხარისხიანი ღვინის მოხმარების დიდი რესურსი გაჩნდება," - განაცხადა სურმანიძემ. მისი თქმით, აღნიშნულ საკითხს დააყენებს მთავრობის წინაშე, რომელსაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს.

***ინტერპრესნიუსი***

# British Airways მგზავრების კომფორტზე ზრუნავს

ლიკა ჯობაძე

კომპანია British Airways-ი მგზავრებს მომსახურების ახალ სერვისებს სთავაზობს. დიდი ბრიტანეთის ტრანსპორტის დეპარტამენტის მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად, ბრიტანეთის ავიახაზებმა მგზავრების ბარგის გადაზიდვის პოლიტიკა გაუმარტივა და რეისების სიხშირეც გაზარდა. ამის გარდა, კომპანია მგზავრებს სრულიად ახალ, ონლაინ-პროდუქტსაც სთავაზობს, რომლის ანალოგიც საქართველოში ჯერ არცერთ კომპანიას არ აქვს.

ახალი სერვისი, რომელიც 2006 წლის 5 ივლისიდან ამოქმედდება, British Airways-ის მგზავრებს ბორტზე ხელბარგის სახით მოზრდილი ზომის საბარგო ჩანთის ატანის საშუალებას აძლევს. 2006 წლის 11 იქტომბრიდან კი ბარგის რეგისტრაციის ახალი წესები შევა ძალაში. ეკონომკლასის მგზავრებს შეეძლებათ უფასოდ ჩააბარონ ჩანთა, რომლის წონაც 23 კილოგრამს არ აღემატება. ბიზნეს კლასის მგზავრები კი 26 კილოგრამიანი ბარგის უფასო სერვისით ისარგებლებენ. შეღავათები დაუწესდებათ ასევე იმ მგზავრებს, რომლებიც 2 წლამდე ბავშვებით მგზავრობენ. ისინი სალონში საბავშვო ეტლითა და საბავშვო ბარგით მოთავსდებიან.

ავიაკომპანიამ ფრენების სიხშირეც გაზარდა. 4 ივლისიდან British Airways ლონდონის მიმართულებით კვირაში უკვე 4 რეისს შეასრულებს. ახალი განრიგის წყალობით, კი მგზავრები ლონდონის გავლით მსოფლიოს ნებისმიერი მიმართულებით გადაფრინდებიან.

British Airways მგზავრებს ავიახაზების ოფიციალური ვებ-გვერდით ბილეთების დაჯავშნისა და მისი საფასურის გადახდის საშუალებასაც აძლევს. კომპანიის ვებ-გვერდზე შესვლით, მგზავრები სახლიდან თუ ოფისიდან გაუსვლელად შეარჩევენ სასურველ ბილეთს, დაჯავშნიან ადგილს ბორტზე და ბილეთის საფასურსაც ინტერნეტის მეშვეობით გადაიხდიან. "ძალიან მნიშვნელოვანია, რომ British Airways-მა, რომელიც ნამდვილად ახალი ტექნოლოგიური თაობის ავიაკომპანიაა, საქართველოში ახალი ონლაინ-პროდუქტი დანერგა, რომელიც მგზავრებს მაქსიმალური დროის დანაზოგით უსაფრთხო და საიმედო მომსახურებას სთავაზობს. ონლაინ-პროდუქტის წყალობით მგზავრებს რეგისტრაციის გასავლელად აეროპორტში მისვლა აღარ მოუწევთ. ისინი ამ პროცესს ინტერნეტით განახორციელებენ. ამ სერვისით სარგებლობას მგზავრები 11 ივლისიდან შეძლებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ბაზარი ბრიტანეთის ავიახაზებისთვის მეტად მნიშვნელოვანი და მიმზიდველია, რის გამოც კომპანია თავის მომსახურებას კიდევ უფრო აუმჯობესებს. " - აცხადებს კომპანია British Airways-ის რეალიზაციის მენეჯერი ნინო ანდრიაძე.

ბრიტანეთის ავიახაზების ვებგვერდს მსოფლიოს მასშტაბით კვირაში მილიონნახევარი ადამიანი სტუმრობს, შეძენილი ბილეთების 81%-ს კი ელექტრონული ბილეთები შეადგენენ.



## ევრობანკმა თიბისი ბანკს 15 მლნ დოლარის საკრედიტო ხაზი გამოუყო

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) ხელი მოაწერა ხელშეკრულებას თიბისი ბანკისათვის 15 მილიონი დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზის გამოყოფის თაობაზე, რომელიც საქართველოში იპოთეკური სესხების გაცემას მოხმარდება.

დღეისათვის თიბისი ბანკს ყველაზე დიდი წილი უკავია იპოთეკური სესხების ბაზარზე - მის მიერ გაცემული იპოთეკური სესხების ჯამური მოცულობა 65 მილიონ ლარს შეადგენს. ახალი საკრედიტო ხაზი ბანკს საშუალებას მისცემს, კიდევ უფრო მეტი მომხმარებელი დააკმაყოფილოს იპოთეკური სესხით და დაეხმაროს მათ ბინის შეძენაში, აშენებასა თუ გარემონტებაში. თიბისი ბანკმა იპოთეკური სესხები 2001 წელს დანერგა და მას შემდეგ ამ მომსახურებაზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება. თიბისი ბანკის იპოთეკური სესხების მაქსიმალური ვადა 20 წელია, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი - 14-დან 19 პროცენტამდე მერყეობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოში ლატვიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ექსპერტები ჩამოვიდნენ

ლატვიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ექსპერტები ქართველ კოლეგებს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ. ამ მიზნით, თბილისში დღეს ლატვიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ. როგორც დეპარტამენტში განაცხადეს, ლატვიელი კოლეგები დღეს თბილისში შეხვდებიან დეპარტამენტის წარმომადგენლებს, ხვალ კი საკუთარ გამოცდილებას აჭარელ სპეციალისტებს გაუზიარებენ. შეხვედრაზე საუბარი იქნება სურსათის მონიტორინგის, ზედამხედველობისა და კონტროლის პროცედურებზე, ინსპექტირების წესებზე, მიკვლევადობის სისტემებზე, რისკის ანალიზსა და მართვაზე, მავნებელი სურსათის განადგურების წესებსა და უფლებამოსილი მოხელის მოვალეობებზე. ლატვიელი ექსპერტები საქართველოში 2 დღეს დარჩებიან. **ინტერპრესნიუსი**

## საქართველოში მოგზაურობა საშიში აღარაა

საქართველოში შემოსულ უცხოელ ტურისტთა რიცხვმა რეკორდული ზრდა განიცადა. ამის შესახებ დღეს საგანგებო პრესკონფერენციაზე ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარემ საბა კიკნაძემ განაცხადა. მისი თქმით, სტატისტიკური მონაცემებით, 2006 წლის პირველ სამ თვეში ქვეყანაში 51%-ით მეტი ტურისტი შემოვიდა, ვიდრე გასული წლის ანალოგიურ პერიოდში. სულ, წლის პირველ სამ თვეში 119 759 ტურისტი ჩამოვიდა, რაც 2004 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 67%-ით მეტია. ტურიზმის დეპარტამენტის ვარაუდით, ტურისტული ბუმი მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება და ზამთრის სეზონში, ისევე როგორც ზაფხულში, პიკს მიაღწევს. **ინტერპრესნიუსი**

## ნაციონალური ავიახაზების პრეზიდენტი ტექნიკურ პრობლემებს გამორიცხავს

საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" პრეზიდენტი გიორგი კოდუა "ალმატი-თბილისის" რეისის დროს ტექნიკურ პრობლემებს კატეგორიულად გამორიცხავს.

ნაციონალური ავიახაზების" თვითმფრინავმა "ტუ-134" წუხელ, ალმატი-თბილისის რეისის დროს დაუგეგმავი დაფრენა ბაქოში განახოცრიელა. თვითმფრინავის ბორტზე 48 მგზავრი იმყოფებოდა. დაუგეგმავი დაფრენა უამინდობის გამო განხორციელდა. რეისის დროს იყო ცუდი მეტეოროლოგიური პირობები - ძლიერი ქარი და ჭექა-ქუხილი. უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, ეკიპაჟმა ბაქოში დაფრენის გადაწყვეტილება მიიღო. მგზავრებმა ბაქოს აეროპორტში დაახლოებით სამი საათი დაჰყვეს, რის შემდეგაც თბილისში გადმოფრინდნენ," - განაცხადა კოდუამ. **ინტერპრესნიუსი**

## Macquarie Bank-მა Duquesne Light-ი შეიძინა

საინვესტიციო კონსორციუმმა, რომელსაც ავსტრალიური ბანკი Macquarie Bank-ი ხელმძღვანელობს, ამერიკული ენგერგეტიკული კომპანია Duquesne Light-ი 3,15 მილიარდ დოლარად შეიძინა. გარდა იმისა, რომ კონსორციუმმა Duquesne Light-ის 79,6 მილიონ აქციაში 1,59 მილარდი დოლარი გადაიხადა, ამერიკული კომპანიის 1,26 მილიარდი დოლარის ოდენობის ვალიც გადაიბარა. ამგვარად, კონსორციუმმა Duquesne Light-ის ერთ აქციაში 20 დოლარი გადაიხადა, რაც მათ საბაზრო ღირებულებაზე 21,7 პროცენტით მეტია.

აღნიშნული გარიგება მხოლოდ მას შემდეგ დასრულდება, რაც აშშ-ს მარეგულირებელი ორგანოები მწვანე შუქს აუნთებს. წესით და რიგით, არანაირი წინააღმდეგობა არ უნდა შეიქმნას. გარიგების განხორციელების შემდეგ Duquesne Light-ის ოფისი კვლავ პისტბურგში დარჩება და მისი აღმასრულებელი დირექტორი ისევ მორგან ო'ბრაიენი იქნება.

## Coca - Cola-ს საიდუმლო შესაძლოა, გასცენ

სამ ამერიკელს კომპანია Coca-Cola-ს უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელის საიდუმლო რეცეპტის მოპარვაში ადანაშაულებენ. ქურდები საიდუმლო რეცეპტის Coca-Cola-ს კონკურენტ კომპანია Pepsi-ზე მიყიდვის გზით ათასობით დოლარის შოვნას აპირებდნენ.

კონკურენტები ამ იდეით ვერ მოიხიბლნენ და ამის შესახებ გამოძიების ფედერალურ ბიუროს წერილობით აცნობეს. ფედერალურმა ბიურომ კი საიდუმლო ოპერაცია დაიწყო. კომპანია Pepsi-იმ კონკურენტ კომპანიას სასმელის დამზადების საიდუმლო რეცეპტის შემცველი, წერილი გაუგზავნა, რომელიც მათ ინკოგნიტო ავტორმა გადასცა. საიდუმლო ავტორს თან ფედერალური ბიუროს აგენტიც გააყოლეს. ინკოგნიტომ აგენტს 10 ათასი დოლარის სანაცვლოდ 14 გვერდიანი დოკუმენტი შესთავაზა. Coca-Cola-ში ამტკიცებენ, რომ "ღირებული" ინფორმაციის შემცველი ქაღალდები ყალბია.

ინკოგნიტო გამყიდველი აგენტს კიდევ ახალ დოკუმენტებს შეპირდა. ოღონდ უკვე 75 ათასი დოლარის სანაცვლოდ.

ფედერალური ბიუროს აგენტმა ინკოგნიტოს ყვითელ ყუთში მოთავსებული 30 ათასი დოლარი ხელზე მისცა და სხვა ინფორმაციისთვის დიდი ჯილდოს გადაცემაზეც შეუთანხმდა. უფრო კონკრეტულად კი ინკოგნიტო ამ დავალებისთვის დაახლოებით ნახევარ მილიონ დოლარს მიიღებდა. საბოლოოდ ინკოგნიტოს ვინაობა გამჟღავნდა. დოკუმენტებით მოვაჭრე ნიუ-იოურკის მკვიდრი, 30 წლის იბრაგიმ დიმსონი აღმოჩნდა.

ამ პერიოდში Coca-Cola-მ, ქურდის ვინაობის დასადგენად, მთელი რიგი საგამოძიებო საქმიანობა გააჩაღა. ფარულმა კამერამ ის კადრები აჩვენა, სადაც კომპანიის ერთ-ერთი უფროსი მენეჯერის ასისტენტი ჯო უილიამსი რაღაც დოკუმენტებში იქექებოდა, საიდანაც მნიშვნელოვანი ფურცლები ჩანთაში დამალა. იქვე დაფიქსირდა ის ბოთლი, თეთრი ეტიკეტით, რომელიც დიმსონს უნდა გაეყიდა. ეს ის ბოთლი გახლდათ, რომელშიც ახალი სასმელის ნიმუში იყო მოთავსებული. დიმსონ უილიამსი და კიდევ ერთი ბრალდებული ედვარდ დუხანი ატლანტაში დააკავეს. ზუსტად იმ დღეს, როცა გახსნილ ანგარიშზე ნახევარი მილიონი დოლარი უნდა ჩარიცხულიყო. "ძნელია შეურიგდე იმას, რომ ჩვენი ნდობით ასე ისარგებლეს. მაგრამ ეს ცხადყოფს, თუ რამხელა პასუხისმგებლობა გვაკისრია ჩვენ. უკვე ვიცით, თუ როგორ უნდა დავიცვათ ჩვენი სავაჭრო საიდუმლო." - აცხადებს კომპანია Coca-Cola-ს დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელი ნევილ ისდელი.

"ჩვენ მოვიქეცით ზუსტად ისე, როგორც მოიქცეოდა ნებისმიერი თავმოყვარე და პასუხისმგებლობის მქონე კომპანია. კონკურენცია შეიძლება იყოს მკაცრი, მაგრამ აუცილებლად პატიოსანი", - განაცხადა კომპანია Pepsi-ის წარმომადგენელმა.

"იმას, რაც მოხდა არცერთი მხარე, არც იუსტიციის სამინისტრო და არც თავად კონკურენტი კომპანიები არ შეურიგდებოდნენ. ჩვენ მივესალმებით Pepsi-ის მოქალაქეობრივ პოზიციას და იმას, რომ მათ დროზე მიმართეს როგორც სამართალდამცავებს, ასევე კონკურენტი კომპანიის ხელმძღვანელობას", - აცხადებს პროკურატურის წარმომადგენელი დევიდ ნახმიასი.

# უმდიდრესი არაამერიკული კომპანია

პირველი გვერდიდან


კერი გრინი.


სერ ჯონ ბონდი.


უილიამ პერვსი.

### არშემდგარი მღვდელი

HSBC-ი შოტლანდიელი ბიზნესმენის თომას საზერლენდის დაარსებული გახლავთ, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს თავბრუდამხვევი კარიერა გაიკეთა. მამამისი ბრიტანეთის კოლონიებში ფულის შოვნის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ აბერდინში დაბრუნდა, სარფიანად დაქორწინდა და 1834 წელს, შვილის დაბადების შემდეგ, მალე გარდაიცვალა.

თომასი დედის მხრიდან ბებიისა და ბაბუის სახლში იზრდებოდა, რომლებმაც მას კარგი განათლება მისცეს. ისინი ბიჭს მღვდლად ამზადებდნენ, მაგრამ 15 წლის საზერლენდმა გადაწყვიტა, რომ ქადაგება მისი საქმე არ იყო და აბერდინის ერთ-ერთ სავაჭრო სახლს მიაშურა. ბიჭს სურდა, მცირე გამოცდილება დაეგროვებინა და ბიძამისთან წასულიყო, რომელსაც ამერიკაში საკუთარი ბიზნესი ჰქონდა.

მაგრამ ბიძა გაკოტრდა და თომასსაც სამუშაოს სხვაგან ძებნა მოუწია.

ერთხელ საზერლენდმა შორეული ნათესავის, ლონდონელი ბიზნესმენის, ვინმე ჯეიმს ალენის შესახებ დედამისის და დეიდამისის საუბარს ყური მოჰკრა. ბიჭს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რას საქმიანობდა ის ვიღაც ჯეიმსი, ისე სთხოვა დედას და დეიდას, ალენთან სამუშაოზე მოწყობაში დახმარებოდნენ. ბიზნესმენმაც გადაწყვიტა, ახალგაზრდა ნათესავისთვის შანსი მიეცა და 18 წლის თომასი განთქმულ სანაოსნო firma Peninsular and Oriental Steam Navogation (P&O)-ში უმცროს კლერკად მოეწყო.

### შოტლანდიელი ჰონგ კონგში

საზერლენდს კარგი მონაცემები აღმოაჩნდა და მისი კარიერა მშვენივრად აეწყო. P&O-ში მუშაობის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ იგი ბომბეის წარმომადგენლობაში გადაიყვანეს, საიდანაც მალე ჰონგ კონგში აღმოჩნდა. რამდენიმე წელში თომასმა ჩინეთსა და იაპონიაში კომპანიის სუპერინტენდანტის თანამდებობა დაიკავა. მისი მეოხებით რეგიონში P&O-ს პოზიციები გვარიანად გამყარდა.

გამჭრიახმა შოტლანდიელმა მალე მოახერხა ჰონგ კონგის საკმაოდ დახურულ ბიზნეს-ელიტაში შეღწევა. 30 წლის იყო, როცა იგი ადგილობრივი საკანონმდებლო საბჭოს სამი არაოფიციალური წევრიდან ერთ-ერთი გახდა. ამგვარი პატივი მხოლოდ ჰონგ კონგის საქმიანი საზოგადოების აღიარებულ წარმომადგენელს თუ ერგებოდა. P&O-ში მუშაობის გარდა, საზერლენდი Hong Kong and Whampoa Dock Company-ს, რომელიც დღემდე არსებობს და მრავალპროფილიანი, უმსხვილესი ჰონგ კონგური ჰოლდინგის Hutchison Whampoa-ს ნაწილია, ერთ-ერთი დამაარსებელი გახდა.

მაგრამ საზერლენდის ჰონგ კონგური მოღვაწეობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილი Hong Kong and Shanghai Banking Corporation-ის შექმნა იყო. მეცხრამეტე საუკუნის შუაში ჰონგ კონგი მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი საქმიანი ცენტრი გახლდათ და იქ მოღვაწე კომერსანტები უცხოური, უმეტესწილად, ბრიტანული ბანკების მომსახურებით სარგებლობდნენ.

1864 წელს თომასმა გაიგო, რომ ბომბეელი ფინანსისტები Bank of China-ს დაარსებას აპირებდნენ, რომელსაც ლონდონში დაარეგისტრირებდნენ და ჰონგ კონგსა და ჩინეთში იმუშავებდნენ. მან გადაწყვიტა დაესწრო, Hong Kong and Shanghai Banking-ის პროგრამა სწრაფად დაწერა და იმავე გაზეთში გამოაქვეყნა, რომელშიც Bank of China-ს პროექტის შესახებ ეწერა.

მისი პროგრამა ადგილობრივმა საქმიანმა საზოგადოებამ მოიწონა. რამდენიმე დღეში ჩამოყალიბდა საორგანიზაციო კომიტეტი და შეგროვდა საწესდებო კაპიტალი - 5 მილიონი ჰონგ კონგური დოლარი. აქციები სწრაფად გაიყიდა და რამდენიმე კვირის შემდეგ ბომბეიდან ჩასული ფინანსისტები ხახამშრალი დარჩნენ.

HSBC-მ მუშაობა ოფიციალურად 1865 წელს დაიწყო. საქმე მშვენივრად აეწყო. საზერლენდი მისი ვიცე-პრეზიდენტი გახდა, მაგრამ ამ პოსტზე დიდხანს არ დარჩენილა - P&O-მ გადაწყვიტა, ძვირფასი თანამშრომელი ლონდონში გადაეყვანა. საბოლოოდ, საზერლენდი P&O-ს მმართველობის თავმჯდომარე და თემთა პალატის წევრი გახდა და რაინდის წოდებაც მიიღო. იგი 1923 წელს გარდაიცვალა.

### ოპიუმი ხალხისათვის

HSBC-ს არანაკლებ დიდებული მომავალი ელოდა. ითვლება, რომ მის წარმატებას ხელი რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო. ჯერ ერთი, მართალია, ბანკი ბრიტანელის მიერ მისი ქვეყნის კოლონიაში იყო დაარსებული, მაგრამ მის მმართველობში შევიდნენ თითქმის ყველა იმ ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებსაც ჰონგ კონგში ინტერესები ჰქონდათ: დიდი ბრიტანეთის, აშშ-ს, გერმანიის, ნორვეგიის და ინდოეთის. ამასთან, ჰონგ კონგელ ბიზნესმენთათვის თავისი აქციების გადაცემით, კორპორაცია ადგილობრივი მხარდაჭერით სარგებლობდა.

მალე ბანკმა ფილიალები გახსნა ლონდონსა და შანხაიში და რეგიონში ლიდერად იქცა. პირველი ათი წლის განმავლობაში ძირითადი სფერო, რომელსაც HSBC-ი ემსახურებოდა, იმ დროისათვის მეტად რესპექტაბელური ბიზნესი, ოპიუმით ვაჭრობა იყო. შემდეგ კომპანია სხვა სფეროებზეც გადაერთო, მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში კი აღმოსავლეთში ბრიტანეთის მთავრობის ბანკის სტატუსი მიენიჭა.

მომგებიანმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ბრიტანეთის იმპერიის ნაწილად გახდომამ ჰონგ კონგი რეგიონის მთავარ სავაჭრო-ფინანსურ ცენტრად აქცია. კუნძულის ეკონომიკასთან ერთად ვითარდებოდა HSBC-იც. მეოცე საუკუნის დასაწყისში ბანკმა ფილიალები გახსნა ჩინეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ინდოეთში, ევროპასა და ამერიკაში.

პირველმა მსოფლიო ომმა HSBC-ის განვითარება შეაფერხა. შემდგომი კრიზისული პერიოდი ჩინეთ-იაპონიის, კიდევ უარესი კი - მეორე მსოფლიო ომის დროს დადგა.

1941 წელს აზიაში შექმნილი სიტუაციით შეშფოთებული ბრიტანელი კანონმდებლების დაჟინებული მოთხოვნით ბანკის მმართველობა ლონდონურ განყოფილებას დაევალა. ეს სწორედ დროული გადაწყვეტილება იყო, რადგან იმავე წლის დეკემბერში იაპონიამ ჰონგ კონგი დაიპყრო, HSBC-ის მთავარი მენეჯერი სერ ვენდელერ გრეიბერნი ტყვედ ჩავარდა და დაიღუპა, ბანკის ბევრი აზიური ფილიალი დაიხურა.

ომის შემდეგ HSBC-ი ჰონგ კონგში დაბრუნდა და ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაში დიდი წვლილი შეიტანა. კომპანიამ ძველი წყენა ოკუპანტებსაც აპატია - HSBC-ი პირველი ბრიტანული ბანკი გახდა, რომელმაც იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ იქ თავისი წარმომადგენელი მიავლინა.

### ექსპანსია აღმოსავლეთიდან

ომის შემდეგ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში HSBC-ის ინტერესები, ძირითადად, აღმოსავლეთით შემოიფარგლებოდა. 1950 წელს კომპანიამ ორი მსხვილი ბანკი შეიძინა: The British Bank of the Middle East-ი და Mercantile Bank-ი, რამაც მას აზიასა და ახლო აღმოსავლეთში თავისი გავლენის გაზრდის საშუალება მისცა. 1965 წელს HSBC-ის ნაწილი გახდა სოლიდური Hang Seng Bank-ი.

80-იან წლებში სიტუაცია შეიცვალა და კომპანიამ დასავლეთის ქვეყნების ექსპანსია დაიწყო. 1981 წელს დაარსდა შვილობილი ბანკი კანადაში, 1986 წელს კი - ავსტრალიაში. 1987 წელს HSBC-ის კონტროლს დაექვემდებარა ნიუ იორკული Marine Midland Bnak-ი.

1991 წელს HSBC-ის კუთვნილი ყველა სტრუქტურა HSBC Holdings-ში გაერთიანდა. მისი შტაბ-ბინა ლონდონშია, აქციებით კი მსოფლიოს უდიდეს ბირჟებზე ვაჭრობენ. მსოფლიოს ფინანსური სისტემის ლიდერი HSBC-ი 1992 წელს გახდა, როცა ბირმინგემში 1836 წელს დაარსებული უძველესი ინგლისური ბანკი Midland Bank-ი შეიერთა.

ახალი კურსის გამტარებელი უილიამ პერვსი გახდა, რომელიც HSBC-ს სათავეში 80-იანი წლების შუაში ჩაუდგა. მან გადაწყვიტა, მნიშვნელოვან შენაძენებზე სიძუნწე არ გამოეჩინა, თუმცა დიდადაც არ რისკავდა. პერვსი HSBC-ის დამაარსებელთა მიერ შემუშავებული ადგილობრივი ბანკის კონცეფციის მიმდევარი იყო. მართლაც, რა საჭიროა, მაგალითად, რიგითმა ამერიკელმა იცოდეს, რომ ბანკი, რომლის მომსახურებითაც მრავალი წელია სარგებლობს, ოდესღაც ჰონგ კონგში დაარსებული ბრიტანული კორპორაციის ნაწილია? ხომ შეიძლება სტერეოტიპებს აჰყვეს და არაამერიკულ კომპანიას თავისი ფული არ ანდოს? სწორედ ამიტომ, HSBC-ის მიერ შეძენილი ყველა ბანკი თვითმყოფადობას ინარჩუნებდა, ძველი სახელით მოღვაწეობდა და მათ კლიენტებს ეგონათ, რომ საქმე ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტთან ჰქონდათ.

### ჩრდილიდან გამოსვლა

გლობალიზაციის ეპოქაში ამგვარი მიმიკრიის მეთოდი წამგებიანი აღმოჩნდა. ადამიანების ქალაქიდან ქალაქში გადაადგილებისას HSBC-ი კლიენტებს კარგავდა, რადგან მათ არ იცოდნენ, რომ ბანკს სხვა ქვეყნებსა და ქალაქებში ფილიალები ჰქონდა. რამდენიმე ბრენდის რეკლამირება რთული და ძვირი იყო, ამიტომაც, HSBC-მ ჩრდილიდან გამოსვლა გადაწყვიტა.

რეფორმებს სათავეში სერ ჯონ ბონდი ჩაუდგა, რომელმაც ჰოლდინგის მმართველობის თავმჯდომარის პოსტზე პერვსი 1998 წელს შეცვალა. მან მიზნად 2002 წლისათვის Citigroup-ისათვის გასწრება დაისახა, რაც, მართალია, ვერ მოახერხა, მაგრამ HSBC-ი უდავოდ ახალ, ძალზე მაღალ დონეზე კი აიყვანა.

ბონდის განკარგულებით, ჰოლდინგში შემავალი ყველა კომპანიის დასახელებას აბრევიატურა HSBC დაემატა და ახალი ბრენდის რეკლამისათვის 200 მილიონი დოლარი გამოიყო. ცხადია, კეთდებოდა შენაძენებიც. კერძოდ, 1999 წელს HSBC-მ ღეპუბლიც New York Corp-ი შეიერთა, 2000 წელს კი ჰოლდინგის ნაწილი გახდა უმსხვილესი ფრანგული ბანკი Credit Commercial de France. 2003 წელს ჯონ ბონდმა განაცხადა, რომ მეტი მსხვილი შენაძენის გაკეთებას არ აპირებდა და მალე თანამდებობიდან გადადგა.

იგი HSBC-ის ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა კერი გრინმა შეცვალა. მისი თავკაცობით, როგორც აღვნიშნეთ, HSBC-ი მსოფლიო ბიზნესის ლიდერობას ინარჩუნებს, 90-მდე ქვეყანაში 9 ათასამდე განყოფილება აქვს და Citigroup-ის უკან ჩამოტოვების იმედს არ კარგავს.

# ნავთობის ფასმა ახალ ისტორიულ მაქსიმუმამდე მოიმატა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 73,98 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 75,19 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

ამგვარად, Light-ის მარკის ნავთობის ფასმა ახალ ისტორიულ სარეკორდო მაქსიმალურ მაჩვენებელს მიაღწია. შეგახსენებთ, რომ აქამდე არსებული რეკორდი მიმდინარე წლის 21 აპრილს დაფიქსირებული ფასი - 75,17 დოლარი/ბარელი გახლდათ. რაც შეეხება Brent-ის მარკის ნავთობს, იგი ჯერჯერობით ჩამორჩება ისტორიულ მაქსიმუმს - 74,64 დოლარი/ბარელს, რომელიც მიმდინარე წლის 2 მაისს დაფიქსირდა.

ნავთობის ფასის ამგვარი მატება ბაზარზე გეოპოლიტიკური ფაქტორის გავლენის ზრდამ განაპირობა. მოგეხსენებათ, ძალიან დაიძაბა სიტუაცია ჩრდილოეთ კორეის მიერ ბალისტიკური რაკეტების გაშვების გამო. გარდა ამისა, გართულებულია ისრაელსა და პალესტინას შორის ურთიერთობა. ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ შექმნილ სიტუაციას გაგრძელება არ მოჰყოლია, თუმცა, ამ ქვეყნიდან ნავთობის სტაბილური მიწოდების პერსპექტივა ეჭვს იწვევს. კვლავინდებურად რთული ვითარებაა ნიგერიაში.

ყველაფერ ამასთან ერთად, ნავთობის გაძვირებას ხელი შეუწყო საავტომობილო სეზონის დადგომასთან ერთად გასულ წელთან შედარებით აშშ-ში ბენზინისა და ნედლი ნავთობის მარაგის შემცირებამ. ქალაქ ლეიკ-ჩარლზთან მდებარე ოთხი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა სრული დატვირთვით ვერ მუშაობს, რადგან მათთვის ნავთობის მიწოდება მექსიკის ყურისა და ლეიკ-ჩარლზის დამაკავშირებელ არხში ნაოსნობის შეფერხების გამო შეწყდა.

## აშშ-ს ბირჟაზე ზრდა დაფიქსირდა

მიუხედავად მსოფლიოში არსებული მძიმე გეოპოლიტიკური ვითარებისა და ნავთობის ფასის მატებისა, გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. გარდა იმისა, რომ მოიმატა ნავთობკომპანიების აქციებმა, ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა დოლარის კურსის გამყარებამ და დამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლეებმა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,3 პროცენტით, 11.184,96 პუნქტამდე გაიზარდა. 0,22 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.158,01 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,16 პროცენტით, 1.273,02 პუნქტამდე მოიმატა.










## Mittal Steel-ის და Arcelor-ის საგა ნახევარი მილიარდი დაჯდა



უმსხვილეს მეტალურგიულ კომპანიებს Mittal Steel-ს და Arcelor-ს თავიანთი კორპორაციული ინტერესების დაცვა 510 მილიონი ევრო დაუჯდათ. აღნიშნულ თანხაში შედის ადვოკატთა და ფინანსურ ექსპერტთა კონსულტაციაზე, საინფორმაციო კამპანიაზე და ა.შ. დახარჯული ფული. კერძოდ, Arcelor-მა სულ 220 მილიონი გადაიხადა, კიდევ 140 მილიონი ევროპულ კომპანიას "სევერსტალთან" ხელშეკრულების დარღვევა დაუჯდა. რაც შეეხება Mittal Steel-ს, მისმა დანახარჯებმა 150 მილიონი ევრო შეადგინა. შეგახსენებთ, რომ რუსული კომპანია Arcelor-ს ერთობლივი კომპანიის შექმნას სთავაზობდა, რომლის აქციების 25 პროცენტი "სევერსტალის" იქნებოდა, რაშიც იგი 13 მილიარდ ევროს იხდიდა. თითქოს აღნიშნული შეთანხმება შედგა, მაგრამ მას შემდეგ, რაც Mittal Steel-მა თავისი წინადადება აქციაზე 40,4 ევრომდე გაზარდა, Arcelor-ის დირექტორთა საბჭომ აქციონერებს "სევერსტალთან" შერწყმაზე უარის თქმისა და Mittal Steel-თან ერთად ერთიანი კომპანიის მხარის დაჭერისაკენ მოუწოდა, რომლის აქციების 50,6 პროცენტი Arcelor-ს დარჩება, 49,4 პროცენტი კი Mittal Steel-ს.

## ევროკავშირი Microsoft-ს ახალი სანქციებით ემუქრება

გერმანელ პოლიტიკოსებთან შეხვედრისას კონკურენციის საკითხებში ევროკავშირის კომისარმა ნელი კრუსმა განაცხადა, რომ პროგრამული უზრუნველყოფის მსოფლიო ლიდერი ამერიკული კომპანია Microsoft Corp-ი, შეიძლება, ახალი საჯარიმო სანქციებით დაისაჯოს. ევროკომისრის თქმით, ესა თუ ის კომპანია კანონების შესაბამისად თუ არ იქცევა, იგი აუცილებლად უნდა დაისაჯოს. სავარაუდოდ, შესაბამისი გადაწყვეტილება 12 ივლისს დანიშნულ ანტიტრასტული კოლეგიის სხდომაზე იქნება მიღებული.

შეგახსენებთ, რომ 2005 წლის 15 დეკემბერს ევროკომისიამ გაავრცელა განცხადება, რომ Microsoft-მა არ შეასრულა 2004 წლის მარტში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, როცა ამერიკული კომპანია კონკურენტთათვის ინფორმაციის მიწოდებითა და 497 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმის გადახდით დაავალდებულა. Microsoft-ი ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა სამხრეთ კორეაშიც. მიმდინარე წლის თებერვალში ამ ქვეყნის ანტიმონოპოლიურმა უწყებამ დაადგინა, რომ ამერიკული კომპანია ბაზარზე თავის დომინანტურ მდგომარეობას ბოროტად იყენებს, მას 34 მილიონი დოლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა შეუფარდა და, ასევე, კონკურენტთათვის ინფორმაციის მიწოდებით დაავალდებულა.

## ამერიკელებმა სუნით ფულის შოვნა ისწავლეს

ამერიკის შეერთებული შტატების საგასახადო სამსახურის შეკვეთით, მიჩიგანის უნივერსიტეტის მეცნიერმა სპეციალური სენსორი შეიმუშავა, რომელიც ფულის სუნით მოპოვებას უზრუნველყოფს. ახალი ამერიკული გამოგონება სამართალდამცავ ორგანოებს სავალუტო კონტრაბანდისტების დაჭერაში დაეხმარება. მიჩიგანის უნივერსიტეტის მეცნიერის მიერ შექმნილი ხელსაწყო ფულს იმ სპეციალური საღებავის სუნით პოულობს, რომელსაც ვალუტის საბეჭდი მანქანებისთვის იყენებენ. ფულის პოვნის ტექნოლოგიების შემქმნელების თქმით, მოცემულ მომენტში ამ სენსორს მეცნიერები კომპაქტურ მოწყობილობას დაუმონტაჟებენ, რომელიც გარემო პირობებსაც დაადგენს. კერძოდ, "ფულის დაჭერის" ბაზაზე შექმნილი სენსორი ხელს შეუწყობს ჰაერში ტოქსიკური ნივთიერებების გამოვლენის პროცესს, თვით უმცირეს დოზაშიც კი, თან ეს ყველაფერი სულ რამდენიმე წამში მოხდება.




## ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა მუშაობის შედეგები შეაჯამა

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა (სესბ) ხისტი პოლიტიკით შედეგს მიაღწია. 7 წლის მოღვაწეობის შედეგები ორგანიზაციამ რეორგანიზაციის რეჟიმში გადასვლის შემდეგ, ამ დღეებში შეაჯამა.

როგორც "ინტერპრესნიუსს" სესბ-ში განუცხადეს, მუშაობის ანალიზი ცხადყოფს, რომ არსებული სირთულეების მიუხედავად, საერთაშორისო კონსორციუმ "იბერდროლასთან" დადებული მენეჯმენტკონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ, კონსორციუმმა სესბ-ი წარმატებული შედეგებით დატოვა და მთავრობის მიერ გატარებული ენერგოპოლიტიკის დახმარებით, სექტორი საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობებზე გადასასვლელად მოამზადა.

2005 წელს, პირდაპირმა მომხმარებლებმა სრულად გადაიხადეს მიმდინარე ვალდებულებები და ეტაპობრივად ფარავდნენ წინა წლებში წარმოშობილ დავალიანებას. პარალელურად გადახდის მაჩვენებელი გამანაწილებელმა კომპანიებმაც გააუმჯობესეს. პირდაპირი მომხმარებლებიდან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელმა პირველად 98%-ს მიაღწია.

კონსორციუმის მოღვაწეობისას სესბ-ის სპეციალურ ანგარიშზე გაიზარდა ფინანსური ნაკადის შემოდინება, შესაბამისად, გაუმჯობესდა გენერაციისა და მომსახურე ორგანიზაციების დაფინანსება, გაუქმდა ე.წ. ჩათვლების მექანიზმი, გაუმჯობესდა ძველი ვალების გადახდის მაჩვენებელი, შემცირდა ელექტროენერგიის დანაკარგები, მომხმარებლებმა სესბ-ის მიერ დადგენილი ლიმიტების დაცვა დაიწყეს.

რაც შეეხება პრობლემებს, სესბ-ში აღიარებენ, რომ ელექტროენერგეტიკულ სექტორში ურთიერთდავალიანებების ზრდა კვლავ უდიდეს პრობლემას წარმოადგენს ელექტროენერგიის მწარმოებელი და მომსახურე ორგანიზაციებისათვის. თუმცა არსებული სირთულეების მიუხედავად, ბოლო ოთხი წლის მანძილზე მოხერხდა ვალის ზრდის ტემპის საგრძნობი შემცირება. პარალელურად, სექტორზე კვლავ უარყოფით გავლენას ახდენდა გამანაწილებელი კომპანიებიდან თანხების ამოღების დაბალი მაჩვენებელი და კონფლიქტური რეგიონების პრობლემა.

ენერგეტიკის სექტორის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლისა და მომზადების გამო, ორგანიზაცია არსებული მოდელით საქმიანობას აღარ გააგრძელებს. მის ნაცვლად ჩამოყალიბდება კომერციული ოპერატორი, რომელიც მოღვაწეობას 1 სექტემბრიდან დაიწყებს.

საბოლოო ლიკვიდაციამდე, სესბ-ის წევრები ჯერჯერობით არიან - 45 ჰიდრო და 3 თბოსადგური, 4 მსხვილი და 6 მცირე გამანაწილებელი ენერგოკომპანია და 39 პირდაპირი მომხმარებელი. ორგანიზაცია 7 წლისაა. ბოლო 5 წლის განმავლობაში მას საერთაშორისო კონსორციუმი "იბერდროლა" მართავდა, რომელსაც ენერგობაზარში საკმაოდ რთული მდგომარეობა დახვდა - გენერაციისა და მომსახურე ობიექტებისათვის ასეული მილიონობით ლარის დავალიანება, მათ შორის - ხშირად იურიდიულად უმოტივაციო.

*ინტერპრესნიუსი*

## გაგრაში სასტუმროები გაიყიდა

გაგრაში სასტუმრო "უკრაინა" 4 მილიონ დოლარად გაიყიდა. შემოსული თანხები გუდაუთასა და გუდაუთის რაიონის სოფლების - ლიხნის, დურიფშისა და დვაბზუს წყალმომარაგების აღდგენას მოხმარდება.

გაყიდულია გაგრის მეორე სასტუმროც, 3 ჰექტარზე განლაგებული "გაგრიფში", რომლის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს მოსკოვის ერთ-ერთი ატომური ელექტროსადგური ატარებს.

წელიწადნახევარის განმავლობაში მიმდინარე აღდგენითი სამუშაოების შედეგად მხოლოდ ორი კორპუსია აღდგენილი, რომელზეც უკვე 1 მილიონი დოლარი დაიხარჯა.

სასტუმროში ლუქსის ტიპის 20 ნომერია, რომელთაგან თითოეული 110 კვ მეტრი ფართობისაა.

სასტუმროში საცურაო აუზის, ფეხბურთის მინი მოედნისა და ჩოგბურთის კორტების მშენებლობა უკვე დასრულებულია.

გაყიდულ კომპლექსში აფხაზეთის ხელისუფლება რამდენიმე შეღავათით სარგებლობს.

შეუძლია, ორი კვირით უფასოდ დაასვენოს ერთი დაღუპული აფხაზი მეომრის ოჯახი. ახალდაქორწინებულ აფხაზებს კი "გაგრიფშის" ნომერი 5 დღით უფასოდ დაეთმობა. ცოლ-ქმარი - ორივე აფხაზი უნდა იყოს.

აფხაზეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები სასტუმროების გაყიდვას აპროტესტებენ. ისინი უკვე შეხვდნენ პრემიერ-მინისტრს ალექსანდრე ანქვაბს და მოითხოვეს, გამოქვეყნდეს იმ ობიექტების ნუსხა, რომლებიც გაყიდვას არ ექვემდებარებიან.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ამინდი

| | 7/07 | 8/07 | 9/07 |
|---|---|---|---|
| კიევი | 32 | 30 | 28 |
| რიგა | 35 | 32 | 33 |
| ვილნიუსი | 31 | 31 | 31 |
| მოსკოვი | 27 | 29 | 32 |
| მინსკი | 33 | 34 | 36 |
| პარიზი | 23 | 25 | 26 |
| რომი | 27 | 28 | 30 |
| ლონდონი | 21 | 24 | 21 |
| მადრიდი | 31 | 34 | 35 |
| ბონი | 26 | 27 | 28 |
| ვარშავა | 32 | 36 | 35 |
| ათენა | 28 | 30 | 32 |
| ბერნი | 21 | 27 | 30 |
| ამსტერდამი | 21 | 21 | 20 |
| ოსლო | 22 | 22 | 20 |
| ანკარა | 27 | 30 | 30 |
| ვარნა | 31 | 32 | 31 |
| დელი | 55 | 53 | 47 |
| ტოკიო | 30 | 31 | 30 |
| კოპენჰაგენი | 28 | 23 | 22 |
| ბაქო | 31 | 33 | 33 |
| ერევანი | 36 | 36 | 36 |
| ასტანა | 22 | 16 | 16 |
| ჰელსინკი | 26 | 27 | 27 |
| დუბლინი | 16 | 14 | 16 |
| ლისაბონი | 26 | 26 | 28 |
| პრაღა | 27 | 28 | 30 |
| სოფია | 29 | 29 | 28 |
| ბუდაპეშტი | 33 | 34 | 33 |
| ბუხარესტი | 34 | 34 | 34 |

# ქართული "შავი ოქრო"




პირველი გვერდიდან

რამდენიმე დღის წინ, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელ სახელმწიფო სააგენტოში, გასული წლის დეკემბერში დასავლეთ საქართველოში V, VIa, VIb, VIIb და აღმოსავლეთ საქართველოში VIII სალიცენზიო ბლოკებზე ნავთობის და გაზის რესურსებით სარგებლობაზე 25-წლიანი ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებული ტენდერის გამარჯვებულები გამოვლინეს.

ტენდერში მონაწილეობა სულ ხუთმა კომპანიამ - "Global oil energy"-მ (რეგისტრირებულია ბრიტანულ ვირჯინიის კუნძულებზე), "Strait oil and gas"-მა (რეგისტრირებულია გიბრალტარზე), "ბავარიული ნავთობისა და გაზის კომპანია"-მ (რეგისტრირებულია გერმანიის ქალაქ აუგსბურგში), "ანგლო ჯორჯია პეტროლეუმმა" და "აქსაი-BMP"-მ (ორივე - რეგისტრირებულია თბილისში) მიიღო. თუმცა ლიცენზია მხოლოდ სამმა კომპანიამ - Aksai BMC-მ, Strait Oil and Gas Ltd-მ და Global Oil & Energy Ltd-მ - მოიპოვა.

კერძოდ, დასავლეთ საქართველოში V სალიცენზიო ბლოკზე ნავთობის და გაზის მოპოვების ლიცენზია საქართველოში რეგისტრირებულმა ყაზახურმა კომპანიამ "აქსაი-BMP" მიიღო (300 ათასი აშშ დოლარი). "Global oil energy"-მ ლიცენზია VIIb (600 ათასი აშშ დოლარი) და VIII (150 ათასი აშშ დოლარი) ბლოკებზე, ხოლო "Strait oil and gas"-მა VIa (250 ათასი აშშ დოლარი) და VIb (200 ათასი აშშ დოლარი) ბლოკებზე მოიპოვა.

სატენდერო წინადადებები მხოლოდ შავი ზღვის აკვატორიაში მდებარე IId სალიცენზიო ბლოკზე არ იყო წარმოდგენილი.

საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის ანდრო კოტეტიშვილის განცხადებით, სავარაუდო ინვესტიციები საქართველოში აღნიშნულ ბლოკებზე ძებნა-ძიების და მოპოვებით სამუშაოებზე 50 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

ინფორმაციისთვის, გასულ წელს სახელმწიფოს შემოსავალმა ნავთობის სფეროდან დაახლოებით 8 მილიონი ლარი შეადგინა.

გამარჯვებული კომპანიების მხოლოდ წარმომავლობაა ცნობილი. და კიდე ერთი რამ: როგორც გაირკვა, ყაზახური Aksai BMC მხოლოდ ყაზახეთის ბაზარზე მოღვაწეობს, თუმცა ჰყავს შვილობილი კომპანიები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნების ბაზრებზე მუშაობენ, Strait Oil and Gas Ltd კი აფრიკის კონტინენტზე საქმიანობს. რაც შეეხება ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებულ Global Oil & Energy Ltd-ს, ის ინდოეთის ოკეანეში და აფრიკის ქვეყნებში მუშაობს.

თუმცა ის ფაქტი, რომ ეს კომპანია ოფშორულ ზონაშია დარეგისტრირებული, ლიცენზიის გამცემი ორგანოსთვის საფრთხეზე სულაც არ მეტყველებს. არგუმენტი მარტივია: მსგავს ზონებში ხომ ბევრი მსხვილი კომპანიაა დარეგისტრირებული.

ამ კომპანიებთან მოლაპარაკებები ერთი თვის ვადაში დაიწყება. იქამდე საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო მათ შესახებ დეტალურ ინფორმაციებს შეაგროვებს.

### მითი თუ რეალობა?

ქვეყნის ტერიტორიის 69,7 ათასი კვადრატული კილომეტრიდან ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისათვის პერსპექტიულად მიჩნეულია 26,5 ათასი კვადრატული კილომეტრი ხმელეთზე და 9 ათასი კვადრატული კილომეტრიც შავი ზღვის აკვატორიის ფარგლებში.

დღეისათვის საქართველოში ნავთობის თექვსმეტი საბადო არსებობს, სადაც "შავი ოქროს" მოპოვება-საძიებო სამუშაოებს ქართული და უცხოური ერთობლივი კომპანიები ახორციელებენ. კერძოდ: სახელმწიფო კომპანია "საქნავთობი" და უცხოური კომპანიები "კანარგო", "ანადარკო", "ენ-პე-ელი" და "ფრონტერა". ეს კომპანიები სალიცენზიო ბლოკებზე ორი ტიპის სამუშაოებს აწარმოებენ: ნავთობის მოპოვება არსებული ჭაბურღილებიდან და ახალი საბადოების ძებნა-ძიება.

თუმცა, მომპოვებითი მრეწველობა, ძირითადად, არსებული საბადოების გამოყენებაზეა ფოკუსირებული. ზოგიერთი მათგანი 1930-იანი წლების დასაწყისიდანაა ექსპლუატაციაში. ექსპერტების შეფასებით, საქართველოში მოქმედი ნავთობისა და გაზის ჭაბურღილები ამოწურვის ეტაპზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ საბადოებიდან ნახშირწყალბადის მოპოვების გაზრდის პერსპექტივა საკმაოდ მცირეა. თუმცა, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების გზით ნავთობისა და გაზის მოპოვების ზრდა მაინც შესაძლებელია.

მაგალითად, 2003 წელს, მას შემდეგ, რაც "კანარგომ" არსებული ვერტიკალური ჭაბურღილების ჰორიზონტალური გაბურღვა განახორციელა, წარმოება გასულ წლებთან შედარებით 2,5-ჯერ გაიზარდა. თუმცა, არსებული ჭაბურღილებიდან ნავთობის დარჩენილი რეზერვების მოპოვება, რაც უკანასკნელი ვარაუდების თანახმად 11,4 მილიონ ტონას შეადგენს, როგორც ამბობენ, ტექნიკურად რთულია და მნიშვნელოვან დროსა და დანახარჯებს საჭიროებს.

ნავთობის მოპოვების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა მხოლოდ ახალი საბადოების აღმოჩენისა და ამუშავების შემდეგ იქნება შესაძლებელი, - ნათქვამია "ღია საზოგადოება - საქართველოს" მომპოვებითი და ენერგოგადაზიდვების მრეწველობების ანალიზში. ამისთვის კი აუცილებელია საქართველოში უცხოელი ინვესტორების მოზიდვა, რომლებიც არამარტო საბადოების ძებნა-ძიებისთვის საჭირო ინვესტიციებს აიღებენ საკუთარ თავზე, არამედ ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა რისკებსაც.

საქართველოში კი რამდენიმე მსგავსი სამუშაო უკვე მიმდინარეობს. მათგან ექსპერტები შავი ზღვის შელფზე ნახშირწყალბადის ძებნა-ძიების სამუშაოებს გამოყოფენ. ქვეყანაში არსებული ნავთობის რესურსების უახლესმა შეფასებამ აჩვენა, რომ ნახშირწყალბადის მნიშვნელოვანი რესურსი არსებობს. უკანასკნელი ინფორმაციის თანახმად, ადგილზე არსებული ნავთობის მარაგის მთლიანი მოცულობა 2,4 მილიარდი ტონაა, საიდანაც 1,15 მილიარდი, სავარაუდოდ, შავი ზღვის აუზშია განთავსებული. ექსპერტები ნავთობის ჯერ არგახსნილი მარაგების შესახებ საუბრისგან თავს იკავებენ, თუმცა ამის მიუხედავად, "საქნავთობის" ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოში, სულ მცირე, ერთი საბადოს აღმოჩენა მოხდება, რომლის მაქსიმალური წარმადობაც - 2-2,5 მილიონი ტონა - მომდევნო 3-5ს წელიწადში იქნება მიღწეული.

ასევე ვარაუდის სფეროს მიეკუთვნება შეფასება, რომ მომდევნო შვიდი, ან ცხრა წლის განმავლობაში ნავთობის მოპოვება შავი ზღვის შელფიდან პიკს - წლიური 3-3,5 მილიონ ტონას მიაღწევს.

"საქნავთობის" გარდა, საქართველოში შემდეგი უცხოური კომპანიები ატარებენ ნავთობის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებს: "ანადარკო", "ენ-პე-ელი", "კანარგო" და "ფრონტერა".

### კანარგო

ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიება, მოპოვება და წარმოების განვითარება "კანარგო ენერჯი გრუპ"-ის მიერ საქართველოში განხორციელებულ ძირითად სამუშაოებს წარმოადგენს. მისი საქმიანობა ასევე მოიცავს საქართველოში ნავთობისა და გაზის გაყიდვასა და გადამუშავებას. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში კომპანიამ ქვეყანაში 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა. კომპანიის გეგმებში მომდევნო სამი წლის განმავლობაში 200-300 მილიონი აშშ დოლარის მოძიება და საქართველოში ინვესტირება შედის.

"კანარგო" მუშაობს პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების საფუძველზე, რაც იმას გულისხმობს, რომ სახელმწიფო "კანარგოს" სამუშაოების მოგების 70 პროცენტს იღებს, ხოლო კომპანიას უფლება აქვს მოგების 30 პროცენტის ექსპორტი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოახდინოს.

"კანარგო ენერჯი გრუპ" პროდუქციის წილობრივი განაწილების ხუთ ხელშეკრულებაში მონაწილეობს:

1. ნინოწმინდა, მანავი და დასავლეთ რუსთავის პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება;
2. ნაზვრევისა და XIII ბლოკის პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება;
3. ნორიოსა (XIჩ ბლოკი) და ჩრდილოეთ კუმისის პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება;
4. XIG და XIH პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება;
5. სამგორისა და XIB ბლოკის პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება;

### ანადარკო

"ანადარკომ" სახელმწიფოსთან პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება შავი ზღვის ქართული შელფის სამი ბლოკის გამოკვლევასთან დაკავშირებით 2000 წლის ივნისში გააფორმა. ამ სამი ბლოკის (IIა, IIბ და III) ტერიტორია აკვატიკის დაახლოებით 50 მილის მანძილზეა გადაჭიმული. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, კომპანია სეისმოლოგიურ კვლევებს და სხვა ტექნიკურ შეფასებებს აწარმოებს, რაშიც მას BP, "შევრონი" და "თურქიშ პეტროლიუმი" ეხმარებიან.

2004 წელს "ანადარკომ" სამხრეთ საქართველოს სანაპირო (აკვატიკის) ზოლში 1,100 კმ2-ს 3-განზომილებიანი სეისმოლოგიური გამოკვლევა განახორციელა, რამაც რამდენიმე სტრუქტურა აჩვენა, რომელთაგან სამში ნახშირწყალბადის მარაგი არსებობს - თითოეულში 10-დან 200 მილიონ ტონამდე.

### ფრონტერა

"ფრონტერა რესორსიზ კორპორეიშენი" და მისი შვილობილი კომპანიები ჩართულნი არიან ნავთობისა და გაზის პროექტების შემუშავებაში განვითარებადი ბაზრებისთვის. "ფრონტერა" 1996 წელსაა დაფუძნებული და მისი სათაო ოფისი ჰიუსტონშია განლაგებული. 2002 წლის დასაწყისიდან, კომპანია საქართველოში, ძირითადად, ნავთობის ძებნა-ძიებასა და განვითარებაზეა ფოკუსირებული.

1997 წლის ივნისში კომპანიამ გააფორმა პროდუქციის წილობრივი განაწილების 25-წლიანი ხელშეკრულება საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან და საქართველოს ნავთობის ეროვნულ კომპანია "საქნავთობთან". ამ ხელშეკრულების თანახმად, "ფრონტერას" აქვს ექსკლუზიური უფლება, მოიძიოს და მოიპოვოს ნავთობის ნედლეული აღმოსავლეთ საქართველოს 5,500 კმ2-ს ფართობის ტერიტორიაზე, რომელიც ცნობილია, როგორც XII ბლოკი. ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიას უფლება აქვს, განახორციელოს ძებნა-ძიებისა და მომპოვებითი სამუშაოები და მოპოვებული ნავთობის რეალიზაციიდან მთლიანად აანაზღაუროს გაწეული დანახარჯები. ამის შემდეგ დარჩენილი ნავთობის ნედლეულის გაყიდვებით მიღებული შემოსავალი, რომელიც "მოგების ნავთობის" სახელითაა მოხსენიებული, საქართველოს ნავთობის კომპანიასა და ფრონტერას შორის, შემდეგი პროპორციით ნაწილდება - 51 პროცენტი და 49 პროცენტი. 2000 წლის აპრილში "ფრონტერა აღმოსავლეთ საქართველოში" ნავთობის კომერციული წარმოება XII ბლოკიდან დაიწყო.

2004 წლის დასასრულისთვის, XII ბლოკზე კვლევებსა და სამუშაოებში მან დაახლოებით 70 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. კვლევებმა აჩვენა, რომ ბლოკს მნიშვნელოვანი პოტენციური რეზერვი გააჩნია. რეზერვუარის საინჟინრო ფირმის "სიველ ენდ ასოშიეიტს ინკორპორეიტედის" შეფასებით, XII ბლოკში ორი პერსპექტიული საბადო არსებობს. მათი შეფასებით, რისკის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე, რეზერვუარები 1 მილიარდ ბარელზე მეტ რესურსს ფლობენ.

### "შავი ოქროს" ქართული ისტორია

საქართველოში ნავთობის მოპოვებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი პირობითად შეიძლება სამ პერიოდად დაიყოს. პირველი პერიოდი მოიცავს ნავთობის მოპოვების ისტორიას უხსოვარი დროიდან 1929 წლამდე, როდესაც "საქნავთობი" ჩამოყალიბდა. მეორე, შედარებით ხანმოკლე პერიოდი 1929 წლიდან 1974 წლამდე გაგრძელდა, მესამე კი - 1974 წლიდან დღევანდელ პერიოდამდე.

ექსპერტები განსაკუთრებით ნავთობის მოპოვების მესამე პერიოდს გამოყოფენ. 1974 წლამდე საქართველოში მთლიანად მოპოვებული ნავთობის რაოდენობა 1,5 მილიონ ტონას არ აღემატებოდა.

1980 წელს საქართველოში 3,2 მილიონი ტონა ნავთობი იქნა მოპოვებული, თუმცა შემდგომ წლებში მოპოვება საგრძნობლად შემცირდა. ამის მიზეზი, როგორც შემდგომში გამოირკვა, სამგორი-პატარძეულის საბადოზე (რომლის წილი საერთო მოპოვების 90 პროცენტს შეადგენდა) ნავთობის მარაგის ამოწურვით იყო განპირობებული.

1991 წლიდან ნავთობის მოპოვება კიდევ უფრო მცირდებოდა და 1992 წელს 125 ათასი ტონა, 1994 წელს - 67,3 ათასი ტონა, 1995 წელს კი მხოლოდ 42,7 ათასი ტონა შეადგინა. ამის მიზეზი, ზემოთ აღნიშნულის გარდა, საქართველოში პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სიტუაციის გამწვავება იყო. კერძოდ კი, საბჭოთა კავშირის დაშლის გამო, საკავშირო ნავთობის სამინისტროდან დაფინანსება და ცენტრალური მომარაგება შეწყდა, გახშირდა სარეწებიდან და სამგორი-ბათუმის ნავთობსადენიდან შეიარაღებული ბანდებისა და მოსახლეობის მიერ ნავთობის დატაცების ფაქტები. მაშინ მრავალი მოქმედი ჭაბურღილი გაჩერდა, ვინაიდან მათი ელექტროდანადგარებიდან ფერადი ლითონები დაიტაცეს. ამის შედეგად, ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და ექსპლუატაციის სამუშაოები თითქმის მთლიანად შეწყდა.

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა
"სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

ტოტი "სკუადრა აძურას" იხდის



C2

არ მინდა, ოცნება კოშმარად იქცეს



C3

უიმბლდონის ფრანგულ-ბელგიური ფინალი



C4

## ვინ იქნება საუკეთესო?

ოთხი იტალიელი, სამი ფრანგი, ორი გერმანელი და ერთი პორტუგალიელი - ასე გამოიყურება იმ ფეხბურთელთა სია, რომელთაგან ერთ-ერთს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელებენ. შეგახსენებთ, რომ ბოლო ორ მუნდიალზე ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა ფინალურ მატჩამდე ხდებოდა ცნობილი და ამ ფეხბურთელისთვის ფინალური მატჩი უიღბლო გამოდიოდა. 1998 წელს მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელად რონალდო დაასახელეს და მან ფინალური მატჩი ჩააგდო. 2002 წელს მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ოლივერ კანი გახდა, ფინალში მან უპატიებელი შეცდომა დაუშვა და ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები გახდა.

როგორც ჩანს, ამჯერად ფიფამ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი დაინდო. მისი ვინაობა 10 ივლისს გაირკვევა. ამ დროისთვის მსოფლიო ჩემპიონის ვინაობაც იქნება ცნობილი. ახლა კი ალბათ დროა კანდიდატთა ვინაობა გაგაცნოთ: ჯანლუიჯი ბუფონი, ანდრეა პირლო, ფაბიო კანავარო, ჯანლუკა ძამბროტა, ზინედინ ზიდანი, ტიერი ანრი, პატრიკ ვიეირა, მიხაელ ბალაკი, მიროსლავ კლოზე და მანიშე. ამავე დროს გაცხადდა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებსაც მუნდიალის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის ტიტულის მოგება შეუძლიათ: კრიშტიანუ რონალდუ, ლუის ვალენსია, ლიონელ მესი, ლუკაშ პოდოლსკი, ტრანხილიო ბარნეტა, სესკ ფაბრეგასი.

## ორი კანდიდატურა

მარკუს მერკი თუ ლუბოშ მიხელი? ამ ორ მსაჯს შორის აარჩევს ფიფა. სწორედ ამ ორიდან ერთ-ერთი იმსაჯებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს. ფიფას გადაწყვეტილება, წესით, დღეს უნდა გახდეს ცნობილი. 44 წლის მერკმა ევრო 2004-ის ფინალი იმსაჯა პორტუგალიისა და საბერძნეთის ნაკრებ გუნდებს შორის. იმ ტურნირზე მან ოთხ მატჩზე იმუშავა. 2002 წლის მუნდიალზე მერკმა სამი მატჩი იმსაჯა. 38 წლის მიხელმა თავად ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის რეკომენდაცია მიიღო. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე სლოვაკმა არბიტრმა ხუთი მატჩი იმსაჯა, 2002 წლის მუნდიაზე კი, ისევე როგორც მერკმა, - 3.

## ჯორკაეფი დაიჭირეს და გაუშვეს

მსოფლიო ჩემპიონატს არაერთი ცნობილი ვარსკვლავი ესწრება. მათ შორისაა 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონი იური ჯორკაეფი. გერმანიაში ჩასვლით იურიმ თავი საფრთხეში ჩაიგდო. საქმე ისაა, რომ გერმანელმა სამართალდამცავებმა ჯერ კიდევ 2001 წელს აღძრეს სისხლის სამართლის საქმე ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელშიც იური ჯორკაეფის გვარიც ფიგურირებს. აქამდე გერმანულ მართლმსაჯულებას ჯორკაეფამდე ხელი არ მიუწვდებოდა. მსოფლიო ჩემპიონატის წყალობით გერმანულმა პოლიციამ ქვეყანაში ჩასული ჯორკაეფის დაკავებაც შეძლო. საფრანგეთის ნაკრების ექს-ვარსკვლავი კაიზერსლაუტერნში დააკავეს. პოლიციამ მას რამდენიმე შეკითხვა დაუსვა და გაათავისუფლა.

## სულელურ ხუმრობებს ბოლო მოეღო

"24 საათის" გუშინდელ ნომერში ერთ გერმანულ ხუმრობაზე მოგაწოდეთ ინფორმაცია. რამდენიმე ხულიგანმა საფეხბურთო ბურთები ბეტონით გავსო და ქუჩებში დაყარა, თან იქვე ახლოს წარწერებიც გააკრეს: "აბა, სცადე და დაარტყი". გულუბრყვილო გულშემატკივრები ამ ფანდს წამოეგნენ და ვინც კი სცადა ბურთის დარტყმა, საავადმყოფოში აღმოჩნდა ფეხის მოტეხილობით. გუშინ გერმანელმა სამართალდამცავებმა დააკავეს 26 და 29 წლის ავსტრიელები, რომლებმაც ეს უაზრო ხუმრობა მოიფიქრეს. სავარაუდოდ, მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება.

## ტრაგიკულად დასრულებული ზეიმი

საფრანგეთის გულშემატკივრებმა საყვარელი გუნდის გამარჯვება დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს. თუმცა ეს სიხარული ტრაგიკულმა შემთხვევამ გააუფერულა. ერთ-ერთი გახარებული ფანი გამარჯვების აღსანიშნავად მოძრავი მეტროს ვაგონის სახურავზე აძვრა, თავი ვერ შეიკავა, გადმოვარდა და იქვე გარდაიცვალა. ამ ინციდენტის გამო პარიზის მეტროს მოძრაობის გრაფიკიც აირია.

## ბერძნებმა უკან დაიხიეს

რამდენიმე დღის წინ ფიფამ თავისი რიგებიდან გარიცხა საბერძნეთი. ევროპის ჩემპიონებს აეკრძალათ ფიფასა და უეფას ეგიდით მოწყობილ ტურნირებში მონაწილეობა. ამის მიზეზი კი ამ ქვეყნის სპორტის სამინისტროს მიერ მიღებული კანონი იყო, რომელიც ფიფასა და უეფას კანონებს ეწინააღმდეგება.

ბერძნები სწრაფად მოეგნენ გონს. გუშინ საბერძნეთის სპორტის მინისტრმა ფიფას პრეზიდენტს ზეპ ბლატერს გაუგზავნა სპორტის კანონის ახალი პროექტი, რათა მას თავად ბლატერმა დაადოს "რეზოლუცია".

## ნადირობა იტალიელთა მანქანებზე

გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი თავგადაკლული ფანის ფსიქიკამ აშკარად ვერ გაუძლო საყვარელი გუნდის მარცხს. წაგებით გულგატეხილმა ფანმა საკუთარი სახლის ფანჯრიდან ცარიელი ლუდის ბოთლების სროლა დაიწყო, თანაც ესროდა გახარებულ იტალიელებს, რომლებიც მისი ფანჯრების წინ მანქანებით სეირნობდნენ. საცოდავ ფანს მიზანიც არ ჰქონია მაინცდამაინც კარგი - მუდმივად აცილებდა ბოთლს მიზანს. ამან აგზნებული გულშემატკივარი საერთოდ გამოიყვანა წყობიდან, კომპიუტერის მონიტორს სტაცა ხელი, ქუჩაში გავარდა და ერთ-ერთი მოზეიმე იტალიელის მანქანას ესროლა. ამჯერად მიზანმა არ უმტყუნა, მანქანა დაილეწა, გერმანიის ნაკრების ფანი კი სატუსაღოში აღმოჩნდა.

# ლურჯები ცისფერთა წინააღმდეგ



ბერლინში მხოლოდ ფრანგების მხიარულება ისმის.

ნინო პირველი
გერმანიიდან

2006 წლის 9 ივლისი მეტად მნიშვნელოვანი თარიღია: ამ დღეს ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე მსოფლიოს მორიგი ჩემპიონის ვინაობა დადგინდება. მეოთხედ იტალია თუ მეორედ საფრანგეთი? ვინ დატოვებს გაჩემპიონებული მასპინძელთა დედაქალაქს? ერთი რამ უკვე ცხადია: მერვე ერი უკვე ვერაფრით ველარ გახდება მსოფლიოს საუკეთესო გუნდი. ჩემპიონატის ბედს ისევ "დიდი შვიდეულის" ქვეყნები წყვეტენ. ურუგვაი, ბრაზილია, არგენტინა, იტალია, გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი. ეს შვიდეული ისევ უცვლელი დარჩება. პორტუგალიამ 5 ივლისს დაკარგა სტატისტიკის გაფართოების შანსი.

გერმანიის ნაკრების ფინალში ვერგასვლის შემდეგ მთელ გერმანიაში ლამის ეროვნული გლოვა იყო გამოცხადებული და ამიტომ მეორე ნახევარფინალმა შედარებით უფერულად ჩაიარა. აღარსად იყო ის საუცხოო, განუმეორებელი ატმოსფერო, უკლებლივ ყველას, ფეხბურთის მოყვარულსაც და მოძულესაც ერთნაირად რომ აღაფრთოვანებდა. 2006 წლის 4 ივლისამდე ბერლინი ფეხბურთის დედაქალაქი გახლდათ - ეროვნული დროშებით და ათასნაირი საფეხბურთო აქსესუარებით მორთული ფანები სიმღერით მიაბიჯებდნენ ქუჩებში. თითქმის ყველა სახლის აივანზე და ყველა მანქანის საქარე მინაზე შავ-ოქროსფერ-წითელი დროშა იყო გამოჭიმული. ყველა აჟიტირებული ადევნებდა თვალს მატჩებს. თვით ფეხბურთის ნომერი პირველი მტრები - ორმოცს გადაცილებული და ასაკოვანი ქალბატონები, აქამდე სულ რომ ჩხუბობდნენ ბუნდესლიგისა და ჩემპიონთა ლიგის მატჩებზე შეყვარებულ მეუღლეებთან, "სექსი დიდ ქალაქში" და "სასოწარკვეთილი დიასახლისების" ყურების ნაცვლად ფანთა პროსპექტებზე, თაკარა მზეში იდგნენ, ლოყები გერმანიის დროშის ფერებით ჰქონდათ მოხატული და მხურვალედ გულშემატკივრობდნენ ეროვნულ ნაკრებს. ეს მასობრივი ეიფორია საზოგადოების ყველა ფენას მოიცავდა. ბუნდესტაგის დეპუტატები თითქმის ყველა მატჩზე სტადიონზე ისხდნენ. ნახევარფინალის დღეს პარლამენტის სხდომა იყო დანიშნული, რომელზეც არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. რაკი პოლიტიკოსთა უმრავლესობას დროულად უნდოდა დორტმუნდში გამგზავრება, სხდომა ერთი საათით ადრე დაიწყო და საოცრად სწრაფად დასრულდა. დეპუტატებმა რეკორდულ ტემპში უყარეს კენჭი ყველა საკითხს და სასწრაფოდ დატოვეს დარბაზი. რა თქმა უნდა, ბუნდესკანცლერი ანგელა მერკელიც სტადიონზე იყო იტალიის პრემიერ-მინისტრ რომანო პროდისთან ერთად. იტალიელებთან განცდილი მარცხის შემდეგ ბუნდესკანცლერი და ბუნდესპრეზიდენტი ჰორსტ კოლერი გასახდელისკენ გაემართნენ და სათითაოდ ანუგეშეს დამწუხრებული ფეხბურთელები.

ეს დამარცხება უდიდესი იმედგაცრუება იყო მასპინძლებისთვის. ფეხბურთელებს არავინ კიცხავს, არც კლინსმანს აკრიტიკებს ვინმე. პირიქით, თამაშის მეორე დღეს ყველა გერმანულმა გაზეთმა სულ "გმირები" და "ერის საამაყო შვილები" უძახა ნაკრების ყველა წევრს. ფრანც ბეკენბაუერი თავს იმხნევებს: მესამე ადგილიც ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენ ამ თამაშს აუცილებლად მოვიგებთო. მაგრამ ეს ყველაფერი უკვე აღარ ახდენს შთაბეჭდილებას. 9 ივლისს ფინალია ბერლინში. მაგრამ თუ ეს წინასწარ არ იცი, ვერც კი იგრძნობ, ქალაქი ასეთი დიდი მოვლენისთვის თუ ემზადება. აღარავინ აფრიალებს უზარმაზარ შავ-ოქროსფერ-წითელ დროშას, "ჩვენ ბერლინში მივემგზავრებითო; აღარავინ მღერის და არც პოპულარული იტალიური სიმღერა "ვოლარეს" სტილში აჟღერებული "ფინალე ოოო" ისმის სადმე. გერმანია ჯერ ისევ გლოვობს ოცნებად დარჩენილ ტიტულს.

მეორე ნახევარფინალის დღეს ბერლინის ქუჩებში ყოვლად ჩვეულებრივ რიტმში გრძელდებოდა ყოველდღიურობა. ბრანდენბურგის ჭიშკარსა და გამარჯვების სვეტს შორის გადაჭიმული მსოფლიოს უდიდესი ფანთა პროსპექტი, წინა დღეს გერმანია-იტალიის მატჩის ყურების მსურველებს რომ ვერ იტევდა, თითქმის ცარიელი იყო. აქა-იქ თუ მოჰკრავდით თვალს საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მაისურში გამოწყობილ ფანებს. პორტუგალიელები არსად ჩანდნენ. ბერლინში არ არიან ბევრნი. მოკლედ, ეს მატჩი გერმანელებს თითქმის აღარ აინტერესებდათ. სამაგიეროდ, სხვა ქვეყნებში გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ მეორე ფინალისტის ვინაობას.

გაგრძელება C4 გვერდზე

## იტალია ცისფერი იქნება

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში იტალიის ნაკრები ნომინალური მასპინძლის როლში იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ "სკუადრა აძურას" ფორმის არჩევის უფლება აქვს. იტალიელები, ტრადიციულად, ცისფერი მაისურებით ითამაშებენ, ფრანგები კი - თეთრით.

## ფავორიტი იტალიაა

ყველაზე ცნობილმა ბუკმეიკერულმა კანტორამ უილიამ ჰილმა ფინალის ფავორიტად იტალიის ნაკრები დაასახელა. იტალიის გამარჯვებაზე კოეფიციენტი 2,7-ია. რაც შეეხება საფრანგეთის ნაკრებს, უილიამ ჰილის ბუკმეიკერების აზრით, სამფეროვნებს ჩემპიონობის ოდნავ ნაკლები შანსი აქვთ. ამ გუნდზე კოეფიციენტი 2,8-ა.

თავადაც ხედავთ: განსხვავება სიმბოლურია, თუმცა ფავორიტად მაინც იტალია რჩება.

## ფინალის ბურთი ბექენბაუერმა და მერკელმა მოსინჯეს

გუშინ გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს და მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს ფრანც ბეკენბაუერს კომპანია "ადიდასის" ხელმძღვანელმა ჰერმან ჰაინერმა გადასცა ბურთი, რომლითაც 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს ითამაშებენ. გერმანული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ეს ბურთი ფინალური მატჩის შემდეგ გერმანიის კანცლერის რეზიდენციაში სპეციალურ პოდიუმზე დამონტაჟდება.

## "ბარსელონა" არ დაუშვებს

როგორც იცით, მადრიდის "რეალს" სესკ ფაბრეგასის შეძენა სურს. შეგახსენებთ, რომ ფაბრეგასი კატალონიური კლუბის სკოლის აღზრდილია. მართალია, ახლა "არსენალში" თამაშობს, მაგრამ საფეხბურთო ანბანა სწორედ "ბარსელონაში" ისწავლა. თურმე როცა "ბარსელონიდან" "არსენალში" გადადიოდა, კატალონიურმა კლუბმა კონტრაქტში ჩადო პუნქტი, რომლის მიხედვითაც ფეხბურთელის ტრანსფერზე ვეტოს დადების უფლებას იტოვებს. თუ ფაბრეგასი ესპანეთში დაბრუნდება, მხოლოდ "ბარსელონაში" უნდა ითამაშოს. ახლა კატალონიურ გრანდს ფაბრეგასის შეძენა არ სურს, თუმცა, არც იმას დაუშვებს, რომ ის მადრიდის "რეალში" გადავიდეს.

## ფინალის ბილეთი 1500 ევროდ

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩამდე ორი დღე დარჩა. ცხადია, ფინალური მატჩის ბილეთები მთლიანად გაყიდულია და მათი შოვნა მარტო შავ ბაზარზე შეიძლება. ამით მშვენივრად სარგებლობენ გადამყიდველები. როგორც გერმანული მედია იუწყება, შავ ბაზარზე ბილეთები უკვე 1500 ევრო ღირს. მიუხედავად იმისა, რომ ფიფა და მუნდიალის ორგანიზატორები ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე აფრთხილებდნენ ყველას, რომ შავ ბაზარზე ბილეთის ყიდვას აზრი არა აქვს, რადგან თითოეული ბილეთი სახელობითი იქნება, თავად ტურნირის მსვლელობის დროს დამტკიცდა, რომ კონტროლი არც ისე სერიოზულია. ერთ-ერთმა მამაკაცმა გულშემატკივარმა ქალის ბილეთითაც კი შეძლო სტადიონზე შესვლა.

## დელ პიეროს აზრით

იტალიის ნაკრების ფეხბურთელს ალექს დელ პიეროს მიაჩნია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი საუკეთესო შანსია საფრანგეთთან რევანშის ასაღებად. ამავე დროს, ალექსის აზრით, ფინალის ფავორიტი საფრანგეთის ნაკრები იქნება: "საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში არაერთი უნიკალური ფეხბურთელია. სწორედ საფრანგეთის ნაკრები იქნება ფინალის ფავორიტი. ჩვენ კი გვეძლევა რეალური შანსი რევანში ავიღოთ 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში განცდილი მარცხის გამო".

## 14 მილიონი ლუკატელიში

რუსული პრემიერლიგის კლუბი "ზენიტი" მზადაა 14 მილიონი ევრო გადაიხადოს იტალიური "ლივორნოს" ფორვარდ კრისტიანო ლუკატელიში. გასულ სეზონში ლუკატელიმ თავისი გუნდის შემადგენლობაში 20 გოლი გაიტანა. მისი შეძენის სურვილი "ზენიტის" ახალმა მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა გამოთქვა.

## პარეირას ნაცვლად აუტუორი

ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე კარლოს ალბერტო პარეირა, შესაძლოა, პაულუ აუტუორიმ შეცვალოს. აღსანიშნავია, რომ პარეირას გადადგომის შესახებ განცხადება არ გაუკეთებია და, როგორც ამბობენ, საკუთარი სურვილით ნაკრებს არ დატოვებს. თუმცა, ისიც ცხადია, რომ გერმანიაში განცდილი კრახის შემდეგ კარლოს ალბერტო პარეირას ნაკრებში არავინ დატოვებს.

რაც შეეხება პაულუ აუტუორის, ახლა ის იაპონური "კაშიმა ანტლერსის" მწვრთნელია და თუ ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, გუნდის მენეჯერად ვანდერლეი ლუშემბურგოს მოიყვანს.

## ლემანი კანს დაუთმობს ადგილს

გუშინ გერმანიის ნაკრების ძირითადმა მეკარემ იენს ლემანმა განაცხადა, რომ ყოველგვარი პრობლემის გარეშე დაუთმობს ადგილს ძირითად შემადგენლობაში ოლივერ კანს მესამე ადგილისთვის გასამართ მატჩში. "თუ მწვრთნელი მეტყვის, რომ ადგილი კანს უნდა დავუთმო, გამეხარდება კიდეც. ოლიმ დაიმსახურა ამ მნიშვნელოვან მატჩში თამაშის უფლება", - აცხადებს ლემანი. გერმანელებს მცირე ფინალში ტრავმის გამო პერ მერტეზაკერიც ვერ დაეხმარებათ.

## პოლონელებს ბეენჰაკერი სწადიათ

პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციას ნაკრების სათავეში ყველაზე მეტად ჰოლანდიელი სპეციალისტის ლეო ბეენჰაკერის ხილვა სურს. "ბეენჰაკერი პროფესიონალი და თავისი საქმის კარგად მცოდნე სპეციალისტია. ერთადერთი პრობლემა ფულშია, რადგან მისი კლუბში მოწვევა დიდ თანხებთან იქნევბა დაკავშირებული. თუმცა, იმედი გვაქვს, სპონსორების მოზიდვას შევძლებთ და ბეენჰაკერს ჩვენს გუნდს ჩავაბარებთ", - განაცხადა პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა. შეგახსენებთ, რომ მანამდე ლეო ბეენჰაკერი ჰოლანდიის, საუდის არაბეთისა და ტრინიდადი და ტობაგოს ნაკრებებს წვრთნიდა. ასევე უმუშავია მადრიდის "რეალსა" და ამსტერდამის "აიაქსში". მის მიერ გაწვრთნილი ტრინიდადი და ტობაგო კი არსებობის მანძილზე წლეულს პირველად მოხვდა მსოფლიო ჩემპიონატზე.

# რა ელის იტალიურ ფეხბურთს?

რა განწყობით გავლენ იტალიის ნაკრების ფეხბურთელები ფინალის სათამაშოდ? ამ კითხვას უახლოეს საათებში გაეცემა პასუხი. იტალიაში მიმდინარე საფეხბურთო სასამართლო პროცესი დასასრულს უახლოვდება. პროკურორმა სტეფანო პალაციმ უკვე მოითხოვა ოთხივე გუნდისთვის სასჯელის ფაქტობრივად უმაღლესი ზომა. ახლა ჯერი სასამართლოზეა. ვერდიქტი სწორედ მოსამართლეებმა უნდა გამოიტანონ.

სკანდალი, რომელიც მუნდიალის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე აგორდა, შესაძლოა, იტალიური ფეხბურთისთვის უდიდეს დარტყმად იქცეს. თავად განსაჯეთ: რას დაემსგავსება იტალიის ჩემპიონატი, თუ სერია A-ში "იუვენტუსი", "მილანი", "ლაციო" და "ფიორენტინა" აღარ ითამაშებენ. არადა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სწორედ ასე მოხდება. მოსამართლეები არც იმას ითვალისწინებენ, რომ იტალიის ნაკრების ფეხბურთელთა დიდი ნაწილი სწორედ ამ გუნდებში თამაშობს და ისინი კვირას მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებენ. ახლა წარმოიდგინეთ, რა გუნებაზე ითამაშებს ფინალს იტალიელთა უდავო ლიდერი პირლო, თუ ეცოდინება, რომ მომავალ სეზონში თავის საყვარელ "მილანთან" ერთად სერია B-ში მოუწევს გამოსვლა.



პროკურატურამ მკაცრი განაჩენი მოითხოვა

იმის თქმის საშუალებას, რომ მოსამართლეთა ვერდიქტი მკაცრი იქნება, ერთი ფაქტი იძლევა. გუშინ ტურინული კლუბის ადვოკატმა ჩეზარე ძაჩონემ სასამართლოს მიმართა. ადვოკატმა აღნიშნა, რომ ტურინული კლუბი სამართლიანად მიიჩნევს ვერდიქტს, რომლის თანახმად სერია B-ში დაქვეითდება და თავიდან აიცილებს სერია C-ში თამაშს. ამრიგად, "ზებერი ქალბატონის" მესვეურები პრაქტიკულად შეეგუენ ელიტური დივიზიონიდან გავარდნის ფაქტს. სასჯელის შემსუბუქებად კი მხოლოდ ერთი დივიზიონით დაქვეითებას და ჩემპიონის ორი ტიტულის შენარჩუნებას მიიჩნევენ.

თუ მოსამართლემ ტურინული კლუბის ადვოკატის რჩევა გაითვალისწინა, "იუვენტუსი" მხოლოდ B-ში დაქვეითდება და ჩემპიონატს მინუს ექვსი ქულით დაიწყებს. ანალოგიური სასჯელი ემუქრებათ "ლაციოს" და "ფიორენტინასაც". რაც შეეხება "მილანს", დივიზიონით დაქვეითებას ალბათ ვერც ეს გუნდი გადაურჩება, თუმცა ჩემპიონატს ქულების დანაკლისით დაიწყებს, რაც ალბათ არ ისე დიდი შეღავათია.

"იუვენტუსის" ადვოკატის სიტყვაში ერთი საინტერესო დეტალიც იყო. კერძოდ, ტურინული კლუბის დამცველმა სასჯელის შემსუბუქების მიზეზად ის ფაქტი მოიყვანა, რომ თურმე იურიდიულად ლუჩანო მოჯი "იუვენტუსის" ოფიციალური წარმომადგენელი არ ყოფილა, რაც, ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია.

მოკლედ, სასამართლო პროცესი დასასრულს მიუახლოვდა. ამ დღეებში საბოლოო გადაწყვეტილებაც გახდება ცნობილი. თუ პროკურორის მოთხოვნა დააკმაყოფილეს, "სკუადრა აძურას" ფეხბურთელები ფინალურ მატჩზე მთლად კარგი განწყობით ვერ გავლენ. ეს ალბათ მხოლოდ იტალიის ნაკრების გულშემატკივრებს აღელვეთ. ხოლო თუ საკითხს უფრო ზოგადად განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, რომ დიდი ოთხეულის დასჯის შემთხვევაში ზაფხულში სატრანსფერო ბაზარზე ნამდვილი ბაქანალია დაიწყება. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, როდესაც ტრანსფერზე დააყენებენ ისეთი დონის ფეხბურთელებს, როგორებიც არიან: ბუფონი, კამორანეზი, ძამბროტა, კანავარო, ტონი, დელ პიერო, ტრეზეგე, კაკა, პირლო, გატუზო, იბრაჰიმოვიჩი, ნესტა და სხვები.

# ლიპი: იჩქარე ნელა!

მარი ჭავახიშვილი

ვერც წამყვანი ფეხბურთელების ტრავმებმა, ვერც იტალიურ ფეხბურთში არსებულმა პრობლემებმა და ვერც მეტოქე გუნდებმა ბერლინისკენ მიმავალ გზაზე მარჩელო ლიპის შეგირდების შეჩერება ვერ შეძლეს. "სკუადრა აძურამ" დამსახურებულ წარმატებას მიაღწია - მით უმეტეს მაშინ, როცა გათამაშებას გამოთიშა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის ნაკრები. არადა, უმრავლესობა ბუნდესნაკრების, სულ ცოტა, ფინალში გასვლას წინასწარმეტყველებდა.

ალბათ მათ შორის იყო იტალიელი პროკურორი სტეფანო პალაციც, რომელიც ნახევარფინალური მატჩის დღეს რომში "მოჯის საქმეს" განიხილავდა და რომელმაც თამაშების მოსყიდვაში მხილებულ აპენინურს კლუბებს - "იუვენტუსს", "ფიორენტინას", "ლაციოსა" და "მილანს" განაჩენი გამოუტანა - პროკურორმა "იუვეს" სერია ც-ში, დანარჩენი სამის კი სერია ბ-ში დაქვეითება მოითხოვა.

ცხადია, იტალიელი პროკურორის გადაწყვეტილება იმავე დღეს გახდა ცნობილი "სკუადრა აძურას" ფეხბურთელებისთვის, რომლებიც იმ დღეს დორტმუნდში გერმანელებთან შესახვედრად ემზადებოდნენ. იმის მაგივრად, რომ ზემოხსენებულ კლუბებში მოთამაშე ერთბაშად ცამეტ ფეხბურთელს მსოფლიო ჩემპიონატზე ეფიქრა, პალაციმ მათ ახალი სადარდებელი გაუჩინა.

ამ ფონზე უდავოდ ქება-დიდებას იმსახურებენ ლიპიცა და მისი გუნდიც, რომელთაც, გარდა იმისა, რომ დაუვიწყარი საფეხბურთო სპექტაკლი შემოგვთავაზეს, დამატებით დროში ორბურთიანი სხვაობით მოუგეს გერმანელებს და სრულიად ალემანიის ოცნება დაასამარეს.

გერმანელთათვის იმ დრამატული მატჩის შემდეგ, როდესაც 58 წლის მარჩელო ლიპი ნახევარფინალის შემდეგ ჟურნალისტთა წინაშე წარდგა, კაცი იფიქრებდა, დონ მარჩელო მოედანზე ფეხბურთელებთან ერთად აგორებდა ბურთს. "სკუადრა აძურას" მთავარი მწვრთნელის მაისურა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით,



გასაწური გახლდათ.

- ჩვენ დამსახურებულად მოვიგეთ. 120 წუთის განმავლობაში თამაშს ვაკონტროლებდით და გერმანელებთან შედარებით უდიდეს უპირატესობას ვფლობდით, - თქვა ლიპიმ, - სიმართლე გითხრათ, მატჩამდე ვფიქრობდი, ბუნდესნაკრები უფრო მეტ პრობლემას შეგვიქმნიდა. ორმაგად კმაყოფილი ვარ, რომ პენალტების სერიას ავცდით.

**- ალბათ იმიტომ, რომ 90-იანი წლები გაიხსენეთ (1990, 1994 და 1998 წლების მუნდიალებზე იტალია პენალტების სერიაში მარცხდებოდა)...**

- ჰოც და არაც. "იუვენტუსთან" ერთად პენალტების სერიაში ჩემპიონთა ლიგის ფინალი მაქვს მოგებული. თუმცა, ერთხელ მარცხიც ვიწვნიე.

**- პირადად თქვენთვის რას ნიშნავს ეს გამარჯვება?**

- ჯერ ბევრს არაფერს, რადგან წინ ფინალი გვაქვს. მაგრამ იმის თქმა შემიძლია, რომ ბოლო წლებში "სკუადრა აძურას" კარგი გეზი აქვს აღებული. ფინალი კი იმ გაწეული შრომის ლოგიკური დაგვირგვინებაა, რაც იტალიის ნაკრებმა გასწია.

**- მატჩის სანხაობრივი თვალსაზრისით თუ ხართ კმაყოფილი?**

- სავსებით. მით უმეტეს, რომ ჩემს გუნდს ვერავინ დაადანაშუალებს ანტიფეხბურთის თამაშში. თითოეულმა ფეხბურთელმა მაქსიმუმი გაიღო და მებრძოლი სული აჩვენა. ფეხბურთელების ასეთი თამაში, ერთი მხრივ, ჩემთვისაც მოულოდნელობა აღმოჩნდა.

**- შეხვედრის წინ ბიჭები როგორ გაამხნევეთ?**

- ვუთხარი, რომ გერმანელების წინააღმდეგ იტალიისთვის, ნაკრებისთვის და ჩემთვის ეთამაშათ. საერთოდ, ყველა პრობლემის მიუხედავად, მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ბიჭებს კარგად უჭირავთ თავი. ამიტომაც მივაღწიეთ ფინალს.

**- გერმანელებთან უკანასკნელი მატჩი თუ გაახსენეთ, როცა 4:1 გაიმარჯვეთ?**

- კი, ოღონდ გავაფრთხილე, რომ დორტმუნდულ შეხვედრას სხვა დატვირთვა ჰქონდა.

**- ერთხელაც არ გაგივლიათ გულში, რომ თქვენი შეგირდები მოსყიდულ თამაშებთან დაკავშირებულ ზეწოლას ვერ გაუძლებდნენ?**

- არასოდეს. არც იმათი მჯეროდა, ვინც ამბობდა, რომ ჩვენი ნაკრების წარუმატებლობა ამ სკანდალის ბრალი იქნებოდა. ბიჭებს ყოველდღე ვეუბნებოდი, რომ "მოჯის საქმე" ალიბად არ უნდა გამოეყენებინათ. ახლა, როცა უკვე ფინალში ვართ, მთელი იტალია ჩვენს გვერდითაა. დანარჩენ პრობლემებს მერე მოვაგვარებთ, როცა სახლში დავბრუნდებით.

**- ნახევარფინალში ანდრეა პირლო საუკეთესოდ დაასახელეს. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- პირლომ მართლაც დიდი ჯაფა გასწია მთელ თამაშში. მან, გროსომ და გუნდის სხვა ფეხბურთელებმაც გერმანელებს ტექნიკურად ყველა კომპონენტში აჯობეს. როგორც ყოველთვის, საუკეთესო იყო ჯენარო გატუზო. მართალია, ტოტი ბოლომდე ვერ გაიხსნა, მაგრამ გუნდისთვის ის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა.

**- მოედანზე შესვლის წინ დელ პიეროს რა უთხარით?**

- ვუთხარი, რომ გადამწყვეტ გოლს გაიტანდა. მაგრამ შევცდი - ალესანდრომ მეორე ბურთი შეაგდო.

**- მუნდიალის დაწყებასთან შედარებით, თქვენმა გუნდმა აშკარად მოუმატა...**

- მართალია. მიუხედავად იმისა, რომ შთამბეჭდავად ვერ დავიწყეთ, თანდათან კარგად ავთამაშდით. თუმცა, ჩემი აზრით, საკუთარი შესაძლებლობები 100 პროცენტით ვერც გერმანიის წინააღმდეგ გამოვამჟღავნეთ. მაგრამ ხომ გაგიგიათ - იჩქარე ნელა!

**- ადრე თქვით, რომ ფინალში ბრაზილიელებთან გინდოდათ თამაში. სამწუხაროდ, ოცნება არ აგიხდათ...**

- ჰო, ერთხელ მესიზმრა, რომ ჩემი გუნდი რონალდინიოს, კაკასა და სხვების წინააღმდეგ თამაშობდა და ბრაზილია დავამარცხეთ. სამწუხაროა, რომ პარეირას შეგირდებს ვერ შევხვდებით, თუმცა ის უფრო მნიშვნელოვანია, რომ ბერლინამდე მივედით.

# ტოტი "სკუადრა აძურას" იხდის

*"სკუადრა აძურა" გერმანიაში მიმდინარე საფეხბურთო ჩემპიონატზე ახალი ამბების მთავარი მომწოდებელია. მაგალითად, სერია A-ს "საფეხბურთო თაღლითობა" რად ღირს. ამიტომაცაა, რომ იტალიური სიახლეები გერმანიში შესაშური ტემპით მიედინება. იტალიელთა დამრიგებელი მარჩელო ლიპი, რომელმაც საკუთარი გუნდი ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა, გვარწმუნებს, ჩემპიონატის დასრულებისთანავე ფრანჩესკო ტოტი გუნდიდან წავაო.*



ახალ ამბებზე მონადირეთა არმიას ლიპისთან ერთად თავად ფუხბურთელებიც ამარაგებენ გასაშუქებელ ამბავთა ნაირფეროვნებით.

გერმანიასთან ნახევარფინალური მატჩის შემდეგ ლიპიმ განაცხადა, რომ ფინალურ შეხვედრაში "რომას" პლეიმეიკერი ფრანჩესკო ტოტი უკანასკნელად მოირგებს ეროვნული ნაკრების მაისურსო.

"როგორც ვიცი, ამის თაობაზე თავად ტოტიმ მითხრა. 90-პროცენტიანი ალბათობაა იმისა, რომ ტოტი, მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგით დასრულდება საფრანგეთის ნაკრებთან მატჩი, ეროვნული ნაკრებიდან წავა. თუმცა, მზად უნდა იყოთ იმისთვის, რომ ადამიანი ადამიანად რჩება და არასდროსა არ არის ცნობილი, თუ რა ხდება მის თავში", - ფილოსოფიურად აღნიშნა ლიპიმ.

"რომას" აღზრდილი ფრანჩესკო ტოტი რამდენიმე წელიწადია მის სიმბოლოდაა აღიარებული და იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთ ნიჭიერ წარმომდგენლად ითვლება. ფლობს შესანიშნავ სისწრაფეს, დისპეტჩერულ შესაძლებლობებს, ძლიერ დარტყმას, განუმეორებელ ტექნიკას, კარგად ხედავს მინდორს, თამაშობს შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე და საჭიროებისამებრ შეუძლია იმოქმედოს თავდასხმაში. ოღონდ, ისევე როგორც იტალიელთა უმეტესობა, თავშეუკავებელია.

გეხსომებათ, 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე ტოტიმ დანიის ნაკრების მოთამაშეს შეაფურთხა, რისთვისაც დისკვალიფიკაცია დაიმსახურა.

წლეულს, თებერვალში, რომაელმა კოჭის ტრავმა მიიღო, რამაც სამი თვით ჩამოაშორა ფეხბურთს, თამაში კი სეზონის დასასრულს განაახლა.

ბუნებრივია, სათამაშო პრაქტიკის უქონლობამ ტოტის თავისი კვალი დაატყო. მიუხედავად ამისა, ნახევარფინალურ მატჩს რომაული კლუბის ლიდერმა წარმატებით გაართვა თავი.

ამასობაში იტალიის ნაკრების მცველმა ფაბიო კანავარომ გადაწყვიტა საკუთარ კომენტარებში მხარი დაეჭირა არა ტოტისთვის, არამედ ლიპისთვის. იტალიის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის სიტყვებით, ამ სპეციალისტმა მსოფლიო ჩემპიონატზე საკუთარი თავი საუკეთესო მხრიდან დაგვანახა.

"იმედი მაქვს, ლიპი ნაკრების სათავეში დარჩება. მან საუკეთესოდ წარმოაჩინა საკუთარი თავი. ვფიქრობ, რომ სწორედ ის უნდა წაგვიძღვეს 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე", - აღნიშნავს კანავარო და დასძენს, რომ საფრანგეთის ნაკრები სწორედ ის გუნდია, რომელთანაც თამაში სურს, რადგან 2000 წლის ევროპისა და 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატებზე ფრანგებთან განცდილი მარცხისთვის რევანშია ასაღები.

# ზინედინ ზიდანი: "ჩვენ მოედანზე ერთად სიკვდილი შევფიცეთ"

მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში პორტუგალიის ნაკრებთან გამარჯვების (1:0) შემდეგ ზინედინ ზიდანმა საინტერესო ისტორია გაანდო ჟურნალისტებს. მან ისაუბრა იმაზე, თუ რა შეჰფიცეს საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელებმა ერთმანეთს. ეს ფრაზა ლილიან ტურამმა ორი დღის წინ გაიხსენა, როცა გუნდის ერთ მუჭად შეკვრის მიზეზებზე საუბრობდა. თუმცა, მაშინ მას ფიცის შინაარსი არ გაუმხელია.

"ჩვენი დევიზია - მოედანზე ყველანი ერთად დავიხოცოთ", - ინტერვიუში განუცხადა ზიდანმა ტელეარხ "კანალ პლუსს". ახლა მას მხოლოდ 90 ან 120 წუთი აშორებს კარიერაში მეორე მსოფლიო თასს, რომლისთვის ბრძოლაც მომავალ კვირას ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე, საფრანგეთისა და იტალიის ფინალურ დაპირისპირებაში წარიმართება.

"ვფიქრობ, ახლა ყველაფერი რიგზე იქნება. უდიდესი ძალისხმევა გავწიეთ ამისთვის. შევეცდებით, რომ ეს ბოლო დაბრკოლებაც გადავლახოთ და მსოფლიო თასი მოვიგოთ. ეს ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ ამისთვის მზად ვართ და ნამდვილად ძალიან გვინდა ამის გაკეთება", - აღნიშნა საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა.


ზინედინ ზიდანი: "ჩვენი დევიზია - მოედანზე ყველანი ერთად დავიხოცოთ"

"ახლა, როცა უკვე ფინალში ვართ, ფანტასტიკური იქნება, თუ მეორედ შევძლებთ საფეხბურთო ოლიმპის მწვერვალზე მოქცევას. ჩვენ მართლაც გვაქვს იმედი, რომ გავიმარჯვებთ", - დაამატა ზიდანმა, რომელმაც 8 წლის წინ გამართულ ფინალურ მატჩში ბრაზილიელთა კარში გასული სამი გოლიდან ორი თვითონ მან, თანაც თავით გაუტანა მომავალ "პენტაკამპეონებს".

რეალიზებულ პენალტზე საუბრისას, რისი წყალობითაც საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ 107-ე მატჩში ოცდამეათე გოლი გაიტანა, ზიდანმა თქვა, რომ დარტყმის წინ საერთოდ არ ღელავდა.

"რა თქმა უნდა, დაძაბული ვიყავი - სხვანაირად პენალტს ვერ დავარტყამ. მაგრამ ეს სასიამოვნო დაძაბულობაა. უბრალოდ, საკუთარ თავს ვუთხარი, რომ თუ გოლს გავიტანდი, ანგარიშში დავწინაურდებოდით და თუ შემდეგ გოლს არ გავუშვებდით, ფინალში გავიდოდით. სხვა არაფერზე აღარ ვფიქრობდი. მხოლოდ იმაზე ვიყავი კონცენტრირებული, რომ ზუსტად შემესრულებინა დარტყმა", - განუცხადა თანამემამულე ჟურნალისტებს ზიზუმ.

ფრანგებს, რომლებმაც ფინალის გზაზე თანამიმდევრობით ჩამოიშორეს ესპანეთი, მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილია და ევროპის ვიცე-ჩემპიონი პორტუგალია, დასვენება ესაჭიროებათ. ზიდანის აზრით, იმაზე, თუ როგორ მოახერხებენ დასვენებას, ძალების აღდგენას და ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას, ბევრად იქნება დამოკიდებული ფინალის ბედი. იტალიას, რომელმაც ერთი დღით ადრე გერმანიის ნაკრები დაამარცხა (2:0), დასვენებისა და ძალების აღდგენისთვის ერთი დღით მეტი დრო აქვს. თუმცა, იტალიელი ფეხბურთელები უფრო დაიღალნენ, რადგან ნახევარფინალში დამატებითი დროის თამაში მოუხდათ.

"დასვენება ჰაერივით გვჭირდება. ნახევარფინალის საღამოს მართლაც ძალიან დავიღალეთ და გამოვიფიტეთ. თან საშინლად ცხელოდა. ამიტომ, როგორც საჭიროა, ისე უნდა დავისვენოთ, ძალები აღვიდგინოთ და იტალიასთან ფინალისთვის მოვემზადოთ. ამისთვის სამი დღე გვაქვს", - აღნიშნა ზიდანმა.

"ყველაზე მთავარია მსოფლიო თასის მოპოვება. ეს ფანტასტიკური იქნება არა მხოლოდ ჩვენთვის, ოცდასამი ფეხბურთელისთვის, არამედ ყველასთვის - სამწვრთნელო შტაბისთვის, იმ გულშემატკივრებისთვის, რომლებიც ჩემპიონატის სტარტიდან გვქომაგობენ და იმათთვისაც, ვინც ჩვენი ფანების არმიას მუნდიალის მსვლელობის დროს შეუერთდა", - ასეთი გახლავთ ბოლო ათწლეულის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელის ნახევარფინალისშემდგომი კომენტარი, ფეხბურთელისა, რომელიც, სამწუხაროდ, მუნდიალის შემდეგ აქტიურ ფეხბურთს თავს ანებებს.

# არ მინდა, ოცნება კოშმარად იქცეს

საფრანგეთ-პორტუგალიის ნახევარფინალის საუკეთესო ფეხბურთელად ლილიან ტურამი დაასახელეს. მისი ნაკრების წარმატების საიდუმლო კი გამოცდილება ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნია ვეტერან მცველს.

მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ტურამი საფრანგეთის ნაკრებში ალბათ ყველაზე სტაბილური ფეხბურთელი იყო. იგი იმ მოთამაშეთა კოჰორტას განეკუთვნება, რომლებსაც უხილავ გმირებს უწოდებენ. ტურამი იშვიათად ახალისებს პუბლიკას ლამაზი ფინტებით, კიდევ უფრო იშვიათად გააქვს გოლი. მისი მთავარი კოზირი საიმედოობაა. პორტუგალიელებთან მატჩში, როგორც ყოველთვის, საოცრად საიმედო იყო. არადა, ბევრს ავიწყდება, რომ ეს უნიკალური მცველი ექვს თვეში 35 წლის გახდება.


საფრანგეთის ნაკრების ორი თაობა - ტურამი და რიბერი,

- ახლა ჩემი ცხოვრების განსაკუთრებული მომენტი დამიდგა. მიჭირს სიტყვებით იმის გადმოცემა, რასაც ვგრძნობ. ეს უბრალოდ შეუდარებელია. ბედნიერი ვარ, რომ მილიონობით ადამიანი გავახარე. მალე 35 წლის გავხდები და მიხარია, რომ შემიძლია ვთქვა - ბოლო ათი წელიწადი ტყუილად არ მიცხოვრია.

**- პორტუგალიის ნაკრებმა რამით თუ გაგაკვირვათ?**

- ასე არ ვიტყოდი. მათ ითამაშეს ისე, როგორც უნდა ეთამაშათ. ეს იყო ჩვენი ტაქტიკის ნაწილი, რომელიც საბოლოოდ განვახორციელეთ კიდეც.

**- მეტოქე გუნდიდან რომელ ფეხბურთელს გამოყოფდით?**

- მანიშეს და ფიგუს. ეს ორი ფეხბურთელი პორტუგალიური გუნდის გულად მიმაჩნია. მათ მწვავე გადაცემის გაკეთებაც შეუძლიათ და გოლის გატანაც. საბედნიეროდ, დღეს ეს არ გამოუვიდათ.

**- და ამის ერთ-ერთი მიზეზი თქვენ იყავით...**

- გასაგებია. გინდათ თქვათ, რომ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს. მე, უბრალოდ, ჩემს საქმეს ვაკეთებდი. თანაც, მინდა გთხოვოთ, ნუ დაგავიწყდებათ ჩემი თანაგუნდელები. საფრანგეთის ნაკრები პირველ რიგში გუნდია და არა უბრალოდ ძლიერი ფეხბურთელების კრებული.

**- თქვენს გუნდში ბევრი ვეტერანია. როგორ ახერხებთ მთელი მაჩტის განმავლობაში ასეთ სწრაფ ტემპში თამაშს?**

- მთავარი საიდუმლო გამოცდილებაა. ჩვენ მშვენივრად ვიცით, თუ რა შეგვიძლია და ვცდილობთ ისე გადავანაწილოთ ძალები, რომ მთელი თამაშის განმავლობაში გვეყოს.

**- ფინალი რომ წააგოთ...**

- ამაზე არც კი ვფიქრობ. იმედია, ყველაფერი ისევე ლამაზად დასრულდება, როგორც დაიწყო. ნებისმიერი ოცნება ბედნიერებით ან კოშმარით სრულდება. არ მინდა, რომ ჩვენი ოცნება კოშმარით დასრულდეს.

# ორი მსაჯი

ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის განცხადებით, უახლოეს მომავალში საფეხბურთო მატჩებს ორი მთავარი არბიტრი მოემსახურება. ეს იდეა მსოფლიო ფეხბურთის მთავარმა ჩინოსანმა მაშინ გაახმოვანა, როდესაც ჟურნალისტებთან მსოფლიო ჩემპიონატზე მსაჯობის პრობლემებზე საუბრობდა.

"ასეთი წინადადებით ადრეც მივმართე საფეხბურთო სამყაროს, მაგრამ მაშინ ამ იდეამ უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. შემდეგ ორი მსაჯით მუშაობის სისტემა მალაიზიასა და ბრაზილიაში გამოვცადეთ და გაამართლა, თუმცა ანალოგიური ექსპერიმენტი იტალიასა და ნორვეგიაში აშკარად წარუმატებლად დასრულდა," - ამბობს ბლატერი.


ფეხბურთისთვის ერთი მსაჯი აღარ კმარა.

ფიფას პრეიზიდენტის თქმით, თანამედროვე ფეხბურთში ტემპი იმდენად მაღალია, რომ ერთი მსაჯი, უბრალოდ, ვერ ასწრებს თვალყური ადევნოს მინდორზე მიმდინარე ყველა მოვლენას, რაც მას სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ხელს უშლის. მაგალითისთვის ბლატერმა მოიტანა ჰოკეი, სადაც ყინულზე ორი მთავარი არბიტრია.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჰოკეიში ორი მთავარი არბიტრი ყინულზე მხოლოდ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მსაჯობს, ევროპულ ჰოკეიში კი ერთი მსაჯია.

რაც შეეხება მსაჯების მუშაობას 2006 წლის მუნდიალზე, ბლატერს ამის თაობაზე უკვე არაერთი განცხადება გაუკეთებია. ფიფას პრეზიდენტის აზრით, მთლიანობაში მსაჯობის დონე დამაკმაყოფილებელია, თუმცა, არსებობს გარკვეული შეცდომებიც.

ორი მსაჯის პრაქტიკის დანერგვა, შესაძლოა, მართლაც არ იყოს ურიგო. თანაც, ამით ბლატერი თავიდან აიცილებს ვიდეორეფერის პრაქტიკის შემოღებას. მოგეხსენებათ, ფიფას პრეზიდენტი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ფეხბურთში ასეთი ცვლილების შეტანას, მიუხედავად იმისა, რომ ვიდეორეფერის არაერთი საფეხბურთო ჩინოსანი ემხრობა.

აშკარაა, რომ მსაჯობაში გარკვეული ცვლილებები უნდა მოხდეს, რადგან მათ შეცდომებს არაერთი გუნდში შეწირვია. ორი რეფერი აშკარად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, თუმცა, პრობლემას ბოლომდე მაინც ვერ მოხსნის.

როგორც უკვე ვთქვით, ჯერჯერობით ორი მსაჯის დანერგვა იდეის დონეზეა. ალბათ მომავალ სეზონში რომელიმე არც ისე მნიშვნელოვან ჩემპიონატში მოხდება ამის აპრობაცია. შემდეგ კი, თუ ექსპერიმენტი წარმატებით ჩაივლის, ორ-ორ არბიტრს დიდ ტურნირებზეც ვიხილავთ.

## გიორგი ნემსაძე: "შემტევი იტალია ფრანგული "კატენაჩოს" წინააღმდეგ"

საფრანგეთისა და პორტუგალიის ნახევარფინალური მატჩი, სანახაობრივი თვალსაზრისით, ალბათ ბევრს დაწყვეტდა გულს. ერთი შეხედვით, ორი მაღალტექნიკური, შეტევაზე ორიენტირებული გუნდის დაპირისპირება ლამაზი, გახსნილი და შედეგიანი ფეხბურთის წინაპირობა იყო. მაგრამ ვნახეთ კინკილა გოლი, ისიც თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმიდან და იმდენად ცოტა სახიფათო მომენტი, რომ მათ ჩამოსათვლელად ერთი ხელის თითები გვეყოფა. მაგრამ ასეთ თამაშსაც ჰქონდა თავისი სილამაზე და ხიბლი. საფრანგეთის ნაკრებმა და ამ გუნდის ლიდერებმა დაამტკიცეს თავიანთი უმაღლესი საშემსრულებლო კლასი და ოსტატობა. თან, ფორტუნაც აშკარად მათ მხარეს იყო. გახსოვთ, ქვეჯგუფში საფრანგეთ-კორეის მატჩი: მაშინაც ფრანგებმა ანგარიში წაიყვანეს და შემდეგ თამაში დაასრულეს, აღარ აქტიურობდნენ, აღარ უტევდნენ და მატჩის ლოგიკურ დასასრულამდე - ძალების დახარჯვის გარეშე 3 ქულის მოპოვებამდე მიყვანას აპირებდნენ. მაშინ მეორე ტაიმის ბოლო წუთებში კორეამ ანგარიში გაათანაბრა, რითაც დღევანდელი ფინალისტები კინაღამ საერთოდ მერვედფინალს მიღმა დატოვა. მაგრამ იმის მერე ფრანგებმა მატჩიდან მატჩამდე გააუმჯობესეს თამაშის ხარისხი, სერიოზული პროგრესი განიცადეს, ზედიზედ სამჯერ შეძლეს დაწინაურება და მინიმალური სხვაობის შენარჩუნება. ასე იყო ესპანეთთან, მიუხედავად იმისა, რომ "სამფეროვნებმა" ერთი შეხედვით სოლიდური სხვაობით - 3:1 გაიმარჯვეს. იმ მატჩში ზიდანის გოლი აღარაფერს ცვლიდა - საფინალო სასტვენამდე ორიოდე წუთი იყო დარჩენილი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ესპანელებს ვერაფერს მოუტანდა. ასე რომ, შეიძლება ჩაითვალოს - ფრანგებმა ესპანეთიც მინიმალური სხვაობით დაამარცხეს. ასე იყო ბრაზილიასთან, რომელსაც ტაიმნახევარი ჰქონდა ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ თვით ყველაზე მძლავრი შემტევი პოტენციალის მქონე გუნდმა არათუ ერთი გოლი ვერ გაიტანა, არამედ ხეირიანი სახიფათო მომენტიც კი ვერ შექმნა არცთუ დამაჯერებლად მოთამაშე ბარტეზის კართან. ამიტომ, წესით, არავისთვის არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, რომ ფრანგები პორტუგალიასთანაც პირველ გოლამდე ითამაშებდნენ, შემდეგ კი თამაშს "მოკლავდნენ". ის, რაც ზიდანის, ანრის, ვიეირას და ტურამის გუნდმა შემოგვთავაზა (ამ ჩამონათვალში შეგნებულად არ ვასახელებ რაიმონ დომენეკს, რომელიც აშკარად მეორეხარისხოვანი ფიგურაა ამ გუნდში), კლასიკური იტალიური თამაშის მანერაა, "კატენაჩოა", ოღონდ ერთი შესწორებით. როცა ამ ტაქტიკას მიმართავს იტალიის ნაკრები (ეს ლიპის გუნდს არ ეხება - ასეთი შემტევი და დაცვაზე ნაკლებად ორიენტირებული იტალიის ნაკრები ალბათ არც გვახსოვს), მსაჯის სასტარტო სასტვენიდან დაცვაში დგება და კონტრშეტევებზე თამაშობს, თან ასე გრძელდება 90 წუთის განმავლობაში, რა ანგარიშიც არ უნდა იყოს ტაბლოზე... ფრანგები კი ამ მუნდიალზე ჯერ თამაშობენ, გოლი გააქვთ, შემდეგ მართლაც "კეტავენ" საკუთარ კარს და კონტრშეტევებზეც კი აღარ იტკივებენ თავს - ჩვენ გაგიტანეთ და თუ ვაჟკაცები ხართ, ახლა თქვენ გაიტანეთო. ასეთი რაციონალური, შედეგზე გამიზნული თამაში არათუ საფრანგეთის, თვით ყველაზე პრაგმატული და საფეხბურთო მანქანა-მექანიზმად მიჩნეული გერმანიის ნაკრების შესრულებითაც კი არ გვინახავს. თვით შვედეთის ნაკრებსაც კი, რომელიც სამართლიანად არ ითვლებოდა ამ ჩემპიონატის ფავორიტად, კლინსმანის გუნდმა ჯერ ორი გოლი გაუტანა და შემდეგ დაამშვიდა თამაში.

ფინალის შედეგის პროგნოზირება შეუძლებელი და უმადური საქმეა. მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას: ისეთივე ავანტიურაზე წასვლას, როგორზეც საფრანგეთი პორტუგალიასთან და ბრაზილიასთან წავიდა, ფრანგები ალბათ ვეღარ გაბედავენ. ვეღარ გაბედავენ, თუნდაც 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის გამოცდილების გათვალისწინებით. შეგახსენებთ, რომ მაშინაც იტალია და საფრანგეთი შეხვდნენ ფინალში. მეორე ტაიმის დასრულებამდე 15 წუთით ადრე იტალიის ნაკრებმა გოლიც გაიტანა. ამის შემდეგ იტალიელები ანგარიშის შენარჩუნებას შეეცადნენ და მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო დაცვის ხაზმა ეს ვერ მოახერხა. წესით, ორივე გუნდი თანაბარი ფიზიკური კონდიციით უნდა მივიდეს ფინალამდე. იტალიის ნაკრებმა მომქანცველი ასოცწუთიანი ბრძოლა გადაიტანა და ფიზიკურთან ერთად დიდი მორალური ენერგიაც შეალია გერმანიის ნაკრების დამარცხებას, საფრანგეთმა კი განსაკუთრებული ძალისხმევისა და ემოციის გარეშე დაამარცხა პორტუგალია. თუმცა, იტალიას ერთი დღით მეტი ჰქონდა დასასვენებლად და ძალების აღსადგენად, რაც ამ ორ გუნდს თანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

ასევე მგონია, რომ საინტერესო დაპირისპირება იქნება მატჩში მესამე ადგილისთვის. ორივე გუნდი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ "მცირე ფინალი" მოიგოს. უპირატესობა გერმანელთა მხარეს იქნება, რომლებიც საკუთარ კედლებში სულ უმედლოდ დარჩენას ალბათ არც დაუშვებენ.

## კლოზესა და მერტესაკერის გარეშე

გერმანული პრესის ცნობით, ბუნდესნაკრების თავდამსხმელი მიროსლავ კლოზე მსოფლიო ჩემპიონატის მატჩს მესამე ადგილისთვის პორტუგალიელთა წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირს კუნთის ტრავმა აწუხებს, რის გამოც გერმანიის ნაკრების უკანასკნელ თამაშს კლოზე სათადარიგოთა სკამიდან მიადევნებს თვალყურს. კლინსმანის გუნდს კიდევ ერთი ფეხბურთელი - ცენტრალური მცველი პერ მერტესაკერი დააკლდება ქუსლის ოპერაციის გამო. "ჰანოვერის" ფეხბურთელს აქამდე საერთაშორისო არენაზე არც ერთი თამაში არ ჩაუგდია. მერტესაკერის ანგარიშზე ნაკრებში ნათამაშევი 29 მატჩია.

## იამაიკამ ერიქსონი უარყო

იამაიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა კრენსტონ ბოქსჰილმა უარყო პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, რომ ფედერაცია ქვეყნის პირველ გუნდში სამუშაოდ შვედ სვენ-გორან ერიქსონს იწვევდა. "პირველად მესმის ამის შესახებ. მართალია, ნაკრების მწვრთნელთა პოტენციური კანდიდატების სია შევადგინეთ, მაგრამ ერიქსონი ამ ნუსხაში ვერ მოხვდა", - განაცხადა ბოქსჰილმა.

## ნესტა ისევ გამორიცხულია

იტალიის ნაკრების მცველი ალესანდრო ნესტა საზარდულის ტრავმის გამო ვერც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ითამაშებს ფრანგების წინააღმდეგ. "სამწუხაროდ, ნესტამ ფორმა ვერც საფინალოდ აღიდგინა და ამიტომ ისევ სკამზე ჯდომა მოუწევს", - განაცხადა "სკუადრა აძურას" ექიმმა. შეგახსენებთ, რომ ალესანდრო ნესტამ მუნდიალის ჯგუფური ეტაპის უკანასკნელ მატჩში ჩეხეთის ეროვნულ ნაკრებთან თამაშისას მიიღო ტრავმა.

## "ვალენსია" ბალასტს იცილებს

ესპანური "ვალენსიას" მთავარმა მწვრთნელმა კიკე სანჩესმა განაცხადა, რომ სამ ფეხბურთელს აყენებს ტრანსფერზე. სეზონის დაწყებამდე გუნდს დატოვებენ: პატრიკ კალივერტი, მარკო დი ვაიო და ფრანსისკო რუფეტე.

## ხოაკინი მაინც "რეალს" ელოდება

"ლივერპულისა" და "ჩელსისგან" მიღებული სარფიანი წინადადებების მიუხედავად, ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი ხოაკინი კვლავაც მადრიდის "რეალისგან" ელის მიწვევას.

ესპანური "მარკას" ცნობით, "ბეტისის" ფეხბურთელი მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავა პრემიერლიგაში, თუ "რეალი" უარს იტყვის მის შეძენაზე.

შეგახსენებთ, რომ "სამეფო გუნდის" ახალდანიშნული მწვრთნელი ფაბიო კაპელო ხოაკინის ნიჭის დიდი თაყვანისმცემელია და თავის გუნდში ხილვა ჯერ კიდევ მაშინ სურდა, როცა "იუვენტუსს" ედგა სათავეში.

## "უიგანი" ემილ ჰესკით დაინტერესდა

ინგლისურმა "უიგანმა" თავდამსხმელ ემილ ჰესკის თაობაზე მიმართა პრემიერლიგიდან გავარდნილი "ბირმინგემის" ხელმძღვანელობას.

"ჰესკი გამოცდილი და მსოფლიო დონის მოთამაშეა, ამიტომაც გვინდა, რომ ჩვენი კლუბის ღირსება დაიცვას. ვფიქრობ, ის კიდევ უფრო გააძლიერებს "უიგანის" თამაშს, "- განაცხადა ინგლისური კლუბის თავკაცმა პოლ ჯუელმა.

## შაკირა ფინალში იმღერებს

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს იტალიისა და საფრანგეთის ნაკრებებს შორის სამხრეთამერიკელი პოპვარსკვლავი შაკირა გახსნის.

ფიფას წარმომადგენელთა ინფორმაციით, კოლუმბიელი მომღერლის გარდა, ფინალში მონაწილეობას მიიღებს ცნობილი ესპანელი ტენორი პლასიდო დომინგო.

შეგახსენებთ, რომ ფინალი ბერლინის "ოლიმპიაშტადიონზე" გაიმართება.

## "რომამ" კასეტი დაიმატა

"გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, "რომამ" "ლეჩედან" ნახევარმცველი მარკო კასეტი სამი მილიონი ევროს სანაცვლოდ გადაიბირა.

დედაქალაქურ კლუბთან ფეხბურთელმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

29 წლის ნახევარმცველს, რომელმაც ორჯერ დაიცვა "სკუადრა აძურას" ღირსება, 2000 წელს სერია ა-ში, "ვერონაში" ჰქონდა დებიუტი. სამი სეზონის შემდეგ "ლეჩეში" აღმოჩნდა, რომლის შემადგენლობაშიც 95 მატჩი გამართა და 9 გოლი გაიტანა.

## ბექჰემი კიდევ სამი წლით

ესპანურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, უახლოეს დღეებში დევიდ ბექჰემი ახალ კონტრაქტს გააფორმებს მადრიდის "რეალთან". "სამეფო გუნდის" ახალარჩეული პრეზიდენტის რამონ კალდერონისა და მთავარი მწვრთნელის ფაბიო კაპელოს თქმით, ინგლისელ ნახევარმცველთან, სავარაუდოდ, სამწლიან ხელშეკრულებას გააფორმებენ. ახალი კონტრაქტის თანახმად, ბექჰემის წლიური შემოსავალი 25 მილიონი ფუნტი სტერლინგი იქნება.

## ჰისლოპი ამერიკაშია

ტრინიდადი და ტობაგოს ეროვნული ნაკრებისა და ინგლისური "ვესტ ჰემის" 37 წლის კარის დარაჯი შაკა ჰისლოპი მომავალი სეზონიდან ამერიკის საფეხბურთო კლუბ "დალასის" კარს დაიცავს.

წლევანდელ სეზონში აფრიკელმა მეკარემ პრემიერლიგაში 16 შეხვედრა გამართა, ეროვნულ ნაკრებში კი 3 მატჩი ჩაატარა მსოფლიო ჩემპიონატზე.

## "არსენალი" და "მანჩესტერი" აპიასთვის იბრძვიან

პრემიერლიგის ერთბაშად ორი კლუბია დაინტერესებული განელი სტეფან აპიას გადაბირებით, რომლის ტრანსფერის ღირებულება 7 მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

თურქეთის "ფენერბახჩეს" ნახევარმცველით ლონდონის "არსენალი" და "მანჩესტერ იუნაიტედი" მსოფლიო ჩემპიონატზე აპიას შთამბეჭდავი თამაშის შემდეგ დაინტერესდნენ.

"სტეფანის გერმანიაში გამოსვლის შემდეგ ბევრი ევროპული გრანდი დაგვიკავშირდა, რომელთაც მისი შეძენის სურვილი გამოთქვეს. სერიოზულად ოთხი კლუბია დაინტერესებული, თუმცა რეალური შანსი ორ მათგანს აქვს. სტეფანს მოსწონს პრემიერლიგა და სიამოვნებით გააგრძელებს კარიერას ინგლისში. ჩემს კლიენტს ევროპაში თამაშის 10-წლიანი გამოცდილება აქვს და ვფიქრობ, ადაპტირება არ გაუჭირდება", - განაცხადა აპიას აგენტმა.

## ალჟირმა ზიდანის გამო იზეიმა

ალჟირში, ზინედინ ზიდანის მშობლიურ ქალაქ აგემუნში, ფრანგების ფინალში გასვლა დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს.

ნახევარფინალური მატჩის ღამეს "ზიზუს კაფეში" ტევა არ იყო. მატჩის შემდეგ კი კაფეს მფლობელმა საიდ არკუბმა პირობა შეასრულა და კაფეში შეკრებილებს უფასო სასმელით გაუმასპინძლდა. კაფეში იყო ზინედინ ზიდანის ძმა ჯამილიც, რომელმაც მატჩის წინ იწინასწარმეტყველა, რომ პორტუგალიელებთან ზიდანი გოლს გაიტანდა.

## კლემენტე გადააყენეს

ესპანური "ასის" ცნობით, ბილბაოს "ატლეტიკის" მთავარი მწვრთნელი ხავიერ კლემენტე თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ესპანელ სპეციალისტს მას შემდეგ შეექმნა პრობლემები, რაც გაზეთ "მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში საჯაროდ გააკრიტიკა გუნდის ხელმძღვანელობის სატრანსფერო პოლიტიკა.

## "ლიონი" სილვას არ ყიდულობს

ფრანგული "ლიონის" ხელმძღვანელობამ უარყო ხმები იმის თაობაზე, თითქოს გუნდი ბრაზილიელი ჰავბეკის ჟილბერტო სილვას შეძენას აპირებს.

მიუხედავად ამისა, პრესა მაინც ჯიუტად ამტკიცებს, რომ საფრანგეთის ჩემპიონი გუნდის თავკაცი ჟერარ ულიე "არსენალის" ნახევარმცველით დაინტერესებულია და მას მამადუ დიარას შემცვლელად მოიაზრებს.

# ლურჯები ცისფერთა წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

პორტუგალიელებს თანამემამულეთა გარდა 180 მილიონი ბრაზილიელიც უჭერდა მხარს, მთელი სულით და გულით რომ სურდათ ფრანგებზე შურისძიება. პორტუგალიელთა ბრაზილიელი მთავარი მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარიც არ იყო რევანშის წინააღმდეგ, მაგრამ... ფიგუს და ზიდანის დიდი დუელი ამჯერად ფრანგი ვეტერანის გაამრჯვებით დასრულდა. პორტუგალიელებს, უბრალოდ, არ გაუმართლა.

"ორივე გუნდი თანაბრად ძლიერი იყო. ჩვენ ფორტუნა გვწყალობდა, პორტუგალიელებს კი ბედმა არ გაუღიმა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ფინალში გავედით. პრესას უკვე აღარა აქვს ჩვენი გაკრიტიკების საბაბი", - ჩვეულ პროვოკაციულ სტილში განაცხადა ფრანგების მთავარმა მწვრთნელმა მატჩის შემდეგ. ფრანგულმა პრესამ მართლაც ბევრი აკრიტიკა რაიმონ დომენეკი და მისი ტაქტიკა. არც იყო გასაკვირი საშინლად სუსტად ჩატარებული პირველი სამი მატჩის შემდეგ. ახლა კი ყველაფერი შეიცვალა. საფრანგეთი მეორედ დგას მუნდიალის ფინალში და ჩემპიონის ტიტულზე ოცნებობს.

საფრანგეთში საგანგებო მდგომარეობა იყო მატჩის შემდეგ. თუ გერმანელი ფანები ძირითადად დროშების ფრიალით და საყვირებით ზეიმობდნენ, ფრანგები ქვების სროლით და აგრესიით გამოხატავდნენ სიხარულს. ლიონში ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა მეტად ორიგინალურად აღნიშნა ფინალში გასვლა: "ლე ბლეს" ფანებმა ლამის ყველა მანქანას გზა გადაუკეტეს და ნაგვის ყუთები და ბოთლები დაუშინეს. პოლიციას აქტიურად მოუხდა საქმეში ჩარევა. ძარცვა და ქურდობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო იმ ღამეს. არც ერთმანეთისთვის ცხვირ-პირის დამტვრევის სიამოვნებაზე უთქვამთ უარი ფრანგ ხულიგნებს. მოკლედ, საფრანგეთმა ფრიად არაორდინარულად აღნიშნა გამარჯვება.

პორტუგალიაში, რა თქმა უნდა, ეროვნული გლოვის ღამე იყო. მატჩის შემდეგ ლისაბონში სიცოცხლე თითქოს ჩაკვდა. ყველა უხმოდ მიემართებოდა სახლისკენ. გულჩვილი ფანები ხმამაღლა ტიროდნენ. მორჩა, ყველაფერი დამთავრდა!

ახლა ფინალიდან გაძევებულები მესამე ადგილისთვის მატჩში შეხვდებიან, ტრიუმფატორები კი მთავარი პრიზისთვის შეერკინებიან ერთმანეთს. საფრანგეთსაც და იტალიასაც, ორივეს ერთი ფერი აქვთ - ლურჯი. უფრო სწორად, ფრანგთა ფერი ლურჯია, იტალიელთა კი - ცისფერი. კიდევ კარგი, ფრანგები თეთრი მაისურებით თამაშობენ, თორემ არ გინდა სტადიონზე მათი ერთმანეთისგან გარჩევა? თუმცა... იტალიელებს ამდენი შავი ვარსკვლავი ნამდვილად არ ჰყავთ. მაისურის თუ არა, კანის ფერით მაინც გაარჩევს კაცი. ვინ თქვა, აფრიკის ვერც ერთმა გუნდმა წარმატებას ვერ მიაღწიაო? აფრიკა ფინალში გავიდა საფრანგეთის სახით! ასეთი ინტერნაციონალურია ახლა საფრანგეთი. მოკლედ, 9 ივლისს ლურჯები ცისფერებს ხვდებიან. ვნახოთ, რომელი მაგიური ფორმულა უფრო ძლიერი გამოდგება: "Allez les blues!" თუ "Forza ragazzi!"

# უიმბლდონის ფრანგულ-ბელგიური ფინალი



შარაპოვა უიმბლდონს დაემშვიდობა

უიმბლდონის ტურნირი დასასრულს უახლოვდება. დღეს ვაჟთა ნახევარფინალები გაიმართება, ხვალ - ქალთა ფინალი, კვირას კი ფინალურ მატჩში ვაჟები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, თუ, რა თქმა უნდა, განრიგში ამინდმა არ შეიტანა კორექტივები. როგორც ყოველთვის, უიმბლდონის ტურნირის მსვლელობას წვიმიანი ამინდი უშლის ხელს. ასე მოხდა ამჯერადაც. გუშინწინ ვაჟებს მეოთხედფინალური მატჩები უნდა დაესრულებინათ, მაგრამ წვიმის გამო თამაში გვიან დაიწყო, რაფაელ ნადალისა და იარკო ნეიმინენის მატჩი კი გუშინ ჩატარდა.

ესპანელ ვუნდერკინდს უიმბლდონის ნახევარფინალში ნამდვილად არავინ ელოდა, თუმცა, რაფაელმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სხვა ესპანელ ჩოგბურთელებთან შედარებით უნივერსალია და თურმე ბალახზეც შესძლებია თამაში. ნადალმა იოლად სძლია ნეიმინენს და დღეს ნახევარფინალში მარკოს ბაგდატისს დაუპირისპირდება. მეორე ნახევარფინალში როჯერ ფედერერი და იონას ბიორკმანი ითამაშებენ.

| | |
|---|---|
| **ვაჟები** | |
| **რაფაელ ნადალი - იარკო ნეიმინენი** | **6:3,6:4,6:4** |
| **ქალები** | |
| **ჟუსტინ ენინ-არდენი - კიმ კლაისტერსი** | **6:4,7:6** |
| **ამელი მორესმო - მარია შარაპოვა** | **6:3,3:6,6:2** |

ქალთა გუშინდელი ნახევარფინალებიც საინტერესო გამოდგა. პირველად კორტზე ორი ბელგიელი ჩოგბურთელი გამოვიდა - გამეორდა საფრანგეთის ღია პირველობის ფინალი. ჟუსტინ ენინ-არდენისა და კიმ კლაისტერსის დაპირისპირება ისევ ენინ-არდენის გამარჯვებით დასრულდა. კლაისტერსმა ორ სეტში დათმო მატჩი და საფრანგეთში განცდილი მარცხის გამო ვერ შეძლო რევანშის აღება.

ბელგიელების შემდეგ რუსი მარია შარაპოვა და ფრანგი ამელი მაურესმო გავიდნენ კორტზე.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა აშკარად დაჯაბნა რუსი ლამაზმანი. მაურესმომ პირველ სეტში მეტოქის მოწოდება მოიგო და იოლად მიიყვანა სეტი ლოგიკურ დასასრულამდე. მეორე სეტში კი უპირატესობას მარია დაეუფლა. რუსმა შეძლო ძალების მობილიზება და სეტი ანგარიშით 6:3 მოიგო, თუმცა შარაპოვას ძალები აქ ამოიწურა. მესამე, გადამწყვეტ სეტში, მაურსემო კორტის სრული ბატონ-პატრონი იყო. ოთხი გეიმის შემდეგ ფრანგი 4:0-ს იგებდა და ყველასთვის ცხადი გახდა, რომ შარაპოვა მატჩს ველარ შემოატრიალებდა.

ხვალ უიმბლდონის ფრანგულ-ბელგიურ ფინალს ვიხილავთ. ენინ-არდენისა და მაურესმოს წყვილში ფავორიტის დასახელება ძალიან ძნელია.

# მეფურ-არისტოკრატიული განხეთქილების ვაშლი



რობენი "რეალისა" და "ჩელსის" დაპირისპირების მიზეზად იქცა.

ვასილ უდუმაშვილი

მსოფლიო ჩემპიონატზე ორი მატჩიღა დარჩა გასამართი. 9 ივლისის ფინალის შემდეგ ოთხწლეულის მთავარი საფეხბურთო მოვლენა ისტორიის კუთვნილებად იქცევა და დაიწყება ყოველდღიური საფეხბურთო ცხოვრება. ზაფხულში კი მთავარი თემა მუდმივად ტრანსფერებია.

გერმანიაში მიმდინარე მუნდიალი რომ არა, მადრიდის "რეალის" საპრეზიდენტო არჩევნები ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი მთავარი თემა იქნებოდა იტალიურ სკანდალთან ერთად, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის ფონზე "სამეფო კლუბში" პრეზიდენტი ისე აირჩიეს, რომ ეს "რეალის" თავგადაკლული გულშემატკივრების გარდა არავის აინტერესებდა.

ახლა, როცა მუნდიალი დასასრულს უახლოვდება, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბის საქმეები უაღრესად დიდ ინტერესს იწვევს. მით უმეტეს, რომ რამონ კალდერონი "სამეფო კლუბში" რევოლუციურ ცვლილებებს გეგმავს. კალდერონმა არჩევნებამდე დადო პირობა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში მადრიდული კლუბის მთავარ მწვრთნელად ფაბიო კაპელოს დანიშნავდა და შეიძენდა კაკას და არიენ რობენს.

კაპელო უკვე "რეალის" მწვრთნელია. კაკა იმ შემთხვევაში გადავა "სამეფო კლუბში", თუ "მილანი" სერია A-დან გააგდეს, რობენი კი პრობლემად იქცა.

მადრიდის "რეალის" ახალი ხელმძღვანელების განცხადებით, მათ უკვე მიაღწიეს შეთანხმებას არიენ რობენთან და ჰოლანდიელი ფეხბურთელი მომავალ სეზონში "სამეფო კლუბის" თეთრ მაისურას მოირგებს. თითქოს ამაში განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ რობენი "ჩელსის" ფეხბურთელია. "არისტოკრატების" ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია, რომ ისინი ფულს დახარბდნენ და ამიტომ გაყიდონ რობენი. ასევე ცნობილი გახდა, რომ მოურინიოს რობენის გაშვება არ სურს. ასე რომ, ცოტა გასაკვირია, როდესაც სამეფო კლუბის მესვეურები ჯიუტად ამტკიცებენ, რობენის ტრანსფერი თითქმის გაჩარხულიაო. მეტიც: "ჩელსის" ხელმძღვანელები "რეალის" ახალი ბოსების სიტყვებმა ისე გალიზიანეს, რომ, შესაძლოა, საქმეში უეფაც კი ჩაერიოს.

ლონდონური კლუბის მესვეურთა თქმით, მათ რობენის ტრანსფერის აობაზეთ არავინ დაკავშირებია. გამოდის, რომ მადრიდის "რეალი" ლონდონური კლუბის ხელმძღვანელთა გვერდის ავლით მართავს მოლაპარაკებას არიენ რობენთან, რაც უეფას კანონებით აკრძალულია. სწორედ ამიტომ "არისტოკრატები" უეფაში საჩივრის შეტანას აპირებენ.

"მას შემდეგ, რაც რამონ კალდერონმა "რეალის" საპრეზიდენტო არჩევნები მოიგო, მან თქვა, რომ არიენ რობენს ყიდულობს, თუმცა, რობენის ტრანსფერთან დაკავშირებით მადრიდული კლუბის არც ერთ წარმომადგენელს არ მოუმართავს ჩვენთვის. გამოდის, რომ კანონის დარღვევით მოქმედებენ, რადგან ნებისმიერი მოლაპარაკება ფეხბურთელთან კლუბის ზურგს უკან უეფასა და ფიფას კანონებით აკრძალულია. რობენის ტრანსფერთან დაკავშირებით ჩვენთვის რომ მოემართათ კიდეც, მაინც არაფერი გამოუვიდოდათ, რადგან არიენი არ იყიდება. თუ მადრიდული კლუბის ახალმა ხელმძღვანელობამ ასევე გააგრძელა მოქმედება, იძულებული გავხდებით უეფასა და ფიფაში ვუჩივლოთ", - აცხადებს "ჩელსის" აღმასრულებელი დირექტორი პიტერ კენიონი.

ამრიგად, კალდერონი თავის საქმიანობას, ცოტა არ იყოს, არაეთიკურად იწყებს. თავი დავანებოთ "ჩელსის" გვერდის ავლით რობენთან მოლაპარაკებას. ეს არა მარტო ეთიკის, არამედ არც კანონის ჩარჩოებში ჯდება.

კალდერონი ახალ გუნდს სხვის უბედურებაზე აშენებს. ესპანური გრანდის ახალმა პრეზიდენტმა არც კი ისურვა დაეცადა, სანამ "იუვენტუსს" და "მილანს" განაჩენს გამოუტანდნენ. კაპელო მან ვერდიქტის გამოტანამდე გადაიბირა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ თუ "იუვენტუსი" დაისაჯა, "რეალში" კანავარო და ემერსონიც გადავლენ. ამას ემატება კაკაც და ყველა ეს ფეხბურთელი "რეალში" მხოლოდ ერთი მიზეზის გამო აღმოჩნდება - ამ მიზეზს იტალიური საფეხბურთო სკანდალი ჰქვია.

"რეალის" შესახებ კიდევ ორ ინფორმაციას მოგაწვდით. კლუბი დევიდ ბექჰემს ახალ სამწლიან კონტრაქტს სთავაზობს, რომელშიც ინგლისელი ნახევარმცველი ასტრონომიულ თანხას მიიღებს - წელიწადში 25 მილიონ გირვანქა სტერლინგს.

"რეალის" ბრაზილიელი ფორვარდი რონალდო კი საოპერაციო მაგიდაზე დაწვება - ფენომენს მუხლის ოპერაცია უნდა გაუკეთონ.

# მეცნიერებათა კანდიდატი კი არა და...

*მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის ყოფილი პრეტენდენტი, ამერიკელი შენონ ბრიგსი პირობას დებს, 11 ნოემბრისთვის დაგეგმილ ორთაბრძოლაში კრივის მსოფლიო ფედერაციის (IBF) უკრაინელ ჩემპიონს ვლადიმირ კლიჩკოს დავანოკაუტებო: "შეთანხმება 90 პროცენტით დასრულებულია. მე ხელთა მაქვს ხელშეკრულება. მხოლოდ დეტალებიღაა დასაზუსტებელი".*

მართალია, შენონ ბრიგსი ფიზიკურ მომზადებასთან დაკავშირებული პრობლემებითაა ცნობილი, მაგრამ ირკვევა, რომ ამჯერად შესწევს უნარი 12 რაუნდი მაღალ ტემპში ჩაატაროს.

"ახალ მწვრთნელთან, ჯეფ მეივეზერთან ერთად, ამტანობაზე ვვარჯიშობთ. ვლადიმირმა არაერთხელ გვიჩვენა, რომ ჩხუბის მომდევნო რაუნდებში გადაყვანა შეუძლია. მაგრამ დაღლა მასაც ემუქრება. პირადად მე ახლა საკუთარ დარტყმებს ვხვეწ. მაყურებელს იმის ნახვა უფრო აინტერესებს, თუ როგორ აცლიან ერთმანეთს თავებს მძიმეწონოსნები. სწორედ ამას ვაპირებ. ბოლოს ვისაც კი ვეჩხუბე (ასეთი კი 11 იყო), ყველა დავანოკაუტე. ვლადიმირი მე-12 იქნება. უკრაინელთან 12-რაუნდიან ჩხუბს არ ვაპირებ, მაგრამ თუ საჭირო გახდა, ამისთვისაც მზად ვარ. თუმცა, ყველაფერს ვილონებ, რომ პირველივე რაუნდში დავამთავრო საქმე".

გარდა ამისა, ბრიგსმა (47 გამარჯვება, აქედან 41 ნოკაუტით, 4 წაგება და 1 ფრე) მადლობა გადაუხადა სემიუელ პიტერს (26 გამარჯვება, აქედან 22 ნოკაუტით და 1 წაგება) რჩევისთვის (ნიგერიელმა მოკრივემ ბრიგსს ურჩია, კლიჩკოს მარცხენას ერიდეო) და თქვა: ამას გავითვალისწინებ, მაგრამ ისიც უნდა მიფრთხილდეს!" ბრიგსს მიაჩნია, რომ ლენოქს ლუისთან წაგებული ორთაბრძოლის შემდეგ საკმაოდ გაიზარდა: "მაშინ ლაწირაკი ვიყავი. უფრო ვერთობოდი, ვიდრე ვჩხუბობდი. ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. ნეხვიდან ამოვძვერი, მაგრამ ისევ ჯიბეგაფხეკილი ვარ. მესმის, რომ ეს ორთაბრძოლა ჩემთვის უდიდესი შანსია. თუ გავიმარჯვებ, შევძლებ უზრუნველვყო საკუთარი თავი, შვილები და შვილიშვილები. ეს კლიჩკო ერთი მდიდარი ვინმეა, დაგრიალებს "მერსედესით", აქვს საკანდიდატო ხარისხი... მე არაფერი მაქვს. მაგრამ აი, რას გეტყვით: ვერც ერთი მეცნიერებათა კანდიდატი ვერ დაამარცხებს შენონ ბრიგსს! მე იმ ხალხისთვის ვჩხუბობ, ვინც ჩემს მანქანებს რეცხავს, ბენზინგასამართ სადგურებზე მუშაობს. მე ყველაფერს ფსკერზე დაშვებული ადამიანებისთვის ვაკეთებ. ახლა ამერიკის ერთი დიდი შავი იმედი ვარ!"

ერთი სიტყვით, შენონ ბრიგსი ვლადიმირ კლიჩკოსთან ჩხუბს ცხოვრების შანსად მიიჩნევს. მადლობასაც კი უხდის შელი ფინკელს, ემანუელ სტიუარდსა და ვლადიმირ კლიჩკოს იმისთვის, რომ მას ასეთი შესაძლებლობა მისცეს.

"დედაჩემი ჰეროინზე იჯდა, მამა კი ციხეში მომიკვდა. ასე რომ, ყველა იმ ადამიანის მადლობელი ვარ, ვინც ასეთ შანსს მაძლევს. ასევე დიდი მადლობას ვუხდი ჩემს ყველა გულშემატკივარს და იმათ, ვინც მაკრიტიკებს, რადგან სწორედ ისინი მაიძულებენ თავდაუზოგავ შრომას. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ვლადიმირ კლიჩკოს თავს მოვაჭამ! დავამტკიცებ, რომ საუკეთესო მძიმეწონოსანი ვარ!"



შენონ ბრიგსს კლიჩკოს სადოქტორო ფეხებზე ჰკიდია.




## საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა

**ტენდერი ტექნიკური მომსახურების განმახორციელებელი ორგანიზაციის შერჩევაზე**

პროგრამის მართვის ცენტრი აცხადებს ტენდერს კვალიფიციური და გამოცდილი სააგენტოს დაქირავებაზე შემდეგი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით:

ტექნიკური მომსახურების განმახორციელებელმა უნდა უზრუნველყოს პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებული ფერმერული ასოციაციები სწავლებებით ორგანიზაციულ, მენეჯმენტის, ბიზნესის, დაგეგმვის, მარკეტინგის, კრედიტებისა და ბუღალტრულ საკითხებში. სწავლების მიზანია ასოციაციებს მიეცეთ ინსტიტუციონალური განვითრებისა და მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესების საშუალება.

საჭირო კვალიფიკაცია:

1. მუშაობის მინიმუმ 3-წლიანი პროფესიული გამოცდილება;
2. სწავლებების ჩატარების დამადასტურებელი გამოცდილება შესაბამის დარგებში;
3. საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება
4. ინფორმაცია შესაბამისი შტატის შესახებ;
5. მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების წარდგენის დამადასტურებელი გამოცდილება.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ კვალიფიკაციის და მოთხოვნების დამადასტურებელი საბუთები პროგრამის მართვის ცენტრში შემდეგ მისამართზე:
თბილისი, კოსტავას ქ. No 41, სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობა, V სართული, ოთახი 518; ტელ: 98 53 44; 93 22 35
ელექტრონული ფოსტა: pmu@rdpmha.org.ge

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელ: 98 53 44, საკონტაქტო პირი დალი ზოდელავა.

საბუთების წარდგენის ბოლო ვადა 28 ივლისი, 2006 წელი; 17:00 სთ.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" საბანკო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით აცხადებს ტენდერს და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.**

**საბანკო მომსახურება ითვალისწინებს:**

| ლოტი | დასახელება | დახასიათება | მოწოდების ადგილი | მოწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის შიდა ქართლის რეგიონალური ფილიალის სრული საბანკო მომსახურება | 1. რეგიონალური ფილილისათვის და ყველა ხურვის ცენტრისათვის მიმდინარე და მიზნობრივი საბანკო ანგარიშების გახსნა; 2. თანხის გადარიცხვა მიმდინარე საბანკო ანგარიშებიდან ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში; 3. თანხის ჩარიცხვა ეროვნულ ვალუტაში; 4. მიმდინარე ანგარიშიდან ეროვნული და უცხოური ვალუტის გატანა; 5. ეროვნული ვალუტის მიმდინარე ანგარიშზე შეტანა; 6. კომპანიის აბონენტების მომსახურება, ელექტროენერგიის გადასახადის მიღება მომსახურე ბანკის ფილიალებში; 7. ეროვნული და უცხოური ვალუტის საკონვერტაციო ოპერაციები; 8. ბანკი-კლიენტით მომსახურება; მითითებულ მისამართებზე არსებული მომსახურების ცენტრების ყოველდღიური საინკასაციო მომსახურება და თანხის აკუმულირება რეგიონალური ფილიალის მიმდინარე ანგარიშზე | 1. ქ. გორი რეგიონალური ფილიალი – ქ. გორი ამილახვრის №18; 2. მოსახლეობის მომსახურების ცენტრი– ქ. გორი ქორქაძის №10; 3. მოსახლეობის მომსახურების ცენტრი–ქ კასპი წულუკიძის №4 ; 4. მოსახლეობის მომსახურების ცენტრი – ქ.ხაშური გორკის ქ.№2; 5. მოსახლეობის მომსახურების ცენტრი- ქ ქარელი ბუხაიძის №18; 6. მოსახლეობის მომსახურების ცენტრი-ქგორი, ცხინვალის გზატკეცილი 4 | 15.08..2006-- 31.12.2006 |

**ტენდერის პირობები:**

1. ტენდერში გამარჯვებულის მიერ მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს **2006 წლის 15 აგვისტოდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული მომსახურების მოცულობისა და გასაწევი მომსახურების ჩამონათვალის გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

2. სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200(ორასი) ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **(ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ბანკის კოდი - 220101757, ანგარიშის ნომერი - 34032348, საიდენტიფიკაციო კოდი - 204434905) 2006 წ. 7 ივლისის 10:00 საათიდან 28 ივლისის 1500 საათამდე,** მისამართზე: **ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ N16ა, მეორე სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, ტელ 911192.**

3. პრეტენდენტმა 2006 წლის 26 ივლისიდან 2006 წლის 28 ივლისის 15:00 საათამდე, მისამართზე: **ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ N16ა, მეორე სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, ტელ 911192,** ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო წინადადებასთან ერთად, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები,რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციასა და დოკუმენტებს:

**- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: მისამართი-იურიდიული და ფაქტობრივი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები ;**
**- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);**
**- ცნობა საგადასახადოდან, რომ რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;**
**- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;**
**- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;**
**-შესაბამისი საქმიანობის ლიცენზიის ასლი;**

4. სატენდერო წინადადება ხელმოწერილ უნდა იქნეს ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.
5. სატენდერო წინადადება ძალაში უნდა დარჩეს 2006წ. 30 აგვისტოს ჩათვლით.
6. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
7. ტენდერში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.
8. დაგვიანებით შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.
9.დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - გივი ხვედაგურიძეს (სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორი) ტელეფონის ნომერი - 911192, 8(77)933930. მარჯანიშვილის ქ N16ა, 0102, თბილისი. giwi.khvedaguridze@uedc.ge

*სატენდერო კომისია*

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შ.პ.ს. "ბათუმის გემთსაშენი ქარხანა" (ქ.ბათუმი, მწვანე ქ.N1) აცხადებს ტენდერს ლითონის მილების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
დაფინანსების წყარო: საზოგადოების სახსრები.
შესყიდვის ობიექტი:

| საქონლის დასახელება | ლოტი N | ზომა | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ლითონისმილები | 1 | Ø 150 | 6 000 v |
| | 2 | Ø 100 | 4 000 v |
| | 3 | Ø 60 | 2 000 v |
| | 4 | Ø 114 | 2 000 v |

მიწოდების ადგილი: ქ.ბათუმი, მწვანე ქ.N1, შ.პ.ს. "ბათუმის გემთსაშენი ქარხანა. ყველა შესასყიდი საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის.
ტენდერის შედეგად გამოვლინებული ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული ვალდებული იქნება მიაწოდოს მილები მხარეების შორის შეთანხმებული გრაფიკის თანახმად.
დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 1 აგვისტომდე 18.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.ბათუმი, მწვანე ქ.N1, შ.პ.ს. "ბათუმის გემთსაშენი ქარხანა".
საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს,
იურიდიული პირებისათვის:
1. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
2. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
3. ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერის მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომანტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
4. ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის იდენტიფიკაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ)*
5. ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოებას (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
6. საქონლის წარმოშობის სერთიფიკატი.
ფიზიკური პირებისათვის:
1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან მონაწილეობის მსურველი ფიზიკური პირის რეგისტრაციის შესახებ;
2. ცნობას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახუროებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
3. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
4. საქონლის წარმოშობის სერთიფიკატი.
სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარი გადახდის შემდეგ მიიღონ სატენდერო დოკუმენტაცია.
სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტები:
შ.პ.ს. "ბათუმის გემთსაშენი ქარხანა"
ქ.ბათუმი, მწვანე ქ.N 1
სს ბანკი "რესპუბლიკა"
ბათუმის ფილიალი
გ.ს.ნ. 245386540
ანგარიში 500003405000014
კოდი: 220101794

პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ქეთევან ანთიძე, ტელ.: 877 43 69 26.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური აცხადებს ტენდერს სამკურნალწამლო, სახარჯ და შესახვევ მასალათა შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი: 302003000, ანგარიში N200122900, მიუთითოთ სსიპ-საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი 9 აპრილის (ჩიტაძის) N12, ოთახი 35, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.
2. შესყიდვის ობიექტია ქვემოტ დასახელებულ სამკურნალწამლო პრეპარატების ზირითადი ჯგუფები:

- კარდიოლოგია. ანგიოლოგია;
- ნევროლოგია. ფსიქიატრია;
- ანალგეზიური (ტკივილგამაყოჩებლები);
- ინფექციური დაავადებები. პარაზიტოლოგია;
- გასტროენტოლოგია. ჰეპატოლოგია;
- პულმონოლოგია;
- ალერგოლოგია. იმუნოლოგია;
- ენდოკრინოლოგია;
- ნივთიერებათა ცვლის დარღვევები;
- ჰემატოლოგია. ჰემოსტაზი;
- ანესთეზოლოგია. რეანიმაცია. ტრანსფუზიოლოგია;
- გინეკოლოგია;
- ოტალარინგოლოგია. უროლოგია.
- გარეგანი მოხმარების საშუალებები. დერმატოლოგია;
- დიაგნოსტიკური და ანტისეპტიური საშუალებები, სადენზინფექციო ხსნარები;
- ტოკსიკოლოგია;
- შესახვევი და სახარჯი მასალა.

დაინტერესებულ პირებს დეტალური ჩამონათვლის გაცნობა შეუძლიათ ქ. თბილისი 9 აპრილის "ჩიტაძის" N12.

3. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი 9 აპრილის (ჩიტაძის) N12
4. მიწოდების ვადები ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 2006 წლის ბოლომდე.
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 31 ივლისის 11.00 დან 13.00 მდე, მისამართზე: ქ. თბილისი 9 აპრილის "ჩიტაძის" N12
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე ყადაღა არ არის დადებული.
ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.
გ) სამკურნალწამლო საშუალებათა საბითუმო ვაჭრობის უფლება (ლიცენზია).

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.
9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: მერაბ გოცირიძე, ტელ: 99-70-69, 93-14-43, 877-41-58-24, 877-41-51-97.

*სატენდერო კომისია*

უცხო ქვეყნების არმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

## შ.პ.ს." ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური"
## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N187/ა
05. 07. 2006

დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისა და მომსახურების სატარიფო განაკვეთების შესახებ შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის" გენერალური დირექტორის 18.04.2006 წლის N96/ა ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

სანავსადგურე სამუშაობისა და მომსახურების სატარიფო განაკვეთების სრულყოფისა და შესაბამისად, საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული დატვირთვა გადმოტვირთვის სამუშაოებისა და მომსახურების სატარიფო განაკვეთებში გარკვეული ცვლილებების შეტანა, კერძოდ ცვლილების განხორციელება ბრძანების 16.4 და 16.5 პუნქტებში, რომლის თანახმადაც თხევადი ტვირთების გატარების გემი - ნავთობტერმინალი (16.4 მუხლი) ღირებულება დადგენილია 0.40 (აშშ დოლარი) და ნავთობტერმინალი - გემი (16.5. მუხლის) - ასევე 0.40 (აშშ დოლარი). საქმე იმაშია, რომ აღნიშნულ მომსახურებას ნავსადგურისაგან ღებულობს მხოლოდ ერთი სახელშეკრულებო პარტნიორი შპს "ოილ ტერმინალ ლტდ" და უახლოეს მომავალში შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის" ანალოგიური მომსახურების სხვა მიმღები ვერც ეყოლება. ამ უკანასკნელთან კი ნავსადგური დაკავშირებულია ვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობით, რომლის თანახმადაც თხევადი ტვირთის გატარებისა ტარიფები განსაზღვრულია 0.20 (აშშ დოლარი) ოდენობით, მაშასადამე შპს "ოილ ტერმინალ ლტდ"-ის მიმართ ნავსადგურს მოქმედი ხელშეკრულებით აღებული აქვს ვალდებულება, რომელიც არ შეესაბამება ბრძანებით დამტკიცებულ სატარიფო განაკვეთებს. სახელშეკრულებო ფასსა და სატარიფო განაკვეთებს შორის განსხვავების შემთხვევაში კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, რა თქმა უნდა მოქმედებს ხელშეკრულებით შეთანხმებული ტარიფი, ვინაიდან ჯერ ერთი შეთანხმებული ფასი, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, სავალდებულოა შესასრულებლად შესაბამისი მხარისათვის და მეორე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორის ბრძანება ვერანაირად ვერ ცვლის და არ შეიძლება ჩაითვალოს თავისთავად ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოცემული სატარიფო განაკვეთები, პრაქტიკულად ვეღარ გამოიყენება არსებული სახელშეკრულებო ვალდებულების განსხვავებული მოწესრიგების გამო, ვინაიდან აღნიშნული მომსახურების მიმღები არის მხოლოდ ერთი სუბიექტი და სხვა კონტრაჰენტი ნავსადგურს ვერ ეყოლება ბაზარზე არსებული რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე (ნავსადგურის საქმიანობის ადგილის მიხედვით აღნიშნულ მომსახურებაზე მონოპოლიური მდგომარეობა უჭირავს შპს "ოილ ტერმინალ ლტდ"-ს, რომელთანაც შებოჭილი ვართ სახელშეკრულებო ვალდებულებით 0.20 აშშ დოლარის ოდენობით), ვინაიდან საწარმოს მიერ დადგენილი მოცემული სატარიფო განაკვეთით მოსარგებლე სხვა არავინაა, ტარიფის ბრძანების დონეზე დატოვება მხოლოდ ფორმალური ნიშნის მატარებლად რჩება და მას არანაირი სამართლებრივი შედეგი თუ მნიშვნელობა ვეღარ ენიჭება და მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა შეიძინა, შესაძლო გაურკვევლობისა და ბუნდოვანობის თავიდან აცილების მიზნით, ნავსადგურის ზემოთ მოცემული მომსახურებიდან მიღებული, რეალური შემოსავლებისა და შესაბამისი ტარიფების ერთმანეთთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გამო

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისა და მომსახურების სატარიფო განაკვეთების შესახებ შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის" გენერალური დირექტორის 18.04.2006 წლის N96/ა ბრძანებაში, კერძოდ მისი მე-16 მუხლის (თხევადი ტვირთები) მე-4 და მე-5 პუნქტებში შეტანილი იქნას ცვლილება, კერძოდ, ბრძანების 16.4 და 16.5 პუნქტები, თხევადი ტვირთების გატარების ტარიფები გემი - ნავთობტერმინალი (16.4 მუხლი) ღირებულება განისაზღვროს 0.20 აშშ დოლარის ოდენობით და ნავთობტერმინალი - გემი (16.5. მუხლის) - ასევე 0.20 აშშ დოლარის ოდენობით და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.4. | გემი – ნავთობტერმინალი (გატარება) | ტონა | | | 0,20 |
| 16.5. | ნავთობტერმინალი – გემი (გატარება) | ტონა | | | 0,20 |

2. წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული სატარიფო განაკვეთები გავრცელდეს 2005 წლის პირველი იანვრიდან პერიოდზე.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
საფუძველი: შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილება (დირექტორთა საბჭოს 01.06.06 წ. სხდომის ოქმი N )

შ.პ.ს." ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური"

# განცხადება

## ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, გრიშაშვილის ქუჩაზე, N18 საშუალო სკოლის მოპირდაპირედ არსებული 870 კვ.მ. თავისუფალი მიწის ნაკვეთის სარგებლობაში 5 წლით იჯარით განკარგვის მიზნით

**ქალაქ ბათუმის მთავრობა**

1-01-25 / 15-4 N 186 " 3 " ივლისი 2006 წ.

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**

ქალაქ ბათუმში, გრიშაშვილის ქუჩაზე, N18 საშუალო სკოლის მოპირდაპირედ არსებული 870 კვ.მ. თავისუფალი მიწის ნაკვეთის სარგებლობაში 5 წლით იჯარით განკარგვაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქ. ბათუმის მთავრობა აღნიშნავს, რომ მიზანშეწონილია თანამედროვე სავაჭრო რიგის (პავილიონების) მშენებლობის მიზნით ქ. ბათუმში, გრიშაშვილის ქუჩაზე N18 საშუალო სკოლის მოპირდაპირედ არსებული 870 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში (იჯარა) განკარგვაზე კონკურსის გამოცხადება.

"ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქარ-თველოს ორგანული კანონის, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის N65 ბრძანების შესაბამისად,

ქალაქ ბათუმის მთავრობა ა დ გ ე ნ ს :

1. თანამედროვე სავაჭრო რიგის (პავილიონების) მშენებლობის მიზნით ქ. ბათუმში, გრიშაშვილის ქუჩაზე N18 საშუალო სკოლის მოპირდაპირედ არსებული 870 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 5 წლიანი იჯარით განკარგვაზე გამოცხადდეს კონკურსი.

2. დამტკიცდეს თანდართული საკონკურსო პირობები.

3. დაევალოს ქალაქ ბათუმის მთავრობასთან არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიას ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებული საკონკურსო და კანონმდებ-ლობით გათვალისწინებული სხვა პირობების საფუძველზე შეადგინოს სათანადო საინფორმაციო პაკეტი.

4. ქალაქ ბათუმის მთავრობასთან არსებულმა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიამ პრესაში გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) კონკურსის ორგანიზატორის დასახელება;

ბ) საკონკურსო პირობები;

გ) ძირითადი მახასიათებლები საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტიდან;

დ) განცხადების მიღების დაწყების, დამთავრების და კონკურსის ჩატარების თარიღები;

ე) კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელი შენატანის სახით "ზე"-ს (შემდგომში სადეპონენტო თანხა) ოდენობა;

ვ) კომისიის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;

ზ) განმცხადებელთა წინადადებების შემცველი კონვერტის გახსნის თარიღი, დრო და ადგილი.

5. კონკურსში მონაწილეობისათვის თვითოეულმა პრეტენდენტმა აუცილებე-ლი შენატანის სახით შეიტანოს 130,5 ლარი 870 კვ.მ. მიწის წლიური საიჯარო ქირის 2610 ლარის 5%.

6. კონკურსში მონაწილეობის მსურველთაგან განცხადების მიღება გან-ხორციელდეს მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის მიერ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. წინამდებარე დადგენილება გადაეგზავნოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს და ეთხოვოს "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მოახდინოს დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის (ქ. ბათუმის მერია) სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა.

8. დადგენილება გამოქვეყნდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. დადგენილების შესრულება დაევალოს ქალაქ ბათუმის მთავრობასთან არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს (რ. ჩხაიძე) და კომისიის ტექნიკურ მდივანს (ო. მჟავანაძე).

10. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამარ-თლოში (ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N5) მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში.

11. დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

**მერის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი თავართქილაძე**

**დანართი**
**"დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა"**
**ქალაქ ბათუმის მთავრობის დადგენილება**
**2006 წლის 3 ივლისის N186**
**ქალაქ ბათუმში, გრიშაშვილის ქუჩაზე N18 საშუალო სკოლის მოპირდაპირედ არსებული 870 კვმ თავისუფალი მიწის ნაკვეთის 5 წლით სარგებლობაში (იჯარა) განკარგვის**

**საკონკურსო პირობები**

**შესავალი**

ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 3 ივლისის N186 დადგენილების შესაბამისად თანამედროვე სავაჭრო რიგის (პავილიონების) მშენებლობის მიზნით ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, გრიშაშვილის ქუჩაზე, N18 საშუალო სკოლის მოპირდაპირედ არსებული 870 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 5 წლიანი იჯარით განკარგვაზე.

**1. კონკურსის მიზანი:**

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, გრიშაშვილის ქუჩაზე N18 საშუალო სკოლის მოპირდაპირედ არსებული 870 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 5 წლიანი იჯარით განკარგვა თანამედროვე ტიპის სავაჭრო რიგის (პავილიონები) მშენებლობისათვის.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ:**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, გრიშაშვილის ქუჩა, N18 საშუალო სკოლის მოპირდაპირედ;

მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: იჯარა;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - თანამედროვე ტიპის სავაჭრო რიგის (პავილიონები) მშენებლობა.

მიწის ნაკვეთის ფართობი: 870 კვმ;

მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 3 ლარი, სულ 2610 ლარი.

იჯარის ხელშეკრულების ვადა: 5 წელი.

**3. საკონკურსო პირობები:**

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. მიწის ნაკვეთის საწყისი საიჯარო ფასი ყველა მონაწილესათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 3 ლარს, სულ 2610 ლარს, ხოლო იჯარის ხელშეკრულების ვადა 5 წელს;

2. სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე თანამედროვე ტიპის სავაჭრო რიგის (პავილიონები) მშენებლობა.

3. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 1 თვისა და დაასრულოს მშენებლობის ნებართვის მიღებიდან 3 თვის ვადაში.

4. საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს თანამედროვე ტიპის სავაჭრო ობიექტების მშენებლობა.

5. კონკურსში გამარჯვებულმა ძირითადად უნდა უზრუნველყოს მომხმარებელთა მაღალი დონის მომსახურება, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, სანიტარული და ჰიგიენური წესების დაცვა. გამარჯვებული (შემდგომში მოიჯარე - ოპერატორი) ვალდებულია დაასუფთავოს მასზე განპირობებული და მიმდებარე ტერიტორია, არ შექმნას დისკომფორტი და უზრუნველყოს საკანალიზაციო და ნარეცხი წყლების ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში ჩართვა.

6. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია უზრუნველყოს პროექტების წარმოდგენა და ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან სათანადო შეთანხმების შემდეგ, ერთიანი გენგეგმის მიხედვით მათი რეალიზება.

7. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული იჯარის ხელშეკრულების მოიჯარის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მოიჯარის მიერ იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელობლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები:**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, მათ შორის ისეთი საპროექტო წინადადება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სარგებლობაში (იჯარა) გადასაცემ მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი ობიექტების არქიტექტურული ერთიანობა, შემოთავაზებული მაღალი საიჯარო ქირა, სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები:**

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარისწორებო ანგარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმე-დებს სხვა პირის სახელით.

3. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

4. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიაზე განთავსებული კომერციული დანიშნულების ობიექტების შესახებ. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით A3 ფორმატში, ზამბარაზე აკინძული, ლამინირებული-2 ეგზემპლარი კომპიუტერულ ვერსიასთან და მოკლე ანოტაციასთან ერთად). პროექტში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

5. კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის თვითოეულმა პრეტენდენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 130,5 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 870 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის 2610 ლარის 5%-ს.

აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმებისათვის და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება 1000 ლარის გადახდა.

**6. სხვა პირობები**

1. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

2. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურ-სო პროცესში მონაწილეობისათვის.

3. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

4. კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 14 აგვისტოს, 15.00 სთ-ზე.

5. კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 14 აგვისტოს, 16.00 სთ-ზე.

6. კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ზე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102
მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

# განცხადება

## ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, აღმაშენებლის ქ. N19ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირედ არსებული 288 კვ.მ. თავისუფალი მიწის ნაკვეთის სარგებლობაში 11 წლიანი იჯარით განკარგვის მიზნით

**ქალაქ ბათუმის მთავრობა**

1-01-25 / 15-5 N 187 " 3 " ივლისი 2006 წ.

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**

ქალაქ ბათუმში, აღმაშენებლის ქ. N19ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირედ არსებული 288 კვ.მ. თვისუფალი მიწის ნაკვეთის სარგებლობაში 11 წლიანი იჯარით განკარგვაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქ. ბათუმის მთავრობა აღნიშნავს, რომ მიზანშეწონილია თანამედროვე სავაჭრო რიგის (პავილიონების) მშენებლობის მიზნით ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. N19ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირედ არსებული 288 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში (იჯარა) განკარგვაზე კონკურსის გამოცხადება.

"ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქარ-თველოს ორგანული კანონის, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულე-ბის მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის N65 ბრძანების შესაბამისად,

**ქალაქ ბათუმის მთავრობა ა დ გ ე ნ ს :**

1. თანამედროვე სავაჭრო რიგის (პავილიონების) მშენებლობის მიზნით ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. N19ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მოპირ-დაპირედ არსებული 288 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 11 წლიანი იჯარით განკარგვაზე გამოცხადდეს კონკურსი.

2. დამტკიცდეს თანდართული საკონკურსო პირობები.

3. დაევალოს ქალაქ ბათუმის მთავრობასთან არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიას ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებული საკონკურსო და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობების საფუძველზე შეადგინოს სათანადო საინფორმაციო პაკეტი.

4. ქალაქ ბათუმის მთავრობასთან არსებულმა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიამ პრესაში გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) კონკურსის ორგანიზატორის დასახელება;

ბ) საკონკურსო პირობები;

გ) ძირითადი მახასიათებლები საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტიდან;

დ) განცხადების მიღების დაწყების, დამთავრების და კონკურსის ჩატარების თარიღები;

ე) კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელი შენატანის სახით "ზე"-ს (შემდგომში სადეპონენტო თანხა) ოდენობა;

ვ) კომისიის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;

ზ) განმცხადებელთა წინადადებების შემცველი კონვერტის გახსნის თარიღი, დრო და ადგილი.

5. კონკურსში მონაწილეობისათვის თვითოეულმა პრეტენდენტმა აუცილებელი შენატანის სახით შეიტანოს 43,2 ლარი 288 კვ.მ. მიწის წლიური საიჯარო ქირის 864 ლარის 5%.

6. კონკურსში მონაწილეობის მსურველთაგან განცხადების მიღება გან-ხორციელდეს მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის მიერ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. წინამდებარე დადგენილება გადაეგზავნოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს და ეთხოვოს "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მოახდინოს დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის (ქ. ბათუმის მერია) სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა.

8. დადგენილება გამოქვეყნდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. დადგენილების შესრულება დაევალოს ქალაქ ბათუმის მთავრობასთან არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს (რ. ჩხაიძე) და კომისიის ტექნიკურ მდივანს (ო. მჟავანაძე).

10. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამარ-თლოში (ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N5) მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში.

11. დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

**მერის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი თავართქილაძე**

**"დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა"**
**ქალაქ ბათუმის მთავრობის დადგენილება**
**2006 წლის 3 ივლისის N187**
**ქალაქ ბათუმში, აღმაშენებლის ქ. N19ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირედ არსებული 288 კვ.მ. თავისუფალი მიწის ნაკვეთის 11 წლით სარგებლობაში (იჯარა) განკარგვის**

**საკონკურსო პირობები**

**შესავალი**

ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 3 ივლისის N187 დადგენილების შესაბამისად თანამედროვე სავაჭრო რიგის (პავილიონების) მშენებლობის მიზნით ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმში, აღმაშენებლის ქ. N19ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირედ არსებული 288 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 11 წლიანი იჯარით განკარგვაზე.

**1. კონკურსის მიზანი:**

კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქ. N19ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირედ არსებული 288 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 11 წლიანი იჯარით განკარგვა თანამედროვე ტიპის სავაჭრო რიგის (პავილიონები) მშენებლობისათვის.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ:**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, აღმაშენებლის ქ. N19ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირედ;

მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: იჯარა;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - თანამედროვე ტიპის სავაჭრო რიგის (პავილიონები) მშენებლობა.

მიწის ნაკვეთის ფართობი: 288 კვ.მ.

მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი 1 კვ.მ-ზე - 3 ლარი, სულ 864 ლარი.

იჯარის ხელშეკრულების ვადა: 11 წელი.

**3. საკონკურსო პირობები:**

კონკურსის ძირითადი პირობებია:

1. მიწის ნაკვეთის საწყისი საიჯარო ფასი ყველა მონაწილესათვის ერთნაირია და შეადგენს 1 კვ.მ. 3 ლარს, სულ 864 ლარს. ხოლო იჯარის ხელშეკრულების ვადა 11 წელს;

2. სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე თანამედროვე ტიპის სავაჭრო რიგის (პავილიონები) მშენებლობა;

3. კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია მშენებლობა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 1 თვისა და დაასრულოს მშენებლობის ნებართვის მიღების დღიდან 3 თვის ვადაში.

4. საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს თანამედროვე ტიპის სავაჭრო ობიექტების მშენებლობა;

5. კონკურსში გამარჯვებულმა ძირითადად უნდა უზრუნველყოს მომხმარებელთა მაღალი დონის მომსახურეობა, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და სანიტარული და ჰიგიენური წესების დაცვა. გამარჯვებული (შემდგომში მოიჯარე - ოპერატორი) ვალდებულია დაასუფთავოს მასზე განპირობებული და მიმდებარე ტერიტორია, არ შექმნას დისკომფორტი და უზრუნველყოს საკანალიზაციო და ნარეცხი წყლების ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში ჩართვა.

6. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია უზრუნველყოს პროექტების წარმოდგენა და ქ. ბათუმის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის ადგილობრივ სამსახურთან სათანადო შეთანხმების შემდეგ ერთიანი გენგეგმის მიხედვით მათი რეალიზება;

7. საკონკურსო წინადადება ითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი და მათი შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმების, გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების ან დადებული ხელშეკრულების მოშლისათვის. კონკურსში გამარჯვებულთან დადებული იჯარის ხელშეკრულების მოიჯარის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს ასევე მოიჯარის მიერ იჯარით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე საკონკურსო წინადადებით დადგენილ ვადაში მშენებლობის განუხორციელობლობა ან/და სხვა საკონკურსო პირობების დარღვევა.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობები:**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის პირობაა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება, მათ შორის ისეთი საპროექტო წინადადება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სარგებლობაში (იჯარა) გადასაცემ მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი ობიექტების არქიტექტურული ერთიანობა, შემოთავაზებული მაღალი საიჯარო ქირა, სხვა პირობები და მომსახურების სახეები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება მიჩნეული.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები:**

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს;

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის სა-პროექტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარისწორებო ანგარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმე-დებს სხვა პირის სახელით;

3. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას;

4. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიაზე განთავსებული კომერციული დანიშნულების ობიექტების შესახებ. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით a3 ფორმატში, ზამბარაზე აკინძული, ლამინირებული-2 ეგზემპლიარი კომპიუტერულ ვერსიასთან და მოკლე ანოტაციასთან ერთად). პროექტში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოყენება და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი და ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესახებ.

5. კონკურსში მონაწილეობის გარანტიისათვის თვითოეულმა პრეტენდენტმა კომისიის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს დეპოზიტი 43,2 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს 288 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის 864 ლარის 5%-ს.

აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს საფუძველს კონკურსის შედეგების გაუქმებისათვის და გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმისათვის, რა დროსაც კონკურსში გამარჯვებულს პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება 1000 ლარის გადახდა.

**6. სხვა პირობები**

1. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრების შემდეგ არა უგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

2. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურ-სო პროცესში მონაწილეობისათვის.

3. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური, ლუკა ასათიანის ქ. N25. ტელ: 7-26-45; 7-20-03.

4. კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2006 წლის 14 აგვისტოს, 15.00 სთ-ზე.

5. კომისიის სხდომაზე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2006 წლის 14 აგვისტოს, 16.00 სთ-ზე.

6. კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ზე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102
მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

# განცხადება

## ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს აუქციონს ქ. ბათუმში, მელიქიშვილის მე-3 შესახვევი, N21-ში მდებარე 400 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვის მიზნით

**ქალაქ ბათუმის მთავრობა**

1-01-25 / 15-6 N 188 " 3 " ივლისი 2006 წ.

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**

ქ. ბათუმში, მელიქიშვილის მე-3 შესახვევი, N21-ში მდებარე 400 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე აუქციონის გამოცხადების შესახებ

ქ. ბათუმის მთავრობა აღნიშნავს, რომ მიზანშეწონილია ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ხელშეწყობის მიზნით მოხდეს ქ. ბათუმში, მელიქიშვილის მე-3 შესახვევი, N21-ში მდებარე 400 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვა, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის 12 ივნისის N2102 წერილის თანახმად საკუთრების უფლებით ირიცხება ქ. ბათუმის მერიის სახელზე.

"ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფ-ლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანი-შნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის N65 ბრძანების შესაბამისად,

ქალაქ ბათუმის მთავრობა ა დ გ ე ნ ს :

1. ქ. ბათუმში, მელიქიშვილის მე-3 შესახვევი, N21-ში მდებარე N15 საბავშვო ბაღზე რიცხული მიწის ნაკვეთიდან გამოყოფილ იქნეს 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მისი საკუთრებაში განკარგვაზე გამოცხადდეს აუქციონი;
2. მიწის ნაკვეთის საწყის გასაყიდ ფასად დაწესდეს 10 000 ლარი;
3. აუქციონის მონაწილის მიერ ერთი განცხადების შეთავაზების ოდენობად (ბიჯი) დაწესდეს არანაკლები 400 ლარი.
4. დამტკიცდეს აუქციონის თანდართული პირობები;
5. დაევალოს ქალაქ ბათუმის მთავრობასთან არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიას ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებული აუქციონის და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობების საფუძველზე შეადგინოს სათანადო საინფორმაციო პაკეტი;
6. აუქციონში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა აუცილებელი შენატანის სახით უნდა შეიტანოს 500 (ხუთასი) ლარი, რაც წარმოადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 10 000 ლარის 5%-ს.
7. აუქციონში მონაწილეობის მსურველთაგან განცხადებების მიღება აუქციონში მონაწილეობაზე განხორციელდეს დადგენილებისა და დამტკიცებული აუქციონის პირობების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
8. ეთხოვოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს წინამდებარე დადგენილებაში მითითებული მიწის ნაკვეთის ცალკე მიწის ნაკვეთად ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართვე-ლობის (ქ. ბათუმის მერია) სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა და საკადასტრო რუკის შედგენა "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.
9. წინამდებარე დადგენილება გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.
10. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქ. ბათუმის მთავრობასთან არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს (რ. ჩხაიძე) და კომისიის ტექნიკურ მდივანს (ო. მჟავანაძე).
11. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N5) მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.
12. დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

**მერის მოვალეობის**
**შემსრულებელი ირაკლი თავართქილაძე**

**"დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა"**
ქალაქ ბათუმის მთავრობის დადგენილება
2006 წლის 3 ივლისის N188
ქალაქ ბათუმში, მელიქიშვილის (ქ) მე-3 შესახვევი N21-ში
მდებარე 400 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის
საკუთრებაში განკარგვაზე აუქციონის **ჩატარების პირობები**

**შესავალი**

ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 3 ივლისის N188 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს აუქციონს ქალაქ ბათუმში, მელიქიშვილის (ქ) მე-3 შესახვევი N21-ში მდებარე 400 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე.

**1. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ:**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქ ბათუმი, მელიქიშვილის (ქ) მე-3 შესახვევი N21.
მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: აუქციონი;
მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: საკუთრება;
მიწის ნაკვეთის ფართობი: 400 (ოთხასი) კვ.მ;
მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - 10 000 ლარი (ათი ათასი).

**2. აუქციონის პირობები და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

1. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი ყველა მონაწილისათვის ერთნაირია და შეადგენს სულ 10 000 ლარს (ათი ათასი).
2. ერთი შემოთავაზება ფასის შესახებ (ბიჯი) უნდა იყოს არანაკლებ 400 (ოთხასი) ლარის ოდენობის.
3. აუქციონში გამარჯვების პირობაა მაღალი გასაყიდი ფასის შემოთავაზე-ბა.
4. გამარჯვებულის მიერ ფასის გადახდა უნდა მოხდეს აუქციონის შედეგების ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში სრულად და ერთჯერადად.
5. გამარჯვებულის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება როგორც წესი უნდა მოხდეს აუქციონის შედეგების ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში, რის შემდეგაც გამარჯვებულს უფლება ეძლევა მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით აღრიცხოს საჯარო რეესტრში.
6. ქ. ბათუმის მთავრობის მიერ აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში გამარჯვებულის მიერ ფასის სრულად და ერთჯერადად გადაუხდელობის შემთხვევაში მას ჩამოერთმევა გამარჯვებულის სტატუსი. ასეთ შემთხვევაში, "ბე"-ს სახით გადახდილი თანხა უკან არ დაბრუნდება.

**3. აუქციონში მონაწილეობის უფლების მოპოვება**

1. აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ საქართველოს მოქალაქეს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ ნებისმიერ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.
2. აუქციონში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის პირმა კომისიის ტექნიკურ მდივანთან უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1. ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) "ბე"-ს შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასის - 10 000 ლარის 5%-ის 500 (ხუთასი) ლარის გადახდას ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართვე-ლობის საანგარიშსწორებო ანგარიშზე.
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
დ) თუ პირი მონაწილეობს წარმომადგენლის მეშვეობით, ნოტარიალუ-რად დამოწმებული მინდობილობა და რწმუნებულის პირადობის დამადასტურე-ბელი დოკუმენტის ასლი.

2.2. იურიდიულმა პირებმა 2.1. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა დამატებით უნდა წარმოადგინონ:
ა) საზოგადოების წესდება ან მისი ნოტარიალურად დამოწმებული ასლი;
ბ) ძალაში მყოფი სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი:
გ) პარტნიორთა კრების ნოტარიალურად დამოწმებული ოქმი აუქციონის წესით განსაკარგავი ქონების შეძენის თაობაზე.

2.3. მითითებული დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ რეგისტრატორი რეგისტრაციაში ატარებს აუქციონში მონაწილეობის მსურველებს და აძლევს მას აუქციონის ბილეთს და სავაჭრო ბარათს.

**4. აუქციონის ჩატარების წესი:**

1. აუქციონში მონაწილეობა შეუძლია იმ პირს, რომელმაც დადგენილი წესით გაიარა რეგისტრაცია და მიიღო სავაჭრო ბარათი.
2. აუქციონის დაწყებამდე კომისია ამოწმებს მონაწილეთა აუქციონზე დაშვების კანონიერებას.
3. აუქციონის დაწყებამდე კომისიის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან ნიშნავს აუქციონერს, რომელიც უშუალოდ უზრუნველყოფს აუქციონის ჩატარებას.
4. ვაჭრობა იწყება აუქციონერის მიერ ვაჭრობის დაწყებულად და საწყისი გასაყიდი ფასის გამოცხადების შემდეგ.
5. ვაჭრობის დროს აუქციონის თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს მოახდინოს განცხადების (ბიჯი) შეთავაზება ფასის თაობაზე, რომელიც არ უნდა იყოს დაწესებულ ბიჯზე ნაკლები.
6. თუ აუქციონში მონაწილეობს მხოლოდ ერთი მონაწილე სავალდებულოა მის მიერ Fფასის თაობაზე ერთი განცხადების (ბიჯი) შეთავაზება მაინც.
7. ვაჭრობა დამთავრებულად ითვლება თუ აუქციონერმა ორჯერ მოითხოვა საბოლოო განცხადების (ბიჯი) შეთავაზება ფასის თაობაზე და ასეთი ვერ მიიღო.
8. ვაჭრობაში გამარჯვებულად ავტომატურად ითვლება, ვინც აუქციონერს შესთავაზა ბოლო განცხადება ფასის თაობაზე. გამარჯვებულს აცხადებს აუქციონერი.
9. აუქციონს დასრულებულად აცხადებს აუქციონერი.
10. აუქციონში გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება როგორც წესი ხდება აუქციონის შედეგების ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებიდან 30 დღის ვადაში. ხელშეკრულების გაფორმებისას აუქციონში გამარჯვებულის მიერ სრულად უნდა იყოს გადახდილი ფასი.

**5. სხვა პირობები**

1. აუქციონი გაიმართება 2006 წლის 11 აგვისტოს 16 სთ-ზე. მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25, მეორე სართული, სააქტო დარბაზი.
2. აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაციას და აუქციონის ბილეთის, ასევე სავაჭრო ბარათის გაცემას ახდენს რეგისტრატორი - ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსი გელა მახარაძე მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25, მეორე სართული, ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატის იურიდიული სამსახური. ტელ: 7-26-10.
3. აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაცია იწარმოებს 2006 წლის 10 ივლისიდან 2006 წლის 11 აგვისტოს 15 სთ-მდე.
4. აუქციონში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:
აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102.
მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი - 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402.
5. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები, პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომელსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.
6. აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაცია წარმოებს ზონარგაყრილ და დანომრილ წიგნში.

# განცხადება

## ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს აუქციონს ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 18 800 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვის მიზნით

**ქალაქ ბათუმის მთავრობა**

1-01-25 / 15-7 N 189 " 3 " ივლისი 2006 წ.

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**

ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 18 800 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე აუქციონის გამოცხადების შესახებ

ქ. ბათუმის მთავრობა აღნიშნავს, რომ მიზანშეწონილია მოხდეს ქ. ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 18 800 კვ.მ. მიწის საკუთრებაში განკარგვაზე აუქციონის გამოცხადება, რომელზეც შპს "სტროიმონტაჟი"-ს მიერ მიმდინარეობდა საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ შპს "სტროიმონტაჟი"-ს მიერ საკუთრებაში განსაკარგავ მიწის ნაკვეთზე მშენებლობა მიმდინარეობდა უკანონოდ. კერძოდ, მოცემულ იურიდიულ პირს მიწის ნაკვეთზე არ გააჩნდა საკუთრების უფლება. 2005 წლის 5 აპრილის N55 დადგენილებით გამოცხადდა კონკურსი აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე, რომელშიც ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 17 ივნისის N120 დადგენილებით გამარჯვებულად გამოვლინდა შპს "სტროიმონტაჟ ბათუმი". გამარჯვებულ პირს კონკურსში მისი გამარჯვების შესახებ შეტყობინება გაეგზავნა 2005 წლის 21 ივნისს და გაფრთხილდა, რომ დადგენილ 30 დღიან ვადაში უზრუნველეყო ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება, რაც შპს "სტროიმონტაჟ ბათუმ"-მა არ განახორციელა. აღნიშნულის გამო ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 25 აპრილის N114 დადგენლებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 17 ივნისის N120 დადგენილება. აღნიშნულ მიზეზთა გამო დაუყოვნებლივ საჭიროა მოხდეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის ათვისება და მისი კეთილმოწყობა.

"ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის N65 ბრძანების შესაბამისად,

ქალაქ ბათუმის მთავრობა ა დ გ ე ნ ს :

1. ქ. ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 18 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე გამოცხადდეს აუქციონი.
2. მიწის ნაკვეთის საწყის გასაყიდ ფასად დაწესდეს 1 830 000 (ერთი მილიონ რვაას ოცდაათი ათასი) ლარი.
3. აუქციონის მონაწილის მიერ ერთი განცხადების შეთავაზების (ბიჯი) ოდენობად დაწესდეს არანაკლებ 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.
4. დამტკიცდეს აუქციონის თანდართული პირობები.
5. დაევალოს ქალაქ ბათუმის მთავრობასთან არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიას ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებული აუქციონის და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობების საფუძველზე შეადგინოს სათანადო საინფორმაციო პაკეტი.
6. აუქციონში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა აუცილებელი შენატანის სახით უნდა შეიტანოს 91 500 (ოთხმოცდათერთმეტი ათას ხუთასი) ლარი, რაც წარმოადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 1 830 000 ლარის 5%-ს.
7. აუქციონში მონაწილეობის მსურველთაგან განცხადებების მიღება აუქციონში მონაწილეობაზე განხორციელდეს დადგენილებისა და დამტკიცე-ბული აუქციონის პირობების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
8. ეთხოვოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს წინამდებარე დადგენილებაში მითითებული მიწის ნაკვეთის ცალკე მიწის ნაკვეთად ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართვე-ლობის (ქ. ბათუმის მერია) სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა და საკადასტრო რუკის შედგენა "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.
9. წინამდებარე დადგენილება გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.
10. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქ. ბათუმის მთავრობასთან არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს (რ. ჩხაიძე) და კომისიის ტექნიკურ მდივანს (ო. მჟავანაძე).
11. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N5) მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.
12. დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

**მერის მოვალეობის**
**შემსრულებელი ირაკლი თავართქილაძე**

დანართი
"დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა"
ქალაქ ბათუმის მთავრობის დადგენილება
2006 წლის 3 ივლისის N189
ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე
18 800 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების
მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე აუქციონის **ჩატარების პირობები**

**შესავალი**

ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 3 ივლისის N189 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს აუქციონს ქალაქ ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 18 800 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე

**1. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ:**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, რუსთაველის ქუჩა;
მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: აუქციონი;
მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: საკუთრება;
მიწის ნაკვეთის ფართობი: 18 800 კვ.მ;
მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - 1 830 000 (ერთი მილიონ რვაას ოცდაათი ათასი) ლარი;

**2. აუქციონის პირობები და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

1. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი ყველა მონაწილისათვის ერთნაირია და შეადგენს - 1 830 000 (ერთი მილიონ რვაასოცდაათი ათასი) ლარს.
2. ერთი შემოთავაზება ფასის შესახებ (ბიჯი) უნდა იყოს არანაკლებ 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობის.
3. აუქციონში გამარჯვების პირობაა მაღალი გასაყიდი ფასის შემოთავაზე-ბა.
4. გამარჯვებულის მიერ ფასის გადახდა უნდა მოხდეს აუქციონის შედეგების ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში სრულად და ერთჯერადად.
5. გამარჯვებულის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება როგორც წესი უნდა მოხდეს აუქციონის შედეგების ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში, რის შემდეგაც გამარჯვებულს უფლება ეძლევა მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით აღრიცხოს საჯარო რეესტრში.
6. ქ. ბათუმის მთავრობის მიერ აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში გამარჯვებულის მიერ ფასის სრულად და ერთჯერადად გადაუხდელობის შემთხვევაში მას ჩამოერთმევა გამარჯვებულის სტატუსი. ასეთ შემთხვევაში, "ბე"-ს სახით გადახდილი თანხა უკან არ დაბრუნდება.

**3. აუქციონში მონაწილეობის უფლების მოპოვება**

1. აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ საქართველოს მოქალაქეს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ ნებისმიერ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.
2. აუქციონში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის პირმა რეგის-ტრატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1. ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) "ბე"-ს შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასის - 1 830 000 ლარის 5%-ის 91 500 (ოთხმოცდათერთმეტი ათას ხუთასი) ლარის გადახდას ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის საანგარიშსწორებო ანგარიშზე.
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
დ) თუ პირი მონაწილეობს წარმომადგენლის მეშვეობით, ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა და რწმუნებულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.
ე) ყველა იმ ვალდებულების საკუთარ თავზე აღების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეიძლება წარმოეშვას ქ. ბათუმის ადგილობრივ თვითმმართველობას (ქ. ბათუმის მერია) შპს "სტროიმონტაჟ - ბათუმი"-ს მიმართ, საკუთრებაში განსაკარგ მიწის ნაკვეთზე მის მიერ აშენებული შენობა-ნაგებობის ღირებულებასთან დაკავშირებით.

2.2. იურიდიულმა პირებმა 2.1. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა დამატებით უნდა წარმოადგინონ:
ა) საზოგადოების წესდება ან მისი ნოტარიალურად დამოწმებული ასლი;
ბ) ძალაში მყოფი სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი:
გ) პარტნიორის კრების ნოტარიალურად დამოწმებული ოქმი აუქციონის წესით განსაკარგავი ქონების შეძენის თაობაზე.
დ) პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება 2.1. პუნქტის "ე " ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების აღების თაობაზე.

2.3. მითითებული დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ რეგისტრატორი რეგისტრაციაში ატარებს აუქციონში მონაწილეობის მსურველებს და აძლევს მას აუქციონის ბილეთს და სავაჭრო ბარათს.

**4. აუქციონის ჩატარების წესი:**

1. აუქციონში მონაწილეობა შეუძლია იმ პირს, რომელმაც დადგენილი წესით გაიარა რეგისტრაცია და მიიღო სავაჭრო ბარათი.
2. აუქციონის დაწყებამდე კომისია ამოწმებს მონაწილეთა აუქციონზე დაშვების კანონიერებას.
3. აუქციონის დაწყებამდე კომისიის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან ნიშნავს აუქციონერს, რომელიც უშუალოდ უზრუნველყოფს აუქციონის ჩატარებას.
4. ვაჭრობა იწყება აუქციონერის მიერ ვაჭრობის დაწყებულად და საწყისი გასაყიდი ფასის გამოცხადების შემდეგ.
5. ვაჭრობის დროს აუქციონის თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს მოახდინოს განცხადების (ბიჯი) შეთავაზება ფასის თაობაზე, რომელიც არ უნდა იყოს დაწესებულ ბიჯზე ნაკლები.
6. თუ აუქციონში მონაწილეობს მხოლოდ ერთი მონაწილე სავალდებულოა მის მიერ Fფასის თაობაზე ერთი განცხადების (ბიჯი) შეთავაზება მაინც.
7. ვაჭრობა დამთავრებულად ითვლება თუ აუქციონერმა ორჯერ მოითხოვა საბოლოო განცხადების (ბიჯი) შეთავაზება ფასის თაობაზე და ასეთი ვერ მიიღო.
8. ვაჭრობაში გამარჯვებულად ავტომატურად ითვლება, ვინც აუქციონერს შესთავაზა ბოლო განცხადება ფასის თაობაზე. გამარჯვებულს აცხადებს აუქციონერი.
9. აუქციონს დასრულებულად აცხადებს აუქციონერი.
10. აუქციონში გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება როგორც წესი ხდება აუქციონის შედეგების ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. ხელშეკრულების გაფორმებისას აუქციონში გამარჯვებულის მიერ სრულად უნდა იყოს გადახდილი ფასი.

**5. სხვა პირობები**

1. აუქციონი გაიმართება 2006 წლის 11 აგვისტოს 16 სთ-ზე. მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25, მეორე სართული, სააქტო დარბაზი.
2. აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაციას და აუქციონის ბილეთის, ასევე სავაჭრო ბარათის გაცემას ახდენს რეგისტრატორი - ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსი გელა მახარაძე. მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25, მეორე სართული, ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატის იურიდიული სამსახური. ტელ: 7-26-10
3. აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაცია იწარმოებს 2006 წლის 10 ივლისიდან 2006 წლის 11 აგვისტოს 15 სთ-მდე.
4. აუქციონში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:
აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102.
მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი - 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402.
5. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები, პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომელსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.
6. აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაცია წარმოებს ზონარგაყრილ და დანომრილ წიგნში.

# განცხადება

## ქალაქ ბათუმის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს აუქციონს ქალაქ ბათუმში, ს. ხიმშიაშვილისა და ბაგრატიონის ქუჩების კვეთაში მდებარე 3 700 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვის მიზნით

**ქალაქ ბათუმის მთავრობა**

1-01-25 / 15-8 N 190 " 3 " ივლისი 2006 წ.

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**

ქალაქ ბათუმში, ს. ხიმშიაშვილისა და ბაგრატიონის ქუჩების კვეთაში მდებარე 3 700 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანი-შნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე აუქციონის გამოცხადების შესახებ

ქ. ბათუმის მთავრობა აღნიშნავს, რომ ქალაქის განვითარებისა და კეთილმოწყობის მიზნით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კერძო ინვესტიციის მოზიდვას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კერძო სექტორისათვის ხელშეწყობა. აღნიშნულის გათვალისწინებით ქ. ბათუმის მთავრობა მიზან-შეწონილად მიიჩნევს გამოცხადდეს აუქციონი ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩაზე მდებარე 3 700 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში განკარგვაზე.

"ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქარ-თველოს ორგანული კანონის, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონის, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნუ-ლების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის N65 ბრძანების შესაბამისად,

ქალაქ ბათუმის მთავრობა ა დ გ ე ნ ს :

1. ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩაზე მდებარე 3 700 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე გამოცხადდეს აუქციონი;

2. მიწის ნაკვეთის საწყის გასაყიდ ფასად დაწესდეს 92 500 (ოთხმოცდა-თორმეტი ათას ხუთასი) ლარი;

3. აუქციონის მონაწილის მიერ ერთი განცხადების შეთავაზების (ბიჯი) ოდენობად დაწესდეს არანაკლებ 7 000 (შვიდი ათასი) ლარი.

4. დამტკიცდეს აუქციონის თანდართული პირობები;

5. დაევალოს ქალაქ ბათუმის მთავრობასთან არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიას ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებული აუქციონის და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობების საფუძველზე შეადგინოს სათანადო საინფორმაციო პაკეტი;

6. აუქციონში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა აუცილებელი შენატანის სახით უნდა შეიტანოს 4 625 (ოთხი ათას ექვსას ოცდახუთი) ლარი, რაც წარმოადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 92 500 ლარის 5%-ს.

7. აუქციონში მონაწილეობის მსურველთაგან განცხადებების მიღება აუქციონში მონაწილეობაზე განხორციელდეს დადგენილებისა და დამტკიცებული აუქციონის პირობების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობა-ში.

8. ეთხოვოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგის-ტრაციო სამსახურს წინამდებარე დადგენილებაში მითითებული მიწის ნაკვეთის ცალკე მიწის ნაკვეთად ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართვე-ლობის (ქ. ბათუმის მერია) სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა და საკადასტრო რუკის შედგენა "უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

9. წინამდებარე დადგენილება გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

10. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქ. ბათუმის მთავრობასთან არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს (რ. ჩხაიძე) და კომისიის ტექნიკურ მდივანს (ო. მჟავანაძე).

11. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N5) მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

12. დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

**მერის მოვალეობის**
**შემსრულებელი ირაკლი თავართქილაძე**

"დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა"
ქალაქ ბათუმის მთავრობის დადგენილება
2006 წლის 3 ივლისის N190
ქალაქ ბათუმში, ს. ხიმშიაშვილისა და ბაგრატიონის
ქუჩების კვეთაში მდებარე 3700 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების
მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე აუქციონის ჩატარების პირობები

**შესავალი**

ქ. ბათუმის მთავრობის 2006 წლის 3 ივლისის N190 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს აუქციონს ქალაქ ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩაზე მდებარე 3700 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნუ-ლების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში განკარგვაზე

**1. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ:**

მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი ბათუმი, ს. ხიმშიაშვილისა და ბაგრატიონის ქუჩების კვეთა;

მიწის ნაკვეთის განკარგვის წესი: აუქციონი;

მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი: 3 700 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - 92 500 (ოთხმოცდათორმეტი ათას ხუთასი) ლარი.

**2. აუქციონის პირობები და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

1. მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი ყველა მონაწილისათვის ერთნაირია და შეადგენს - 92 500 (ოთხმოცდათორმეტი ათას ხუთასი) ლარს.

2. ერთი შემოთავაზება ფასის შესახებ (ბიჯი) უნდა იყოს არანაკლებ 7 000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობის.

3. აუქციონში გამარჯვების პირობაა მაღალი გასაყიდი ფასის შემოთავაზე-ბა.

4. გამარჯვებულის მიერ ფასის გადახდა უნდა მოხდეს აუქციონის შედეგების ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში სრულად და ერთჯერადად.

5. გამარჯვებულის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება როგორც წესი უნდა მოხდეს აუქციონის შედეგების ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში, რის შემდეგაც გამარჯვებულს უფლება ეძლევა მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით აღრიცხოს საჯარო რეესტრში.

6. ქ. ბათუმის მთავრობის მიერ აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში გამარჯვებულის მიერ ფასის სრულად და ერთჯერადად გადაუხდელობის შემთხვევაში მას ჩამოერთმევა გამარჯვებულის სტატუსი. ასეთ შემთხვევაში, "ბე"-ს სახით გადახდილი თანხა უკან არ დაბრუნდება.

**3. აუქციონში მონაწილეობის უფლების მოპოვება**

1. აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ საქართველოს მოქალაქეს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ ნებისმიერ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

2. აუქციონში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის პირმა რეგის-ტრატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1. ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) "ბე"-ს შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასის - 92 500 ლარის 5%-ის 4 625 (ოთხი ათას ექვსას ოცდახუთი) ლარის ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის საანგარიშსწორებო ანგარიშზე შეტანას.

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) თუ პირი მონაწილეობს წარმომადგენლის მეშვეობით, ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა და რწმუნებულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

2.2. იურიდიულმა პირებმა 2.1. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა დამატებით უნდა წარმოადგინონ:

ა) საზოგადოების წესდება ან მისი ნოტარიალურად დამოწმებული ასლი;

ბ) ძალაში მყოფი სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი:

გ) პარტნიორის კრების ნოტარიალურად დამოწმებული ოქმი აუქციონის წესით განსაკარგავი ქონების შეძენის თაობაზე.

2.3. მითითებული დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ რეგისტრატორი რეგისტრაციაში ატარებს აუქციონში მონაწილეობის მსურველებს და აძლევს მას აუქციონის ბილეთს და სავაჭრო ბარათს.

**4. აუქციონის ჩატარების წესი:**

1. აუქციონში მონაწილეობა შეუძლია იმ პირს, რომელმაც დადგენილი წესით გაიარა რეგისტრაცია და მიიღო სავაჭრო ბარათი.

2. აუქციონის დაწყებამდე კომისია ამოწმებს მონაწილეთა აუქციონზე დაშვების კანონიერებას.

3. აუქციონის დაწყებამდე კომისიის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან ნიშნავს აუქციონერს, რომელიც უშუალოდ უზრუნველყოფს აუქციონის ჩატარებას.

4. ვაჭრობა იწყება აუქციონერის მიერ ვაჭრობის დაწყებულად და საწყისი გასაყიდი ფასის გამოცხადების შემდეგ.

5. ვაჭრობის დროს აუქციონის თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს მოახდინოს განცხადების (ბიჯი) შეთავაზება ფასის თაობაზე, რომელიც არ უნდა იყოს დაწესებულ ბიჯზე ნაკლები.

6. თუ აუქციონში მონაწილეობს მხოლოდ ერთი მონაწილე სავალდებულოა მის მიერ Fფასის თაობაზე ერთი განცხადების (ბიჯი) შეთავაზება მაინც.

7. ვაჭრობა დამთავრებულად ითვლება თუ აუქციონერმა ორჯერ მოითხოვა საბოლოო განცხადების (ბიჯი) შეთავაზება ფასის თაობაზე და ასეთი ვერ მიიღო.

8. ვაჭრობაში გამარჯვებულად ავტომატურად ითვლება, ვინც აუქციონერს შესთავაზა ბოლო განცხადება ფასის თაობაზე. გამარჯვებულს აცხადებს აუქციონერი.

9. აუქციონს დასრულებულად აცხადებს აუქციონერი.

10. აუქციონში გამარჯვებულთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება როგორც წესი ხდება აუქციონის შედეგების ქ. ბათუმის მთავრობის მიერ დამტკიცებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. ხელშეკრულების გაფორმებისას აუქციონში გამარჯვებულის მიერ სრულად უნდა იყოს გადახდილი ფასი.

**5. სხვა პირობები**

1. აუქციონი გაიმართება 2006 წლის 11 აგვისტოს 16 სთ-ზე. მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25, მეორე სართული, სააქტო დარბაზი.

2. აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაციას და აუქციონის ბილეთის, ასევე სავაჭრო ბარათის გაცემას ახდენს რეგისტრატორი - ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსი გელა მახარაძე. მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25, მეორე სართული ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატის იურიდიული სამსახური, ტელ: 7-26-10.

3. აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაცია იწარმოებს 2006 წლის 10 ივლისიდან 2006 წლის 11 აგვისტოს 15 სთ-მდე.

4. აუქციონში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102.

მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.

საიდენტიფიკაციო კოდი - 245428531.

ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402.

5. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები, პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომელსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.

6. აუქციონში მონაწილეთა რეგისტრაცია წარმოებს ზონარგაყრილ და დანომრილ წიგნში.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს ტენდერს დიპლომის შემდგომი და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის და №2 კლინიკის შენობების დაცვის მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

მომსახურების დეტალური აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2006 წლის 28 ივლისის 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0177, საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი №311.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ს/კ 211328703 ა/ა №609229, "თიბი-სი" ბანკის მარჯანიშვილის ფილიალი, კოდი 220101850.

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი.

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 28 ივლისის 10 საათიდან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0177, საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსი, მე-2 სართული, კანცელარია, ოთახი №201.

ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით:

იურიდიულ პირთათვის:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან);
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს, ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

ფიზიკურ პირთათვის:

- ცნობა მისი ქმედუნარიანობის შესახებ (უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან).

როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელსა და გვარს;
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ცნობა, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერთიფიკატი ან ნებართვა.
- ნებართვა დაცვის მომსახურების გაწევის პროცესში ცეცხლსასროლი იარაღის ტარებაზე.

***შენიშვნა:*** კონვერტს უნდა მიეთითოს, რომ ის შეიცავს სატენდერო წინადადებას და მისი გახსნის უფლება აქვს მხოლოდ სატენდერო კომისიას.

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოაღნიშნულ მისამართზე. საკონტაქტო პირები: მაია გულორდავა, ვალერიან კუპატაძე. ტელ.: 39-20-69.

სატენდერო კომისია

# საქართველოს პარლამენტის აპარატის განცხადება

საქართველოს პარლამენტის აპარატი აცხადებს კონკურსს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზის არქიტექტურულ-დიზაინერული პროექტის დამუშავებაზე, დარბაზში პარლამენტის რეგლამენტის თანახმად სახელმწიფო ატრიბუტიკისა და სხდომაზე დამსწრეების განთავსების მოთხოვნების შესაბამისად (პროექტით გათვალისწინებული უნდა იყოს პარლამენტის 150 წევრის განთავსება).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერ დაინტერესებულ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი სამუშაო გამოცდილება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ ადგილზე გაეცნონ პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზის ამჟამინდელ მდგომარეობას და მიიღონ არქიტექტურულ-დიზაინურ პროექტის დამუშავებისთვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია.

კონკურსში მონაწილე პირებმა განაცხადი და არქიტექტურულ-დიზაინური პროექტი (პროექტის რეალიზაციის სავარაუდო ღირებულების ჩვენებით და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მასალებით) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 31 აგვისტოს 1200-სთ-მდე.

დალუქული კონვერტები გაიხსნება 2006 წლის 31 აგვისტოს 1200-სთ-ზე დასწრების მსურველი მონაწილეების თანდასწრებით.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, გამარჯვებულთან გაფორმდება ხელშეკრულება არქიტექტურულ-დიზაინერული პროექტის შესყიდვაზე.

კონკურსში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს პროექტის შესრულებაზე მეთვალყურეობა პროექტის საბოლოო რეალიზაციამდე.

კონკურსში მონაწილეებს ნამუშევრები (გარდა გამარჯვებულისა) უკან დაუბრუნდებათ გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადებიდან შვიდი დღის განმავლობაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ზაურ ჯიოშვილი 92-12-64

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო აცხადებს ხელახალ ტენდერს რუსული ავტომანქანების შესყიდვა და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზონო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი: 302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ქ. თბილისი 9 აპრილის ქ. N4, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

| ავტომანქანების შესყიდვა | დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| ლოტი 1 | მაღალი გამავლობის, ორხიდიანი 10-12 ადგილიანი, ბენზინის ძრავიანი მიკროავტობუსი | **2** |

2. მიწოდების ვადები შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

3. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 31 ივლისის 11.00 საათიდან 31 ივლისის 13.00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო, 9 აპრილის ქ. N4.

**4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული..

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

6. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

*7.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:

**კახა თალაკვაძე ტელ. 899 36-01-16.**
**მაია ელბაქიძე ტელ. 899 20-13-18.**


# ივერია მოტორსი



- თვითმცლელები, სატვირთოები, სპეცავტომობილები, მაღალი ტვირთამწეობის, მრავალღერძიანი ევრო-2, ევრო-3-ის სტანდარტების
- გარანტიით ხელსაყრელ ფასებში
- სათადარიგო ნაწილები

**მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გუდაუთის ქ. N7. ტელ: 34-60-03, მობ.: 899 51 30 49**